პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 6—43.

ოთხშაბათი, 29 სექტემბერი 1926 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 5 კაპ. № 221 (1766)

## დღიური

- ამხ. კრასინი დღეს მოსკოვიდან გაემგზავრება ლონდონში.
- პოლონეთის მთავრობა ისევ ბარტელმა შეადგინა.
- ამხ. კარახანი შანხაიდან გაემგზავრა ვლადივოსტოკში.
- საფრანგეთის მთელ რიგ ფაბრიკა - ქარხნებში გაფიცვებს აქვს ადგილი.
- იაპონიის პარლამენტში ოპოზიციის ყველა წრეები გაერთიანდენ მთავრობის წინააღმდეგ.
- აჯანყება ალბანეთში ფართო ხასიათს ღებულობს.

დღეს, ოთხშაბათს სექტემბერს 29, საღამოს 7 საათზე შესდგება

**სრულიად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სხდომა**

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთ სავალდებულოა

საქ. ცაკის სამდივნო.

### საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ. კავკ. საოლქო საკონტროლო კომისიის მე-3 პლენუმი

29 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერკავკასიის საოლქო-საკონტროლო კომისიის ბინაზე (რუსთაველის გამზირი, 24) მოწვეულია საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო-საკონტროლო კომისიის მე-3 პლენუმი.

სავალდებულოა საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო-საკონტრ. კომ. ყველა წევრთა დასწრება.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. ს. ს. კომ. თავმჯდომარე—**ნაზარეტიანი.**

## ჩვენი სადღეისო სამეურნეო მდგომარეობა

საბჭოთა კავშირის, როგორც უმთავრესად სასოფლო მეურნეობის ქვეყნის ეკონომიურ ვითარებისათვის, პურის მოსავალს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. გასული და მიმდინარე წელი ამ მხრივ ბარაქიანი წლებია. პურის მოსავალი, როგორც შარშან, ისე წელს საშუალოზე მეტია საბჭოთა კავშირში.

მაგრამ გარდა იმისა, რომ მოსავალი თავისთავად უხვია, საჭიროა ამ სიუხვის გამოყენება, პურის დამზადება, როგორც შინაური საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ისე გარეშე ბაზარზე გასატანად. ამასთან ერთად საჭიროა პურის სათადარიგო ფონდის დაგროვება, რაიც აუცილებელია ერთი მხრივ ბაზარზე პურის ფასების მოსაწესრიგებლად და მეორე მხრივ მოუსავლიანობის წელში გამოსაყენებლად.

ეს ამოცანა არც თუ ისე ადვილი მოსაგვარებელია. ჩვენს პირობებში არსად ისე ძლიერი არაა კერძო კაპიტალი, როგორც პურის ბაზარზე. ამას გარდა ჩვენ საქმე გვაქვს მრავალ მილიონიან წვრილ მწარმოებლებთან, რომლებიდანაც ვიძენთ პურს. ასეთ მდგომარეობაში განსაკუთრებით ძნელია პურის დამზადების ერთხელვე დასახულ გეგმით გატარება. პრაქტიკას მასში ყოველთვის შეაქვს ესა თუ ის შესწორებები და ზოგჯერ მნიშვნელოვანი შესწორებებიც კი.

წელს, მაგალითად, მდიდარ მოსავალს ბარაქა დაუკარგა უამინდობამ. გამუდმებულმა ავდრებმა ივლისის ბოლო რიცხვებში და აგვისტოში ორგვარი ვნება მიაყენა მოსავალს. მან დააზიანა ნათესები და ამნაირად შეამცირა მოსავლის ნავარაუდევი რაოდენობა. გარდა ამისა ავდრიან დღეებმა დაახლოვებით 3-4 კვირით დააგვიანა მოსავლის აკრეფა.

ერთმა და მეორე გარემოებამაც საგრძნობლად შეაფერხა პურის დამზადების კამპანია. ასე მაგალითად, წარსული წლის აგვისტოს თვის განმავლობაში დამზადებული იყო **1.777 ათასი ტონა** პურეული. მიმდინარე წლის აგვისტოში **კი მხოლოდ 956 ათასი ტონა.**

ამასთან ერთად პურის დამზადების ნორმალურ მსვლელობას წელსაც იგივე დაბრკოლებები ეღობება წინ, რომელნიც შარშან აფერხებდენ პურის რეალიზაციის კამპანიას. ესაა უმთავრესად ეგრედ წოდებული „დაცდის" პოლიტიკა. უკეთესი ფასების მოლოდინში მყოფი გლეხკაცობა. განსაკუთრებით მისი შეძლებული ნაწილი, აგვიანებს ბაზარზე პურის გამოტანას. სოფელს დღეს ამის საშუალება უფრო აქვს, ვიდრე ოდესმე. გადასახადი ისე აღარ აწუხებს გლეხს, როგორც წინად.

ამნაირად, ივლის-აგვისტოს და სექტემბრის პირველ ნახევარის განმავლობაში პურის დამზადების გეგმები ვერ იქნა უკლებლივ შესრულებული. ამ მხრივ მთელი იმედები მომავალ თვეებზეა, როცა შემოდგომის ტალახები თოვლით დაიფარება და გზები ხელახლა გაიმართება.

სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს უკანასკნელ დროს მრეწველობაში. ფაბრიკა-ქარხნის პროდუქცია მნიშვნელოვნად გაიზარდა. ივნის-ივლისის, შვებულებათა თვეების შემდეგ მრეწველობის პროდუქციამ იმდენად აიწია, რომ აგვისტოში ის **18,5 პროცენტით გაიზარდა.** შარშანდელ აგვისტოსთან შედარებით კი **43,4 პროცენტით.**

ცხადია, ასეთ მდგომარეობას არ შეეძლო უშედეგოთ ჩაევლო ბაზრისათვის. და ჩვენ მოწმე ვხდებით უკანასკნელი თვეების განმავლობაში საქონლის ნაკლებობის სიმწვავის შენელების. ეს უთუოდ დიდი მნიშვნელობის ნაბიჯია ბაზრის გამოცოცხლების, ქალაქისა და სოფლის ეკონომიურ თანამშრომლობის გაღრმავების საქმეში.

მაგრამ ამ თანამშრომლობისათვის მარტო ეს როდი კმარა. აქ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფასების მოწესრიგების საკითხს. ამ მხრივ არც ისეთი საგრძნობი მიღწევები გვაქვს. პირიქით, შეიძლება ეგრედ-წოდებული მაკრატელის პრობლემა ხელახლა წამოიჭრას ჩვენს წინაშე, თუ სასოფლო სამეურნეო პროდუქციის და მრეწველობის პროდუქციის ფასები ისეთივე ტემპით დაშორდენ ერთმანეთს, როგორც ეს ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში ხდებოდა.

სეზონის გავლენით, ახალი მოსავლის მოლოდინში, სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ფასები ბუნებრივათ უნდა დაწეულიყო. ეს ასედაც მოხდა. მაგრამ ამ დაკლებას ერთ ფრონტზე უნდა შეგებებოდა ასეთივე დაკლება მეორე ფრონტზე, ეს კი არ მოხერხდა. ამიტომ მორიგი და გადამწყვეტი ამოცანა ჩვენს წინაშე არის ფასების დაკლება. ეს დაკლება უნდა შეეხოს, როგორც საბითუმო, ისე საცალო საქონელს.

ამისათვის საჭიროა, რომ საბჭოთა მრეწველობამ გადამჭრელი ღონისძიებები მიიღოს საქონლის თვითღირებულების შესამცირებლად, ამასთან ერთად უნდა მოწესრიგდეს და გაიაფდეს ჩვენი სავაჭრო აპარატი—როგორც სახელმწიფოს ისე კოოპერატიული.

ამნაირად, საბჭოთა კავშირის სადღეისო სამეურნეო მდგომარეობა მრავალგვარ გარდამავალ დაბრკოლების წინაშე სდგას. ამ დაბრკოლებათა გადალახვის ობიექტიური პირობები უთუოდ არის. ესაა წარმატება სახალხო მეურნეობის ორივე ძირითად დარგებში: ერთი მხრივ, თუმცა უკანასკნელი უამინდობით დაზიანებული, მაგრამ მაინც ბარაქიანი მოსავალი და მეორე მხრივ. მრეწველობის პროდუქციის განსაკუთრებული ზრდა.

ეს ორი გადამწყვეტი ფაქტორი იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ ჩვენ ადვილათ დავძლევთ არსებულ ტკივილებს და მტკიცედ განვაგრძობთ სვლას ქვეყნის ეკონომიურად აღორძინება-აშენებლობისაკენ.

## შტრეზემან--პუანკარე

გერმანიის და საფრანგეთის წარმომადგენლები ერთა ლიგის უკანასკნელ სესიაზე ერთმანეთს უანგარო ძმობას ეფიცებოდენ და გერმანიის მიღებას ერთა ლიგის წევრად ახალი ეპოქის დასაწყისად აღიარებდენ ხალხთა შორის მშვიდობიანობის დამყარების საქმეში. სულ რამდენიმე დღე გავიდა ამ თვალთმაქცობის შემდეგ და ჩვენ ვხედავთ, რომ „ძმად შეფიცულებ" შორის უკვე „გაიარა შავმა კატამ".

საქმე გააფუჭა შტრეზემანის მიერ ჟენევის გერმანელთა კოლონიის კრებაზე წარმოთქმულმა სიტყვამ. შტრეზემანმა აქ საკმაო გულახდილობით გადმოშალა გერმანიის ზრახვები, რამდენაც საქმე საფრანგეთთან დამოკიდებულებას ეხება. მან მოითხოვა გერმანიის ხალხისაგან მსოფლიო ომისათვის პასუხისმგებლობის მოხსნა, რეინლანდის და საარის ოლქის ევაკუაცია, სამხედრო კონტროლის გაუქმება, კოლონიების დაბრუნება, იგი აგრეთვე გამოექომაგა „ერების თვითგამორკვევის უფლებას". ეს უკანასკნელი, საფრანგეთის პრესის განმარტებით, თითქო იმას ნიშნავს, რომ გერმანიის მთავრობა მხარს უჭერს სეპარატისტულ მოძრაობას ელზას-ლორენში, საბოლოო ანგარიშით საფრანგეთიდან მისი ჩამოშორების მიზნით.

შტრეზემანის ასეთმა გამოსვლამ მოულოდნელად გასროლილ ყუმბარის შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთში; მემარჯვენე ფრანგული პრესა შტრეზემანის სიტყვას ახასიათებს, როგორც ცივი წყლის გადასხმას გერმანიასთან შეთანხმების მომხრეებისათვის.

შეიძლება ამდენი განგაში არ გამოეწვია შტრეზემანის განცხადებას, რომ ის საჯაროდ არ განმეორებულიყო, ვინაიდან საფრანგეთისათვის დღეს სახეირო არ არის ხაზგასმა იმ სადაო საკითხებისათვის, რომელნიც მასსა და გერმანიას შორის არსებობენ. აკი ცდილობენ საიდუმლოდ შეინახონ სოფ. ტუარში ბრიან-შტრეზემანის ქურდულად შეხვედრის შედეგები, თუმცა, როგორც ირკვევა, შტრეზემანმა აქ წაუყენა ბრიანს მეტ წილად ის მოთხოვნები, რომლებიც აღნიშნა ჟენევის კოლონიის კრებაზე, განსხვავება არსებითად ის არის, რომ ბრიანთან დიპლომატიური შეხვედრის დროს მან მეტი თავდაჭერილობა გამოიჩინა, ვინემ თავის თანამემამულეთა წინაშე.

გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრს გამოეხმაურება საფრანგეთის პრემიერი პუანკარე, რომელმაც მის საპასუხოდ ორი სიტყვა წარმოსთქვა, სენ-ჟერ-მენსა და ბერლედიუკში. პუანკარე, როგორც გერმანული გაზეთები აღნიშნავენ, არ შეცვლილა, ე. ი. იგი ურყევლად დგას ვერსალის ნიადაგზე და გერმანიის მიმართ ძველ აგრესიულ ზრახვებს ატარებს. ის წინანდებურად მხოლოდ გერმანიას თვლის ომისათვის დამნაშავედ და აქედან ეხლაც აუცილებლად სცნობს მის „მატერიალურ და მორალურ" განიარაღებას. პუანკარე მოითხოვს „კონტრიბუციის და განადგურებულ რაიონებისათვის დაპირებულ გამოსაღებთა რეგულიარულად გასტუმრებას"; ის მოითხოვს „ტერიტორიის საბოლოოდ აღდგენილ მთლიანობის" ხელუხლებლობას.

ხაზგასასმელი აქ ის არის, რომ გერმანიასთან დამოკიდებულების საკითხში უთანხმოებამ იჩინა თავი თვით საფრანგეთის მართველ წრეებში. პუანკარეს ჯგუფი მკაცრ იერიშებს აწარმოებს ბრიანის საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ, მას აბრალებენ ზედმეტ დათმობებზე წასვლას გერმანიის მიმართ და საფრანგეთის ინტერესების შებღალვას.

მაგრამ, ცხადია, რომ საფრანგეთის ინტერესების თვალსაზრისით ბრიანი უფრო შორსმჭვრეტელ პოლიტიკას ადგია ამ შემთხვევაში, ვინემ პუანკარე, თუმცა მას უკანასკნელზე ნაკლები იმპერიალისტური ზრახვები არ ამოძრავებს. საქმე ის არის, რომ გერმანია ცდილობს ერთა ლიგაში თავის მდგომარეობის გამოყენებას. ეს მდგომარეობა კი ისეთია, რომ ვის მხარეზე იქნება გერმანია, ინგლისის თუ საფრანგეთის, ევროპის ჰეგემონია მას შერჩება, რამოდენიმე ხნის განმავლობაში მაინც. ლოკარნოში გერმანია ინგლისის იარაღი გახდა საფრანგეთის დასუსტების საქმეში. ამის შემდეგ პარიზის ცდა იქითკენ იყო მიმართული, რომ ლოკარნოს ასეთი შედეგი გაექარწყლებინა და ინგლისის გავლენა შეესუსტებინა. ყველაზე უფრო ეს შეიძლება გერმანიასთან დაახლოვების გზით. ბრიანიც ამ პოლიტიკას დაადგა. დადებულ იქნა დროებითი სავაჭრო ხელშეკრულება ორივე მხარეთა შორის. ნიადაგი მზადდება გერმანია-საფრანგეთის მძიმე ინდუსტრიის გაერთიანებისათვის.

თავის თავად ცხადია, რომ გერმანია საგრძნობი კომპენსაციის გარეშე საფრანგეთს არ ამოუდგება გვერდში ინგლისთან ბრძოლაში. ეს კომპენსაცია გულისხმობს ვერსალის ხელშეკრულების არსებით რევიზიას. ამას მოითხოვს შტრეზემანი არა მარტო ჟენევის სიტყვაში, არამედ ტუარში მოლაპარაკების დროსაც.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საფრანგეთს გერმანია ესაჭიროება არა მარტო ინგლისის ჰეგემონიის შესასუსტებლად, არამედ თავის ძირ-ფესვიანად შერყეულ ფინანსების გამოსასწორებლადაც. თითქო უცნაურია, მაგრამ გერმანიას დღეს საკმაო თავისუფალი თანხები მოეპოვება, რომელთაც ის სესხად სთავაზობს ხან ერთ, ხან მეორე სახელმწიფოს. ამას წინედ მან საფრანგეთსაც მისცა წინადადება ფრანკის სტაბილიზაციისათვის სესხის მიცემის შესახებ.

ყველაფერ ამას ნაკლებად უწევს ანგარიშს პუანკარე, რომელსაც კარგად ვერ შეუთვისებია უკანასკნელ წლებში მომხდარი საერთაშორისო ცვლილებები და რომელიც, ალბად, კვლავ ვერსალის სულიერი განწყობილებით საზრდოობს. ან, უკეთ, ის ცდილობს სხვებს მოაჩვენოს, თითქოს საფრანგეთს დღეს შესწევს წინანდელი ძალ-ღონე. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ პუანკარე აქ „მოკავშირეებსაც" იშველიებს, როცა ამბობს, რომ საფრანგეთი „მზადაა დაუახლოვდეს გერმანიას მხოლოდ თავის მოკავშირეებთან დადებულ ხელშეკრულებათა და ვალდებულებათა ფარგლებში". ცხადია, რომ ამ „მოკავშირეებში" პირველ ყოვლისა ინგლისი იგულისხმება. პუანკარე ამით ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, რომ თითქო ინგლისი დაეხმარება მას გერმანიის ბედის შეკვეცაში.

რა შედეგი შეიძლება მოყვეს შტრეზემან - პუანკარეს „ჭიდილს". ცხადია, რომ როგორც შტრეზემანის პრეტენზიები, ისე პუანკარეს რიხიანი კილო მიზნად ისახავენ ერთმანეთს რაც შეიძლება მეტი გამოგლიჯონ, ერთმანეთი მეტ დათმობებზე დაიყოლიონ. ინგლისი კი შეეცდება მათი უთანხმოების უფრო გაღრმავებას, რათა ამით ორივე დაასუსტოს და გაბატონდეს მათზე. როგორორადაც არ უნდა გათავდეს ამჟამად საქმე. შტრეზემან-პუანკარეს კამათი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს კაპიტალისტურ ევროპის უძლურებას ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივ და მკვიდრ მშვიდობიანობის დამყარების საქმეში

მ. ლ—ძე.

## ინგლისის მდგომარეობა და მემაღაროეთა გაფიცვა

(„პრავდას" წერილი)

ინგლისის მებრძოლ პროლეტარიატს შეუძლია გამარჯვების შანსების გასაძლიერებლად გამოიყენოს უკანასკნელი დროის ამბები, რომელნიც ინგლისის საერთაშორისო მდგომარეობასთან არიან დაკავშირებულნი.

ინგლისის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა არსებითად გაუარესდა საყოველთაო და სამთამადნო გაფიცვის შემდეგ. ჩინეთში ინგლისმა დიდი მარცხი განიცადა. ინგლისი სცდილობს ინტერვენციის შემწეობით დანაკლისი აინაზღაუროს ჩინეთში, ეს ცდა მას ბევრს ხიფათს უქადის. ევროპის კონტინენტზე ინგლისი თანდათან ჰკარგავს იმ პოზიციებს, რომელნიც მან მოიპოვა საფრანგეთის მემარცხენე ბლოკის ბატონობის დროს და რომელთა განმტკიცებას ის სცდილობდა დაუესის გეგმისა და ლოკარნოს შემწეობით. ინგლისს ახლა ემუქრება საფრანგეთ-გერმანიის ბლოკის შექმნის საფრთხე, ამ ბლოკის მახვილი უეჭველად დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ იქნება მიმართული; ამიტომ ის იძულებულია საჩქაროდ მოიგონოს ახალი პოლიტიკური კომბინაციები.

შეუძლებელია, რომ ამ ძალთა გადანაცვლებამ კონტინენტზე გავლენა არ იქონიოს მემაღაროების გაფიცვაზე. ინგლისის მოქიშპეები. ევროპასა და ამერიკაში, რომელთაც საზღვარ-გარეთ ქვანახშირი, მანქანები და ქსოვილები გააქვთ, გამოიყენებენ ინგლისის სახალხო მეურნეობის და საექსპორტო მრეწველობის მწვავე კრიზისს და შეეცდებიან არა მარტო ბაზრის წართმევას ინგლისისთვის, არამედ პოლიტიკურად გამაგრებასაც მის ხარჯზე.

კონსერვატიული მთავრობა სასოწარკვეთილ ზომებს მიმართავს, რომ ჰეგემონია შეინარჩუნოს აღმოსავლეთსა და ჩინეთში და ადრინდებულად მთავარი როლი შეასრულოს კონტინენტზე. ის ხვრეტს ჩინელ მოქალაქეებს (ვან-სიანი) და ინტერვენციით იმუქრება, მაგრამ ამით კიდევ უფრო აუარესებს თავის მდგომარეობას. ის სცდილობს საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვების საფრთხეს ინგლისისა და ფაშისტურ იტალიის ბლოკი დაუპირდაპიროს. მაგრამ მემაღაროების გმირული არმიის უმაგალითო ბრძოლა, რომელიც ხუთი თვე გრძელდება. მძიმე ლოდივით აწევს ინგლისის დიპლომატიას.

ყოველივე ეს აიძულებს ინგლისის კონსერვატორებს, რომ რაც შეიძლება ჩქარა ბოლო მოუღონ მემაღაროეთა გაფიცვას. მისი ბუნებრივი მეთოდია ძალმომრეობის ხმარება, მაგრამ, როგორც გაზეთები იუწყებიან, ინგლისის მთავრობაში მოიპოვება ჯგუფი, რომელიც კომპრომისს ემხრობა კონფლიქტის საჩქაროდ გადასაჭრელად. ასეა თუ ისე, ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისის კონსერვატიული მთავრობა სცდილობს განთავისუფლდეს შინაგან დაბრკოლებებისაგან და ხელები გაინთავისუფლოს ენერგიული მოქმედებისთვის საგარეო პოლიტიკაში.

რა მნიშვნელობა აქვს ამას ინგლისელ მემაღაროეთა გაფიცვისათვის? ინგლისელ მემაღაროებსა და მთელი ინგლისის პროლეტარიატს ეძლევა შესაძლებლობა, რომ გამოიყენონ ეს წინააღმდეგობათა გამწვავება კოლონიალურ ჩინეთსა და ინგლისის მეტროპოლიას შორის ერთის მხრით და ინგლისის კაპიტალიზმისა და სხვა დიდ სახელმწიფოთა ბურჟუაზიას შორის მეორეს მხრით. განხეთქილება თვით ინგლისის მთავრობაში, ინგლისის ბურჟუაზიის პოზიციაში არსებული ნაპრალის უეჭველ გამოხატულებას წარმოადგენს.

დიდი შეცდომა იქნება, რომ ინგლისის მუშებმა არ გაითვალისწინონ თავისი მოწინააღმდეგის ძალების დასუსტება. ინგლისის კომუნისტური პარტიისა და პროფკავშირთა მოძრაობის მემარცხენე ფრთის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ განუმარტოს ინგლისის პროლეტარიატს შექმნილი სიტუაცია და მთელი ძალები აამოძრაოს იმისათვის, რომ ისარგებლოს მტრის მდგომარეობის ყოველგვარი, თვით მცირეოდენი გაუარესებით.

ეხლანდელი პირობები მეტად, ვიდრე ოდესმე მოითხოვენ სიმტკიცეს, უპირველეს ყოვლისა ლიდერებისაგან. მემაღაროეთა ბელადების მიერ წარმოდგენილი უკანასკნელი პირობები, რომელნიც არსებითად გაფართოებული სახით ჩამოყალიბებას წარმოადგენენ გენსაბჭოს მიერ გაფიცვის დაწყებამდე შემუშავებულ წინადადებათა, არ მოწმობენ, იმას, რომ მათ გაითვალისწინეს ბრძოლის პირობებში მომხდარი ცვლილებანი. საქმის არსებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ თუ გამოჩენილ იქნება მემაღაროეთა მასების განწყობილების შესაფერი აუცილებელი სიმტკიცე, თუ ინგლისელი მემაღაროენი შესძლებენ კვლავ გაუძლონ ბრძოლას კიდევ რამოდენიმე ხნის განმავლობაში, თუ დანარჩენი ინგლისელი მუშები, და აგრეთვე სხვა ქვეყნების მუშები შეიგნებენ, რომ მათ ეხლა გაძლიერებული დახმარება უნდა გაუწიონ მემაღაროებს და პირველ საფრონტო ხაზზე მებრძოლ მოწინავე რაზმს. მაშინ სამთამადნო მუშები შესძლებენ გამარჯვების მიღწევას.

კომუნისტური ინტერნაციონალისა და რევოლიუციონურ პროფკავშირთა მოძრაობის ამოცანა მდგომარეობს იმაში. რომ ყოველი ძალღონით იქნას შემსუბუქებული ინგლისელ მემაღაროეთათვის გამარჯვების მიღწევა ამ მძიმე ბრძოლაში.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

მოსკოვი, 28 სექტემბერი.

## „პან-ევროპა"

(წერილი ვენიდან)

3 ოქტომბერს ვენაში იხსნება 1-ლი პან-ევროპიული კონგრესი. ეს არის—პაციფისტების ყრილობა, რომლებიც ქადაგებენ „ევროპის შეერთებულ შტატებს; ამასთანავე ცხადია, რომ ცნება—ტალური ევროპის შეერთებულ შტატებს; ამასთანავე ცხადია, რომ ცნება—კონტინენტალური ევროპა—არ გულისხმობს ინგლისსა და საბჭოთა კავშირს.

უპირველეს ყოვლისა საინტერესოა კონგრესის შემადგენლობა. პრეზიდიუმში, სხვათა შორის, შედიან: საფრანგეთიდან—ერიო, გერმანიიდან—რეიხსტაგის პრეზიდენტი, სოციალ-დემოკრატი ლებე, ავსტრიიდან—ყოფილი კანცლერი (მინისტრ-პრეზიდენტი) ზეიპელი. პრეზიდიუმის დანარჩენი წევრებიც თითქმის ყველა ყოფილი მინისტრ-პრეზიდენტები ან და სხვადასხვა ქვეყნების მინისტრები არიან. ასევე „საყურადღებოა" კონგრესის მორიგ წევრთა სია. ამ სიაში შეტანილი არიან, მაგალითად: საფრანგეთიდან—პენლევე, სოციალისტების ლიდერი—ბლიუმი და დე-მონზი; ჩეხო-სლოვაკიიდან—საგარეო საქმეთა მინისტრი ბენეში, ფინანსთა მინისტრი ენგლიში და პრეზიდენტის ქალი ალისა მასარიკ; გერმანიიდან—მწერლები ტომას მანნი და ჰერბერტ ჰაუპტმანი, ცნობილი მეცნიერი ეინშტეინი, ერთი გავლენიანი პუბლიცისტთაგანი გეორგ ბერნჰარდი და „ელექტრობის საყოველთაო კომპანიის" თავმჯდომარე ფელიქს დეიჩი; ინგლისიდან—მუშათა პარტიის წევრი, დეპუტატი ბეკსტონი. სხვა ქვეყნებიდან კონგრესზე არა ნაკლებ ცნობილი წარმომადგენლები ჩამოვლენ.

დღის წესრიგის ძირითად პუნქტებს წარმოადგენს ორი საკითხი: საკითხი ინგლისისა და საბჭოთა კავშირის შესახებ, და საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ამ ორი ქვეყნის შეყვანა „პან-ევროპის" შემადგენლობაში.

„პან-ევროპიელთა" მეთაურის, გრაფ კუდენგოვე - კალერგის პირვანდელი თვალსაზრისით „პან-ევროპის" შემადგენლობიდან სრულიად გამორიცხული უნდა ყოფილიყო „კუნძულოვანი ინგლისი" და „ნახევარ აზიური რუსეთი". მაგრამ უკანასკნელ დროს პან-ევროპიული მოძრაობის ინიციატორი მორბილდა და აღიარა ინგლისისა და საბჭოთა კავშირის „მიმხრობის შესაძლებლობა".

როგორი სახე ექნება პან-ევროპას?

პან-ევროპიული მოძრაობის მომხრეები ამბობენ: უნდა შეიქნას პან-ევროპიული კავშირი, რომელიც თანდათან განახორციელებს ევროპის კონტინენტალურ სახელმწიფოების პოლიტიკურ და სამეურნეო გაერთიანებას. ამ მიზნის მისაღწევად ერთ მთავარ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს ერთა ლიგის დაყოფა ცალკე სექციებათ სხვადასხვა კონტინენტების მიხედვით და, უწინარეს ყოვლისა, — ლიგაში ევროპიული სექციის შექმნა; ამ სექციას უნდა გადაეცეს ყველა საკითხები, რომლებიც ეხებიან ევროპის კონტინენტალურ სახელმწიფოებს. ამ ქვეყნების რიცხვში კუდენგოვე - კალერგის მაინც არ შეჰყავს ინგლისი და საბჭოთა კავშირი.

მოძრაობის ბელადის ასეთი მერყეობა ინგლისისა და საბჭოთა საკითხებში, არსებითად, ანარეკლია ორი ტენდენციის, რომლებიც წარმოიშვენ პან-ევროპიელთა შორის. ერთი მათგანია—უტოპიური წვრილბურჟუაზიული პაციფიზმი, მეორე — ევროპის სხვადასხვა კონტინენტალური ქვეყნების კაპიტალისტური წრეების პოლიტიკური მოსაზრებები. ეს მოსაზრებები, თავის მხრივ, სხვადასხვაგვარია; საერთოდ და მთლიანად ისინი შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: პირველი გამოხატავს ინგლისის ფინანსიური კაპიტალის იერიშისაგან და ძალადობისაგან თავდაცვას, მეორე კი—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ზღუდის აღმართვის ცდას.

თუ პირველად პან-ევროპიულ მოძრაობაში სჭარბობდა წვრილ-ბურჟუაზიული პაციფიზმის ტენდენცია, ეხლა, როგორც ეს შეიძლება ვიფიქროთ კონგრესის მონაწილეთა შემადგენლობის მიხედვით, პირველ რიგში იჭრება ევროპიული მსხვილი კაპიტალის ინტერესები.

„პან-ევროპის" სახით მსხვილ კონტინენტალურ სამეურნეო - პოლიტიკურ ერთეულის შექმნამ ხელი უნდა შეუწყოს კონტინენტალური ევროპის მსხვილი კაპიტალის ბრძოლას ანგლო-საქსონური ჰეგემონიის წინააღმდეგ. იგივე გაერთიანება უნდა დაეხმაროს ევროპის კაპიტალს „ბოლშევიკური საფრთხის" წინააღმდეგ ბრძოლაში. დაბოლოს, „პან-ევროპაში" შეიძლება ნაციონალურ უმცირესობათა მოძრაობის გათქვეფა, ეროვნული საკითხის ყალბი გადაწყვეტით, რომელიც არ შეაფერხებს გაბატონებული ერების იმპერიალისტურ პოლიტიკას.

ასეთია პან-ევროპიული მოძრაობის დღემდე გამომჟღავნებული ძირითადი ხაზები. პან-ევროპიელთა პირველი კონგრესი უფრო ნათლად და უფრო დაწვრილებით გამოაშკარავებს ამ ხაზს.

ო

ვენა, 17 სექტემბერი.

# პუანკარე გერმანიისაგან მოითხოვს კონტრიბუციას

## ინგლისის კომპარტია მასებს მოუწოდებს მთავრობის ჩამოგდებისაკენ

## თემთა პალატაში გრძელდება კამათი მემაღაროეთა გაფიცვის გარშემო

## ხელმოწერილია ლიტვა-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება

### ხუბეის პროვინციაში ჩინელი ჯარისკაცები თავს დაესხენ ამერიკელ მეზღვაურებს

## გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობა

### პუანკარეს სიტყვა

**ბერლინი,** 28 სექტემბერი. ბარლე დიუკში წარმოთქმულ სიტყვაში, პუანკარემ საფრანგეთ-გერმანიის მომავალ ურთიერთობის შესახებ განაცხადა, რომ **საფრანგეთი მოითხოვს განადგურებულ რაიონებისთვის აღსადგენად დაპირებულ კონტრიბუციების და ვალების რეგულიარულად გადახდას,** მაგრამ ის მუდამ მზადაა შეუთანხმდეს გერმანიას იმ პირობით, რომ ეს არ ეწინააღმდეგებოდეს საფრანგეთის მიერ სხვა სახელმწიფოების დადებულ ხელშეკრულებებს და რომ ეს შეთანხმება არავითარ შემთხვევაში არ იქონიებს გავლენას, რათა თვით მპყრობელ გერმანიას ასცდეს პასუხისმგებლობა ომისათვის.

### გერმანიის პრესის აზრი

**ბერლინი,** 28 სექტემბერი. გერმანიის პრესა პუანკარეს სიტყვას თავდაჭერილ კომენტარიებს უკეთებს. სხვა გაზეთები ფიქრობენ, რომ პუანკარეს უკანასკნელი სიტყვები ღიად სტოვებენ შერიგების გზებს. „ბერლინერ ტაგებლატი" ამბობს, რომ პუანკარეს მანია მუდამ სხვას დააკისროს დანაშაული ომის შესახებ, გვაფიქრებინებს, რომ თვითონ მას სჭირდება ამ საქმეში თავის მართლება.

### პრესის აზრი

**პარიზი,** 28 სექტემბერი. საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში სცნობენ, **რომ პუანკარეს უკანასკნელი სიტყვები მეტად ამცირებენ ბრიანის განცხადების მნიშვნელობას და რომ კაბინეტში არსებობს უთანხმოება,** რომელიც ძნელი დასაფარავია იმ გარემოებით, რომ კაბინეტი ერთნაირად აღასტურებს, როგორც ბრიანის მოქმედებას, ისე პუანკარეს სიტყვებს. ამ წრეებში აღნიშნავენ, რომ ასეთ პირობებში გერმანიასთან მოლაპარაკებას ხანგრძლივი ხასიათი ექნება. მემარჯვენე პრესა ესალმება პუანკარეს გამოსვლას. მილიერანის ორგანოს „ავენირი" სწერს, რომ პუანკარემ შეანელა ბრიანის მიერ ჟენევაში წარმოთქმული სიტყვის უკიდურესი სანტიმენტალური გავლენა.

## საბჭოთა კავშირი და ლიტვას ხელშეკრულება

**მოსკოვი,** 28 სექტემბ. **28 სექტემბერს მოსკოვში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ს. ს. რ. კ. და ლიტვას ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს ნეიტრალიტეტს და ურთიერთ თავდაუსხმელობის უზრუნველყოფას. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირის მხრიდან საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა და სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ლიტვაში — ალექსანდროვსკიმ, ხოლო ლიტვის რესპუბლიკის მხრიდან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და გარეშე საქმეთა მინისტრმა სლიაჟევიჩმა და ლატვიის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საბჭოთა კავშირში ბალტრუშაიტისმა.**

ხელშეკრულება შესდგება 7 მუხლისაგან: პირველ ორ მუხლში ნათქვამია, რომ ის ხელშეკრულება, რომელიც დაიდო მოსკოვში 12 ივლისს 1920 წ. რჩება ძალაში.

მესამე მუხლში ლაპარაკია იმ ურთიერთ ვალდებულებათა შესახებ, რომელიც ითვალისწინებს თავის შეკავებას ყოველგვარ აგრესიულ ზომებისაგან ურთიერთის მიმართ, და ხელშეკრულების დამდებ ერთ-ერთ მხარეზე რომელიმე მესამე სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში თავდამსხმელი სახელმწიფოსათვის არ მიმხრობის შესახებ.

მე-4-ე მუხლი აკისრებს იმავე ვალდებულებებს ორივე მხარეს პოლიტიკურ, ეკონომიურ და ფინანსიურ საკითხებში.

მე-5-ე მუხლი ითვალისწინებს იმ კონფლიქტების გადაწყვეტას შემთანხმებელ კომისიების საშუალებით, რომლებიც ვერ იქნებიან მოგვარებული ნორმალური დიპლომატიური გზით.

მე-6-ე მუხლი ითვალისწინებს ხელშეკრულების რატიფიკაციის ვადას და ბოლოს.

მე-7-ე მუხლი განსაზღვრავს ხელშეკრულების ვადას, რომელიც დადებულია 5 წლით.

ხელშეკრულების მოწერის დროს ორივე მხარემ გადასცეს ურთი-ერთს ნოტები, რომელშიაც საბჭოთა კავშირი კვლავ ადასტურებს თავის შეხედულებას ვილნოს საკითხზე, ხოლო ლიტვა აცხადებს, რომ მისი ვალდებულება ერთა ლიგის მიმართ, რომლის წევრად ის ითვლება, არ ირღვევა ამ ხელშეკრულებით.

## ჩინეთი და ერთა ლიგა

**ბერლინი,** 27 სექტემბ. 24 სექტემბერს ერთა ლიგის პლენალურ სხდომაზე მომხდარმა შეტაკებამ ჩინეთისა და ინგლისის დელეგატებს შორის, რომლის გამო არ იქმნა დაშვებული არავითარი კამათი, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ლიგის წრეებზე.

ლიგის ოფიციოზი „ჟურნალ დე ჟენევ" იუწყება, რომ ჩინეთის დელეგაციამ 10 დღის წინედ მიიღო ცნობა კანტონის მთავრობისაგან ვან-სიანში მომხდარ ამბების შესახებ, რომლის გამოც დელეგაციამ ინსტრუქციები გამოითხოვა პეკინის მთავრობისაგან. უკანასკნელის პასუხში, გაზეთების ცნობით, ნათქვამია: **„ჩინეთის დელეგაცია ლიგაში მთელ ჩინეთს წარმოადგენს".** ამის შემდეგ, სწერს გაზეთი, **ჩინეთის დელეგატი გამოვიდა თავისი მოულოდნელი განცხადებით, რომელიც კანტონის მთავრობის ცნობის მიხედვით იყო შედგენილი.**

## ოპოზიცია იაპონიის პარლამენტში

**ტოკიო,** 27 სექტემბერი. სეიუხონტოს განცხადებას, რომლითაც ეს რეაქციონური პარტია ბრალს სდებს მთავრობას, რომ მან შუამდგომლობა აღძრა რეგენტის წინაშე 1925 წელს სიკვდილისათვის მისჯილ ანარქისტი **ბოკურეცისა** და მისი ცოლის პატიების შესახებ, **პრესა იხილავს, როგორც ორი ოპოზიციური პარტიის—სეიუხონტოსი და სეიუკაის გაერთიანების ნიშანს მთავრობის საწინააღმდეგო ბრძოლაში.** გაზეთები ფიქრობენ, რომ, ამასთან დაკავშირებით, ძლიერდება პარლამენტის დათხოვნის შესაძლებლობა იანვრის სესიის შემდეგ. სეიუხონტოს გამოსვლის საპასუხოდ, მთავრობის პარტიამ—კონსეკაიმაც გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც იცავს თავის პოზიციას ბოკურეცის საქმეში, და აცხადებს, რომ ის მზად არის პარლამენტი დაითხოვოს. ბურჟუაზიული წრეები ჰკიცხავენ ბოკურეცის საქმის გამოყენებას მთავრობის დამხობის მიზნით.

## კანტონის გამარჯვების შემდეგ

### მდგომარეობა ფრონტებზე

**ვაშინგტონი,** 27 სექტემბ. სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში მოყვანილია ხანკოუში მყოფი ამერიკელი კონსულისაგან მიღებული შემდეგი ცნობები: 23 სექტემბერს ამერიკის კონსული ჩუნ-ცზინში მდ. იან-ცზი - ცზიანზე პროვინცია სი - ჩუანში იუწყებოდა, რომ **ჩუნ-ცზინის სამხედრო ძალები ჩან-კაი-შის დასახმარებლად ემზადებიან.** ანალოგიური, ჯერ კიდევ დაუდასტურებელი ცნობები მოდის ი-ჩანში და პროვინცია ხუბეიში შექმნილი სამხედრო მდგომარეობის შესახებ.

**22 სექტემბერს ხანკოუში შესდგა საზეიმო მიტინგი და სამხედრო აღლუმი კანტონის ჯარების ჩამოსვლის გამო.** 23 სექტემბერს ხანკოუში ჩამოსულ ორ ამერიკულ ნაღმოსანს არ დასცემიან. 22 სექტემბერს „სტანდარტ ოილის" კომპანიის იალქნიან გემს „მეიიუნს" თავს დაესხენ შა-სის მახლობლად, პროვინცია ხუბეიში. ერთი კაცი გემის მოსამსახურეთა შემადგენლობიდან მოკლულია; ფიქრობენ ეს მოკლული ჩინელია. ხმებია, რომ ეს თავდასხმა უ-პეი-ფუს ჯარის ნაწილებმა მოახდინეს.

სუნ-ჩუან-ფანის ჯარების რიცხვი 60—100 ათასამდე უნდა იყოს.

### საბჭოთა სამხედრო წრეების აზრი

**მოსკოვი,** 28 სექტემბერი. ავტორიტეტულმა სამხედრო წრეებმა საბჭოთა ტელეგრაფის სააგენტოს თანამშრომელს გადასცეს შემდეგი ცნობები იმ გენერალური ბრძოლის შესახებ, რომელიც ამჟამად ციან-სის პროვინციაში სწარმოებს. ციან - სის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში წარმოებული გენერალური ბრძოლა ნაციონალურ ჯარისა და სუნ-ჩუან-ფანს შორის. იპყრობს საერთო ყურადღებას. მის შედეგებზე არის დამოკიდებული სამოქალაქო ომის მსვლელობა ჩინეთში ახლო მომავალში.

სუნ-ჩუან-ფანი, რომლის არსებობა საბედისწერო წუთებს განიცდის, ყოველგვარ ღონეს ხმარობს, რომ შეაჩეროს კანტონის ნაციონალურ - რევოლიუციონური ჯარის ძლევამოსილი მსვლელობა. სუნ-ჩუან-ფანმა გადაიყვანა ციან-სის პროვინციაში საუკეთესო ძალები. სუნ-ჩუან-ფანის ჯარების საერთო რიცხვი უდრის 90,000 კაცს. თუ დაუმატებთ იმ გარემოებას, რომ სუნ - ჩუან-ფანის ჯარს, თითქმის, ერთი წელიწადია არ მიუღია მონაწილეობა ომში, მაშინ კანტონის ჯარებს, რომლებმაც ათასი ვერსი გაიარეს გუან-დუნიდან ხანკოუში და რამოდენიმეჯერ ფრიად სერიოზული შეტაკება ჰქონდათ უ-პეი-ფუს ჯარებთან არც ისე ადვილი ამოცანა აქვთ შესასრულებელი. ნაც. - რევ. ჯარების რიცხვი, თუ დაუმატებთ გზა და გზა შემოერთებულ ჯარისკაცებს უ-პეი-ფუს დამარცხების შემდეგ, აღწევს 200.000 კაცამდე. მაგრამ ეს არმია გაფანტულია ვეებერთელა სივრცეზე—თითქმის დასავლეთ ევროპის ოდენა არეზე. კანტონის ჯარების რიცხვი, რომელიც ციან-სის საზღვრებში შეიჭრა არ აღემატება 60.000 ჯარისკაცს. ამნაირად რიცხვობრივი უპირატესობა სუნ-ჩუან ფანის მხარეზეა. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვფიქრობთ, რომ სუნ-ჩუან-ფანსაც ის ბედი ეწვია, რაც დაემართა მის ყოფილ შეფს უ-პეი-ფუს. დღეს ჩინეთის ნაციონალურ განმათავისუფლებელი მოძრაობის მოსისხლე მტრებისთვისაც ნათელი გახდა, რომ ნაციონალური რევოლიუციონური არმია წარმოადგენს გაღვიძებულ ახალგაზრდა ჩინეთს.

## ჩინეთის ქაოსი

### კანტონის მუშაობა

**პეკინი,** 27 სექტემბ. კანტონის არმიის მთავარმა შტაბმა ხანკოუში გამოაქვეყნა მთელი რიგი ახალი წესებისა:

სამხედრო პირებს არა აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივ ადმინისტრაციაში და ჩაერიონ მის განკარგულებაში; გადასახადების აკრეფის უფლება აქვთ მხოლოდ საფინანსო ორგანოებს; ცალკე პროვინციების მთავრობა უნდა მოეწყოს კანტონის მთავრობის მსგავსად; სამაზრო უფროსებს უნდა ნიშნავდეს პროვინციის მთავრობა; ყოველ მაზრაში უნდა დაინიშნოს პოლიტიკური ინსპექტორი, რომელიც გაუწევს კონტროლს მაზრის უფროსს.

**გადაწყდა დაუყოვნებლივ შეუდგენ პროპაგანდო მუშაობას, მასიურ ორგანიზაციების მოწყობას და მასებში პარტიული აღზრდის გავრცელებას.**

### უცხოეთის ძალები

**პეკინი,** 27 სექტემბ. **ხანკოუში მოვიდა კიდევ ამერიკის ორი მსუბუქი სამხედრო გემი.**

იაპონიის სამხედრო გემების რაოდენობა მდინარე იან-ცზი-ცზიანზე უდრის 11.

### ამხ. კარახანის გამგზავრება

**შანხაი,** 27 სექტემბერი. 26 სექტემბერს ამხ. კარახანი შანხაიდან ვლადივოსტოკში გაემგზავრა.

### ფინ-იუი-სიანი

**პეკინი,** 27 სექტემბერი. ჩინური გაზეთების ცნობით. **ფინ-იუი-სიანი ჩავიდა პროვინცია გან-სუს დედა-ქალაქში, ლან-ჯოუში.**

### შერეული სასამართლოები

**ლონდონი,** 28 სექტემბერი. საკონსულო კორპუსსა და ჩინეთის პროვინციალურ ხელისუფალთ შორის მიღწეულია შეთანხმება იმაზე, რომ მომავალი წლის დასაწყისიდან ჩინელებს გადაეცეს შანხაის შერეული სასამართლო.

### თემთა პალატაში

**ლონდონი,** 28 სექტემბერი. დღეს თემთა პალატის სხდომაზე ვან-სიანის ინციდენტის გამო განცხადებით გამოვიდა ბოლდუინი. ბოლდუინმა გააცნო პალატას გემების მოტაცებისა და ამის გამო მომხდარი შეტაკების ამბავი, განაცხადა—რომ ამჟამად სწარმოებს მოლაპარაკება სადაო საკითხების მოსაგვარებლად. კითხვაზე—რა ზომები არის მთავრობის მიერ მიღებული შორეულ აღმოსავლეთში სამხედრო ძალების გასაძლიერებლად პრემიერმა სთქვა— რომ **ამჟამად ჩინეთში მიემგზავრება 8 ნაღმოსანი,** რომელიც ჩინეთში მყოფ ძალებთან ერთად საკმარისი იქნება ინგლისის მოქალაქეთა დასაცავად.

კითხვაზე — რა ნაბიჯია მთავრობის მიერ გადადგმული იმ მდგომარეობის განსახილველად, რომელიც შექმნილია ჩინეთში—დაინტერესებულ სახელმწიფოებთან ერთად საერთო ზომების მისაღებად—ბოლდუინმა განაცხადა, რომ ეს საკითხი თვითეულმა სახელმწიფომ ცალკე უნდა გადაჭრას იმ გარემოებათა მიხედვით, რომელიც წამოიჭრება თვითეულ კერძო შემთხვევაში. კანტონის ჯარების მიერ ხანკოუსა და ხანიანის დაპყრობის გამო ბოლდუინმა განაცხადა, რომ ეს ფაქტი ბრიტანეთის ვაჭრობას და მრეწველობას არავითარ ზიანს არ აყენებს. სამხედრო ზონის გაფართოებამ იან-ცი-ციანის მიდამოებში გამოიწვია მცირეოდენი შეტაკება, რაც გამოიხატა ბრიტანეთის სავაჭრო გემებისათვის სროლის ატეხაში. ამის გამო ბრიტანეთის ხელისუფლებამ წარუდგინა კანტონის მთავრობას შესაფერი ნოტა და მსგავს ფაქტებს ამჟამად ადგილი აღარ აქვს. დასასრულ ბოლდუინმა სთქვა, რომ უკანასკნელი ცნობების მიხედვით მდგომარეობა ჩინეთში უმჯობესდება.

## საბჭოთა პრესა

### ხელფასის მომატების გარშემო

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, გადაწყვეტილია ხელფასის ნაწილობრივი გადიდება ამ მხრივ ჩამორჩენილ მუშებისათვის. მაშინ, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა კლასის საცხოვრებელი მინიმუმი სულ დაბლა მიდის, ჩვენში მუშების მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. საბჭოთა ხელისუფლება სახალხო მეურნეობის აღორძინების ყოველ საფეხურებს იყენებს მუშების კეთილდღეობის ასაწევად. სახალხო მეურნეობის მდგომარეობა და პერსპექტივები ამჟამად უკეთესია, ვინემ, მაგ., შარშან. ამან შექმნა ახალი შესაძლებლობა ხელფასის მომატებისათვის. მუშურ - გლეხურმა მთავრობამ ეხლაც არ დააყოვნა ამ შესაძლებლობის გამოყენება. ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ხელფასის მომატებას მნიშვნელობა აქვს არა მარტო მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

„მან უნდა შექმნას, — წერს „ეკონომიჩესკაია ჟიზნ",—აუცილებელი წინასწარი პირობა შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის, მან არ უნდა და არ შეიძლება გამოიწვიოს პროდუქციის თვითღირებულების გადიდება, პირიქით, ის უნდა გახდეს წარმოების შემდგომი გაშლის ფაქტორად. საკონტროლო ციფრების შედგენის დროს გათვალისწინებული იყო, რომ მიმდინარე წელს, განვლილ წელთან განსხვავებით, შრომის ნაყოფიერების ზრდა თავისი ტემპით უნდა გამოხატავდეს ხელფასის ზრდას და მუშათა რიცხვის გადიდებას. ეს ძირითადი ტენდენცია, რომელიც განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის და მრეწველობის შემდგომი პროგრესისთვის ძალთა და საშუალებათა დაგროვებას, სავსებით რჩება ძალაში. ხელფასის ამჟამად განზრახული მომატება უნდა გახდეს შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის სტიმულად. ამ მომატების განხორციელებასთან ერთად სამეურნეო და პროფესიულ ორგანიზაციების და მუშათა მასსების ყურადღება იქითკენ უნდა იყოს მიქცეული, რითა გაგრძელებულ, გაფართოვებულ და გაღრმავებულ იქნას მუშაობა შრომის ნაყოფიერების ასაწევად, მეურნეობის გასაჯანსაღებლად და განსავითარებლად. მაშინ ხელფასის ამ მომატებაში გვექნება ახალი საწინდარი მრეწველობის გაშლისა და ჩვენს წინაშე წამოჭრილ სიძნელეთა გადალახვისათვის".

ხელფასის მომავალ გადიდებას ეხება აგრეთვე გაზ. „ტრუდ", რომელიც, სხვათა შორის, აშუქებს საკითხს, თუ როგორ უნდა იქნეს განაწილებული მომატება მუშების სხვადასხვა კატეგორიებ შორის წარმოების შიგნით:

„სხვადასხვა პროფესიების შესახებ პროფკავშირების განკარგულებაში მყოფი ცნობები გვიჩვენებენ, რომ საგრძნობი განსხვავება არსებობს კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მუშების ხელფასში. კვალიფიციურ მუშების ხელფასის გაძლიერებული გადიდების პოლიტიკა სრულიად აუცილებელი იყო. ეს გამოწვეული იყო მრეწველობის დაქვეითების ხანაში სოფლად გაფანტულ კვალიფიციურ მუშების ფაბრიკებსა და ქარხნებში მიზიდვის საჭიროებით და იმ განსაკუთრებული როლით, რომელსაც კვალიფიციური მუშები ასრულებენ ჩვენს ტეხნიკურად ჩამორჩენილ მრეწველობაში. მაგრამ ამჟამად, როცა კვალიფიციურ მუშების ხელფასის რეალური დონე მიუახლოვდა, ხოლო მრავალ შემთხვევაში მან გადააჭარბა ომის წინანდელ დონეს, — კავშირებმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ დაბალ ხელფასის მქონე მუშებს. ეს აუცილებელია, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად. ამიტომ, ხელფასის მოსამატებლად გადადებულ საშუალებათა მეტი ნაწილი უმთავრესად უნდა მოხმარდეს დაბალ ხელფასის მქონე მუშათა ჯგუფების მდგომარეობის გაუმჯობესებას".

რა თქმა უნდა, ხელფასის მომატებასთან დაკავშირებით კიდევ მრავალი სხვა საკითხები წამოიჭრება, რომელთა დასამუშავებლად და ფართე მასსების ჩასაბმელად სახელშეკრულებო კამპანიაში ამ თავითვე უნდა იქნას მიღებული შესაფერი ზომები.

## პოლონეთის ახალი მთავრობა

### „ნახევრად მშიერი არსებობა"

**ვარშავა,** 27 სექტემბ. გუშინ ვარშავაში შესდგა სახელმწიფო მოსამსახურეთა მიტინგი. **მიტინგი ჩატარდა „მოხელეთა ნახევრად მშიერი არსებობის გაუმჯობესების" ლოზუნგით.**

### ისევ ბარტელი

**პარიზი,** 28 სექტემბერი. **ბარტელმა შეადგინა კაბინეტი.** მიმდინარე კვირაში კაბინეტი წარუდგება სეიმს. **უარყოფითი ვოტუმის შემთხვევაში, სეიმი დათხოვილი იქნება.**

### ნახშირის გატანა

**ვარშავა,** 27 სექტემბერი. ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვის პერიოდში პოლონეთის ნახშირის გაზიდვა 4-ჯერ გაიზარდა.

## ამხ. კრასინის გამგზავრება

**პარიზი,** 28 სექტემბერი. **ამხ. კრასინი ხვალ ლონდონში მიემგზავრება.**

## აჯანყება ალბანეთში

**ბერლინი,** 28 სექტემბერი. რადგან მეამბოხეებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს, **მთელ ალბანეთში გამოცხადებულია საალყო წესები.**

**ლონდონი,** 28 სექტემბერი. ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობებით, **ქუჩაში გამართულ ბრძოლის შემდეგ, რომელიც ორი დღე გაგრძელდა, ალბანელმა მეამბოხეებმა დაამარცხეს მთავრობის ჯარები და აიღეს ნავთსადგური სკუტარი.** იტყობინებიან, რომ ამბოხება დაიწყო ჩრდილოეთ ალბანეთში. **აჯანყებულები ამჟამად სცდილობენ შუა ალბანეთის მიმხრობას.**

საქართველოს
ეროვნული

# ინგლისის მუშების ბრძოლა

### თემთა პალატაში

**ლონდონი**, 28 სექტემბერი. დღეს თემთა პალატაში გრძელდება კამათი ქვა-ნახშირის კონფლიქტის გარშემო. ჩერჩილის განცხადებით, ნაციონალური საარბიტრაჟო ტრიბუნალი, რომლის შექმნაც განზრახული აქვს მთავრობას. მის განსახილველად წარდგენილ საკითხებში, მათ რიცხვში სამუშაო საათების საკითხშიც, არბიტრის უფლებას მიიღებს მას შემდეგ, როცა მიღწეული იქნება წინასწარი სარაიონო შეთანხმება.

### მემაღაროეთა ალმასკომში

**ლონდონი**, 28 სექტემბერი. დღეს გაიმართება სამთამადნო მუშათა ალმასკომის კრება იმ მოხსენების განსახილველად, რომელიც ხვალ სადელეგატო კონფერენციას უნდა წარედგინოს.

დღეს დღით ალმასკომი გენსაბჭოსთან ერთად თემთა პალატის შენობაში განიხილავს საკითხს შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

### „ძირს მთავრობა“

**ლონდონი**, 27 სექტემბერი. ინგლისის კომპარტიამ პრესაში გამოაქვეყნა მოწოდება, სათაურით: „ძირს მთავრობა“, რომელშიაც ნათქვამია, რომ მთავრობა ეხლა ცდილობს სამთამადნო მუშათა დათანხმებას სარაიონო შეთანხმებაზე და იძულებითი არბიტრაჟზე. კაპიტალისტებს განზრახული აქვთ, მას შემდეგ, რაც დამარცხებული იქნება მუშათა კლასის ერთი ყველაზე დიდი ნაწილთაგანი, შეუტიონ მუშების მეორე ნაწილს. ამიტომ კომუნისტური პარტია რკინისგზელთა და ტრანსპორტელების ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ შტრეიკბრეხერული ნახშირის შეზიდვის აკრძალვა ნიშნავს არა მარტო დახმარებას სამთამადნო მუშებისათვის, არამედ მათივე დასაცავად გადადგმულ პირველ ნაბიჯს. გარიყულებისათვის შემდეგ ათჯერ უფრო ძნელი იქნება ბრძოლა.

კომუნისტური პარტია მუშებს მოუწოდებს სამუშაო ხელფასიდან გადასდონ ხუთ პროცენტიანი ანარიცხი, რაც არა მარტო დაეხმარება მემაღაროებს, არამედ საერთოდ შეასუსტებს კაპიტალისტებს.

ამ ზომების განხორციელებისათვის წარმოებულ ბრძოლას თან უნდა სდევდეს, აგრეთვე, ბრძოლა პარლამენტის დასათხოვად, რომ ნიადაგი შექმნეს ნამდვილი მუშური მთავრობის შედგენას, რაც თავის მხრივ გამოიწვევს მაღაროების უსასყიდლო ნაციონალიზაციას და წარმოებაზე მუშათა კონტროლის შემოღებას.

# გაფიცვები საფრანგეთში

### ნავთსადგურში

**პარიზი**, 27 სექტემბ. რეფორმისტები ძალიან დააფრთხო კომპარტიის გამარჯვებამ დიუნკირხენის დოკერების გაფიცვის დროს. ამის გამო ისინი გაძლიერებულ აგიტაციას ეწეოდენ იმისათვის, რომ დოკერებს მიეღოთ მწარმოებელთა მიერ წარმოდგენილი პირობები. რეფორმისტების აგიტაციამ გასჭრა. საიდუმლო კენჭის ყრის დროს 1.300 მუშამ 800 წინააღმდეგ ხმა მისცა მუშაობის განახლებას.

უნდა აღინიშნოს, რომ გაფიცვის ხელმძღვანელობა ყოველთვის რეფორმისტების ხელში იყო. გაფიცვის პირველ დღეებში უნიტარულ რევოლიუციონურ კავშირებს ემხრობოდა სულ 350 მუშა, ეხლა კი ეს რიცხვი ორჯელ გაიზარდა.

### მელითონეთა შორის

**პარიზი**, 28 სექტემბ. შატო რენოს. გაფიცულ მელითონეთა შორის მოხდა კენჭის ყრა გაფიცვის გაგრძელების საკითხის შესახებ. კენჭის ყრაში მონაწილეთა 90 პროც-მა ხმა მისცა მწარმოებელთა პირობების მიღების წინააღმდეგ.

# აღმოსავლეთი და ერთა ლიგა

**სტამბოლი**, 27 სექტემბერი, გაზეთი „იენი სესსი“ დიდ წერილს ათავსებს ასეთი სათაურით: „ერთობა აღმოსავლეთში“. ამ წერილში გატარებულია პარალელი ერთა ლიგის პირფერი პაციფისტური პოლიტიკისა, „რომელმაც დღემდე ვერც ერთ გულწრფელ კავშირამდე ვერ მიგვიყვანა“ და აღმოსავლეთში შექმნილ ერთობას შორის, რომელიც დაიწყო ყოველგვარი მდგომარეობის გარეშე და დღითი დღე ფართოვდება და მტკიცდება“.

„ამ ერთობის შემქნელი და აღმშენებელი, სწერს გაზეთი, არის საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის ხალხი. ამგვარად ოთხი ქვეყნის შორის: ოსმალეთსა, საბჭოთა კავშირსა, სპარსეთსა და ავღანისტანს შორის არის პოლიტიკური კავშირი, რომელიც ინტერესთა ერთობამ წარმოშვა. აღმოსავლეთში დამყარებული კავშირი არ განისაზღვრება მასში შემავალ სახელმწიფოთა მხოლოდ უშიშროების გარანტიით; იგი აგრეთვე გამოიწვევს ახალ ორიენტაციას ერთის მხრით საბჭოთა კავშირისა და ოსმალეთის და მეორეს მხრით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობაში. ბუნებრივია, რომ ასეთი მდგომარეობა არ ესიამოვნება ერთა ლიგას და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სწორედ ჟენევის წრეები ან გამოვა პირველი მტრული გამოძახილი ამ კავშირის შექმნის გამო.

# მუსლიმანთა კონგრესი

**მოსკოვი**, 27 სექტემბერი. მექის სრულიად მუსლიმანთა კონგრესზე საბჭოთა კავშირის მუსლიმანთა მიერ გაგზავნილი დელეგაციის თავმჯდომარემ მუფტი ფახრედინმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„ვახაბიტების ბელადმა იბნ-საუდმა ამა წლის 1-ლ ივნისს მექაში მოიწვია სრულიად მუსლიმანთა პირველი კონგრესი. კონგრესის მიზანი იყო სხვადასხვა ქვეყნების მუსლიმანთა ჩაბმა მთელი ქვეყნის მუსლიმანთათვის უწმინდეს ადგილების—მექისა და მედინის—გაფართოებისა და კეთილმოწყობის საქმეში და, აგრეთვე, მლოცველთა ყოველწლიური მოძრაობის მოწესრიგება.

კონგრესზე მიწვევის ბარათი ჩვენც—საბჭოთა კავშირის მუსლიმანებმაც მივიღეთ.

ჩვენი დელეგაცია 8 პირისაგან შესდგებოდა. კონგრესზე ჩამოსული 69 დელეგატი წარმოადგენდა დედამიწის თითქმის ყველა ქვეყნების მუსლიმანებს. კონგრესს დაესწრენ ოსმალეთისა, აზერბეიჯანისა, ინდოეთისა, ეგვიპტესი, სუმატრისა, იემენისა, სირიისა, პალესტინისა და მთელ რიგ სხვა ქვეყნების დელეგატები. კონგრესი გაიხსნა იბნ-საუდის სახელით მისი ერთ-ერთი მინისტრის სიტყვით. კონგრესმა მიიღო კონგრესის სტატუტი, რომლის მიხედვით სრულიად მუსლიმანთა კონგრესი წარმოადგენს მუდმივად მომქმედს დაწესებულებას და მოწვეულ უნდა იქნას ყოველ წ. კონგრესმა მიიღო მთელი რიგი დადგენილებებისა მუსლიმანთა წმინდა ადგილების კეთილმოწყობის საკითხებზე.

ჩვენი დელეგაციის პოზიცას ახასიათებდა ორი მომენტი: პირველი—უარყოფითი დამოკიდებულება იმპერიალისტური სახელმწიფოების ყველა ცდების მიმართ თავის სასარგებლოდ გამოიყენონ მუსლიმანური ხალხების რელიგიური გრძნობა და მისწრაფება გაერთიანებისაკენ; მეორე—სურვილი ყოველმხრივ ხელის შეწყობისა იბნ-საუდის ხელმძღვანელობით აღორძინებულ არაბულ სახელმწიფოს თვითგამორკვევისა, და მაშასადამე, ბრძოლა ამ სახელმწიფოს მეთაურის—იბნ-საუდისათვის ჩირქის მოცხების წინააღმდეგ.

დროულად მიმაჩნია ერთი-ორი სიტყვით აღვნიშნო ჩვენი დელეგაციისადმი დამოკიდებულება სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობის დროს. მრავალი უსიამოვნება შეხვდა დელეგაციას ეგვიპტეზე გავლის დროს. პორტ-საიდში ჩასვლისთანავე დელეგაცია გაგზავნილ იქმნა ინგლისის საპოლიციო სამმართველოში, სადაც ის დააპატიმრეს. მეორე დღეს ცხენოსანთა რაზმის თანხლებით, რომელსაც ინგლისელი ოფიცერი მეთაურობდა, დელეგაცია გაგზავნილ იქნა სუეცში, სადაც ის ერთი დღე იყო დაპატიმრებული.

როცა მექიდან გამოვბრუნდით, ალექსანდრიაში ჩამოსვლისთანავე მოგვათავსეს რკინის მოაჯირებით შემოზღუდულ და მხედართა გალიის მაგვარ ავტომობილში. ასეთ მდგომარეობაში მიგვიყვანეს პოლიციის სამმართველოში, სადაც დაპატიმრებული ვიყავით კიდევ 5 დღეს. ასე მოეპყრენ დელეგაციას ინგლისის სამფლობელოში, ეგვიპტეში სადაც საპოლიციო უბნებს სათავეში ინგლისელები უდგანან.

ამის წინააღმდეგ დელეგაციას უაღრესი პატივით და სიმპატიებით ეპყრობოდენ ჰეჯასისა და ოსმალეთის მთავრობების წარმომადგენლები კონგრესზე. ისევე, როგორც ამ ქვეყნების მოსახლეობა.

დასასრულ მე არ შემიძლია არ ავღნიშნო, რომ მუსლიმანებს ძველ, მეფისდროინდელ ხანაში ოცნებაც კი არ შეეძლოთ ისეთ მდგომარეობაზე, როგორც მათი წარმომადგენლები ასე აშკარად და თავისუფლად მიიღებდნენ მონაწილეობას მთელი ქვეყნის მუსლიმანთა კონგრესზე“.

# კონსტიტუციის ჭახრაკი

„პრეზიდენტის კარნახით შედგენილ საბერძნეთის ახალი კონსტიტუციით, ერთ და იმავე პირს არ შეუძლია პრემიერობა ერთ წელზე მეტი.

(დეპეშებიდან)



# ღამის ცნობები

### უმრავლესობის წინააღმდეგ

**პარიზი**, 28 სექტემბერი. ლიონში ქალაქის საბჭოს დახურულ სხდომაზე მოისმინეს სოციალისტების დეკლარაცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ერიო უნდა დარჩეს ქალაქის თავის თანამდებობაზე უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ.

ერიო, რომელიც გამოვიდა ამ საკითხის გამო, თავის მოქმედებას იმით ამართლებდა, რომ ემყარებოდა ნაციონალური წესიერების მხარის დაჭერის აუცილებლობას. სხდომა დაიხურა ხმის მიუცემლად.

### ლორდთა პალატამ მოიწონა

**პარიზი**, 28 სექტემბერი. ლორდთა პალატამ მოიწონა წინადადება საგანგებო მდგომარეობის გაგრძელების შესახებ.

### საერთო პირობები

**პარიზი**, 28 სექტემბერი. ბელგიის ფინანსთა მინისტრი ფრანკი ჩამოვიდა პარიზში პუანკარესთან მოსალაპარაკებლად ბელგიის ფრანკის სტაბილიზაციის შესახებ.

### სუნ-ჩუან-ფანს ეხმარებიან

**ტოკიო**, 28 სექტემბერი. იაპონიის პრესა იუწყება, რომ ინგლისმა მისცა სუნ-ჩუან-ფანს 5 მილიონი დოლარი და როგორც სჩანს, კანტონის წინააღმდეგ მებრძოლ გენერალს შემდეგშიაც მისცემს სამხედრო სესხს.

### მემაღაროელები მტკიცედ არიან

**ლონდონი**, 28 სექტემბერი. მემაღაროელები მტკიცედ არიან, თუ არ ჩავთვლით ცენტრალურ სანახშირო რაიონებს, სადაც ისინი ნაწილობრივ დაუბრუნდენ მაღაროებს, მთავარ სანახშირო რაიონებში გაფიცულია მუშების მთელი შემადგენლობა,—900.000 კაცი. მაღაროს მეპატრონეების განცხადებით სამუშაოს დაუბრუნდა სულ 78.128 კაცი, რაც გაფიცულთა 10 პროც. შეადგენს.

სამუშაოზე დაბრუნება აიხსნება ხელმძღვანელობის სისუსტით და ზოგიერთ ბელადების ვამყიდველი პოლიტიკით.

### მუშების დახვრეტა

**ვენა**, 28 სექტემბერი. ბუქარესტში (ბულგარეთი) დამთავრდა 26 მუშის და გლეხის პროცესი, რომელთაც წაყენებული ჰქონდათ ბრალდება პარტიზანულ რაზმებში მონაწილეობის შესახებ. სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა 7 ბრალდებულს, ხოლო 17-ს სამუდამო ციხე მიუსაჯა.

### დახმარების კამპანია

**ლონდონი**, 28 სექტემბერი. შესდგა მაღაროს მუშათა ფედერაციის ალმასკომისა და მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის შეერთებული სხდომა, რომელზედაც გაირჩა საკითხი გაფიცულ მუშებისათვის დახმარების კამპანიის მოწყობის შესახებ მთელ ინგლისში.

### ემზადებიან სადელეგატო კონფერენციისათვის

**ლონდონი**, 28 სექტემბერი. ხვალინდელ მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციის გამო, მემაღაროეთა ალმასკომი აწარმოებდა დღეს მოლაპარაკებას გენერალურ საბჭოსთან და ტრედიუნიონების კონგრესთან შექმნილი მდგომარეობის შესახებ—კერძოთ განიხილეს გუშინდელი კამათი თემთა პალატაში ნახშირის საკითხის შესახებ და აგრეთვე—ჩერჩილის განმარტება მთავრობის წინადადების შესახებ ამის შემდეგ მემაღაროეთა ალმასკომს თათბირი ჰქონდა მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციასთან.

### საბჭოთა კავშირი და ლიტვა

**მოსკოვი**, 28 სექტემბერი. მოსკოვში ჩამოვიდა ლიტვის მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი სლიჟევიჩი. იმავე დღეს ორივე მხარემ ხელი მოაწერეს საგარანტიო ხელშეკრულებას და ხელშეკრულებას ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის.

### აზერბეიჯანის ცაკის მე-4 სესია

**ბაქო**, 28 სექტემბერი. დღეს გაიხსნება აზერბეიჯანის ცენტრ. აღმას. კომიტეტის მე-4 სესია დღის წესრიგში დგას: 1926-27 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, აზერბეიჯანის მრეწველობის განვითარების გეგმა, წყალსადენის გეგმა და აქციზის დადგენილებათა დამტკიცება.

### საფრანგეთის მუშა ახალგაზრდობის მეორე დელეგაცია

**ლენინგრადი**, 28 სექტემბერი. ჩამოვიდა საფრანგეთის მუშა ახალგაზრდობის დელეგაცია 12 კაცის შემადგენლობით; მათ შორის ოთხი კომკავშირელია. დელეგაციის თავმჯდომარე არის სოციალისტური ახალგაზრდობის წარმომადგენელი ბოშე. დელეგაციის თავმჯდომარემ განაცხადა პრესის წარმომადგენელთან საუბარში, რომ ახალგაზრდობის მეორე დელეგაციის გამომგზავრება საჭირო გახდა, რადგან პირველ დელეგაციაში შედიოდენ განსაკუთრებით პარიზის წარმომადგენლები. მეორე დელეგაციაში შედიან სხვადასხვა პოლიტიკურ მიმართულებათა და საფრანგეთის სხვადასხვა რაიონების წარმომადგენლები. დელეგაციის მიზანია საბჭოთა ახალგაზრდობის მდგომარეობის ყოველმხრივი შესწავლა. დელეგაცია დაჰყოფს საბჭოთა კავშირში სამ კვირას.

# აზერიტიფაკის პასუხი შეერთებული შტატების მიწვევაზე

**ბაქო**, 28 სექტემბ. შეერთებული შტატების მოწვევის გამო—გაგზავნონ დელეგატები მეხუთე კოოპერატიულ ყრილობაზე—აზერიტიფაკის მიერ გაგზავნილ საპასუხო დეპეშაში აზერბეიჯანის კოოპერაციის სახელით ნათქვამია:

ეს მოწვევა განსაკუთრებით ძვირფასია იმით, რომ ის აღნიშნავს კოოპერაციის ინტერნაციონალობას და ამყარებს უშუალო კავშირს აზერბეიჯანისა და ამერიკის კოოპერაციას შორის. ის ამტკიცებს ამერიკის კოოპერაციის მუშათა სურვილს გააფართოვონ და გააღრმავონ თავისი მიღწევები კოოპერაციაში. აზერიტიფაკი განსაკუთრებით სასურველად სცნობს კაპიტალისტურ ქვეყნებში დამყარდეს მჭიდრო კავშირი კოოპერაციასა და პროფკავშირებს შორის ისე, როგორც საბჭოთა კავშირში არის.

დასასრულ დეპეშაში ნათქვამია, რომ ყრილობის დადგენილება ხელს შეუწყობს მუშათა მასების თვითმოქმედებას და კოოპერატიული მოძრაობის საბოლოო მიზნის—სოციალიზმის — მიღწევას.

# მთლიანი ფრონტისათვის

**პრაღა**, 28 სექტემბერი. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „რუდე პრავო“ აქვეყნებს კომპარტიის მოწოდებას სოციალ-დემოკრატიულ და ეროვნულ-სოციალისტური პარტიების მუშა-წევრებისადმი. მოწოდება აღნიშნავს ამ პარტიების ბელადთა მოღალატეობას და მოუწოდებს, რომ ეკონომიური კრიზისისა და რეაქციის შეტევის გამო გაერთიანებული ბრძოლა აწარმოონ მუშათა კლასის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის და შექმნან მთლიანი ფრონტი.

# პოლიციელთა კონგრესი

**ბერლინი**, 27 სექტემბ. ვოლფის სააგენტოს ცნობით, 27 სექტემბერს ბერლინში შესდგა პოლიციელთა საერთაშორისო კონგრესის საზეიმო გახსნა. კონგრესს ესწრება მრავალი უცხოელი წარმომადგენელი.

მისასალმებელ სიტყვაში კიულცმა განაცხადა, რომ გერმანია მზადაა აამოქმედოს მთელი თავისი ეროვნული ენერგია და საერთაშორისო თანამშრომლობას შესწიროს.

# მემარცხენეთა მოძრაობა
## იაპონიაში

**ტოკიო**, 27 სექტემბერი. მუშურ-გლეხურ პარტიის ალმასკომის დადგენილებამ, რომ პარტიაში არ უნდა იქნენ მიღებული კომუნისტები და მემარცხენე ორგანიზაციების წევრები, დიდი პროტესტი გამოიწვია პარტიის რიგებში. პარტიის ადგილობრივ განყოფილებათა მთელ რიგმა მოითხოვა ალმასკომის დადგენილების გაუქმება.

# ამხ. ბუდიონი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ცხენოსან ნაწილების ინსპექტორი, ამხ. ს. ბუდიონი.

ამხ. ბუდიონი დაათვალიერებს კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის ცხენოსან ნაწილებს.

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში წითელ ცხენოსან ჯარის მნიშვნელობის შესახებ მან განაცხადა შემდეგი:

ავიაციისა და ქიმიის გვერდით პირველი ადგილი უნდა დაეთმოს ცხენოსან ნაწილებს.

თუ წინეთ ცხენოსანი ჯარი მხოლოდ ფეხოსან ჯარის დამხმარე და ხელის შემწყობ ძალას წარმოადგენდა, რომელსაც ბრძოლა უნდა დაემთავრებია, როდესაც მოწინააღმდეგე დამარცხდებოდა, ამჟამად გაუმჯობესებულ ტეხნიკასთან დაკავშირებით ცხენოსან ჯარს შეუძლია დამოუკიდებელი სამხედრო ოპერაციები მოახდინოს. ეს აზრი დასავლეთ ევროპის სამხედრო სპეციალისტებშიც შეიჭრა და ეხლა თითქმის საერთოდ მიღებულია.



ცხენოსანი ჯარის შესახებ ორგვარი აზრი არსებობდა: მსოფლიო ომის შემდეგ 1922 წლამდე დასავლეთ ევროპის სამხედრო საქმეთა სპეციალისტები გამოსთქვამდენ იმ აზრს, რომ საჰაერო და ქიმიური ძალები სავსებით სპობს ცხენოსან ჯარის მნიშვნელობას მომავალ ომში.

ჩვენ კი ვფიქრობდით და ვფიქრობთ, რომ ცხენოსანი ჯარის მნიშვნელობა წარსულთან შედარებით კიდევ მეტად იზარდა.

ჩვენი წითელი ცხენოსანი ჯარი სავსებით მომზადებულია თავდაცვისათვის და მისი ბრძოლის უნარიანობა კიდევ მეტად ამაღლდება ახალი ძალების მომზადებით, როგორც არის 1904 წლის ჯარში გასაწვევი ახალგაზრდობა.

საუბრის დასასრულს ამხ. ბუდიონმა განაცხადა, რომ ის ვინც შეეცდება მშრომელთა მშვიდობიან სამეურნეო აღმშენებლობისათვის ხელის შეშლას, მიიღებს ღირსეულ პასუხს.

# საბჭოთა კავშირში
## რუსეთი

### ლიტოველი სტუმრები

**მოსკოვი**, 28 სექტემბერი. 28 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ლიტოვეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი—სლიჟევიჩი. ამასთან ერთად, მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლიტოვეთში—ალექსანდროვსკი. ბელორუსეთ-ბალტიის სადგურზე ჩამოსულებს დახვდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი, საგარ. საქმ. სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი სტომონიაკოვი და სხ.

### კონსერვების ექსპორტი

**მოსკოვი**, 28 სექტემბერი. მიმდინარე 1926—27 საოპერაციო წლის საკონსერვო სინდიკატი უცხოეთში გაიტანს 40.000 ფ. სხვადასხვა კონსერვებს, ღირებულს 500.000 მან. კონსერვები უმთავრესად გატანილი იქნება ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და ნორვეგიაში.

საბჭოთა კონსერვების ექსპორტს კრედიტს უწყნიან უცხოეთის ფირმები.

### პურის დამზადება

**მოსკოვი**, 28 სექტემბერი. მომხმარებელ რაიონებში ოქტომბერში პურის შემოზიდვის გეგმა პურის დამმზადებელ გენერალურ საკონფერენციო ბიუროს მიერ გამორკვეულია 10 მილ. ფუთი ხორბლის და 5.700.000 ფუთი. ჭვავის რაოდენობით. ამ რიცხვში არ შედის აგვისტოს და სექტემბრის თვეების დანაკლისი, რომელიც აგრეთვე ჩაბარებულ უნდა იქნას.

### ობლიგაციების გაყიდვა

**მოსკოვი**, 28 სექტემბ. წინასწარი ცნობების მიხედვით ახალი სესხის ობლიგაციების გაყიდვიდან მოსკოვში ორი დღის განმავლობაში შემოვიდა—1.420.155 მან.

### კომკავშირის ცეკას პლენუმი

**მოსკოვი**, 28 სექტემბ. კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტის მესამე გაფართოებული პლენუმი შეიკრიბება მოსკოვში 25 ოქტომბერს.

### ქიმიის ბიურო

**მოსკოვი**, 28 სექტემბერი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ სასურველად სცნო საბჭოთა კავშირის მონაწილეობის მიღება საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულია ოქტომბერში, პარიზში ქიმიის საერთაშორისო ბიუროს დასაარსებლად.

### შვებულება ამხ. კუიბიშევს

**მოსკოვი**, 28 სექტემბერი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ, სახალ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეს კუიბიშევს, ავადმყოფობის გამო, მისცა მოკლევადიანი შვებულება.

### ნაადრევი ზამთარი

**ჩიტა**. 28 სექტემბერი. უჩვეულოთ ნაადრევად თოვლი მოვიდა.

### ნავთის მრეწველობა

**მოსკოვი**, 28 სექტემბერი. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სამთა-სათბობის მრეწველობის მართველობის ახალი ორგანიზაციული სქემის მიხედვით, ნავთის მრეწველობის დირექტორიატის გამგებლობაში იმყოფება მთელი ნავთის მრეწველობა, სახელდობრ: აზერბეიჯანის ნავთი, გროზნის ნავთი, ემბას ნავთი, ნავთის სინდიკატი, აგრეთვე რესპუბლიკის ადგილობრივ მნიშვნელობის მქონე ტრესტები, როგორიც არის: თურქმენ-ნავთი და უზბეკ-ნავთი.

### კრედიტი მუშა-მოსამსახურეებისათვის

**მოსკოვი**, 28 სექტემბ. არსებული კანონის შესაცვლელად საკავშირო სახკომსაბჭომ დაადგინა, რომ ის ხელშეკრულებები, რომელსაც წარმოებები და დაწესებულებები სდებენ, როგორც მომხმარებელ საზოგადოებებთან, ისე მის კავშირებთან მუშა-მოსამსახურეებისათვის საქონლის ნისიათ მიცემის შესახებ და აგრეთვე ამ მუშა-მოსამსახურეთა ხელშეკრულებები მომხმარებელ საზოგადოებებთან უნდა დაიბეგროს მესამე ხარისხის პროპორციონალური საღერბო გადასახადით.

# ნავთმზიდავი ფლოტი

**მოსკოვი**, 28 სექტემბერი. შრომისა და თავდაცვის საბჭოში წარმოდგენილია განმარტებითი ბარათი 1927 წელში ნავთმზიდავი ფლოტის გაძლიერების საკითხზე. ამ ბარათს ხელს აწერენ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რუხიმოვიჩი და გზათა სახალხო კომისარის მოადგილე სერებრიაკოვი. ბარათში აღნიშნულია, რომ 1927 საოპერაციო წელში ნავთის სინდიკატის გეგმით ზღვით გადატანილი უნდა იქნას 251 ½ მილ. ფუთი ნავთი. ამჟამად ეს რიცხვი შემცირებულ იქნა 217 მილ. ფუთამდე. კასპიის ფლოტის შესაკეთებლათ, ისე, რომ ის გამოდგეს 1927 წლის საგადასახადო ოპერაციებისათვის, საჭიროა 1.655.000 მან., გარდა იმ 2 მილიონი მანეთისა, რომელიც ხმარდება სანავთმზიდავო გემების ყოველწლიურ ჩვეულებრივ შეკეთებას.

# ამიერ-კავკასიის ფედერაციაში
## აზერბეიჯანი

### ელექტროფიკაცია

**ბაქო**, 28 სექტემბ. ზაქათალის მაზრის სოფ. ბელოკანში გლეხების თაოსნობით შენდება ელექტრო-სადგური, 360 ელმაშუქისთვის.

### ბრძოლა ფილოქსერასთან

**ბაქო**, 28 სექტემბ. ფილოქსერასთან სასწრაფო ბრძოლის მიზნით, უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ აუცილებელ საჭიროებათ სცნო ამერიკულ ვაზების ორი სანერგის მოწყობა განჯის და შამქორის რაიონებში, რისთვისაც დაიხარჯება 40.000 მანეთი.

### ლითონი

**ბაქო**, 28 სექტემბ. მიმდინარე თვის განმავლობაში ლითონით—მოვაჭრე ორგანიზაციებმა სპარსეთში გაგზავნეს ლითონის სხვადასხვა საქონელი. 283.000 მანეთის ღირებულებისა.

# უპარტიოთა კონფერენცია

**სოხუმი**, 28 სექტემბერი. დასრულდა სოხუმის უპარტიოთა მესამე პროფკავშირული კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 270 დელეგატი პროფკავშირების 2.700 წევრისაგან.

მუშათა სამკურნალო განყოფილების გამგეობის კომიტეტის მოხსენებაზე მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: გაძლიერდეს ბოგანოთა სამკურნალო დახმარება, ამბულატორიასთან გაიხსნას ფიზიკური მკურნალობის კაბინეტი და ქიმიო-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, გაიხსნას აფთიაქი დაზღვეულთათვის, გაფართოვდეს დიდ წარმოებებში ამბულატორიულ პუნქტების ქსელი, გაძლიერდეს კონტროლი კერძო წარმოებათა დაზღვეულებზე და მიღებულ იქნას ზომები სოხუმში კიდევ ერთი დიდი საავადმყოფოს გასახსნელად.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლაკობას მოხსენებაზე საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის შესახებ მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს, რომ ჩვენ სხვების დახმარების გარეშე შევსძლებთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განხორციელებას.

დელეგატები კამათში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ.

# საფრანგეთის რკინის გზის მუშათა დელეგაცია თბილისში

გუშინ, ღამის 10 საათზე საქართველოს სამხედრო გზით, თბილისს ესტუმრა საფრანგეთის რკინისგზის და ადგილობრივ ტრანსპორტის მუშათა დელეგაცია. დელეგაციის შესახვედრათ თბილისიდან მცხეთაში გაემგზავრენ ა.-კ. რკ. გზელთა პროფკავშირის და ადგილობრივ ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის პრეზიდიუმები ამხ. პარმენ საბაშვილის მეთაურობით. საღამოს 7 საათზე მცხეთაში ჩამოვიდა დელეგატების ერთი ნაწილი, მეორე ნაწილი კი დაგვიანებით ჩამოვიდა. დელეგატებს მიეგებნენ ჩვენი პასუხისმგებელი პროფმუშაკები. დელეგატებს განსაკუთრებით აინტერესებდათ მცხეთა. მცირე საუბრის შემდეგ ისინი გამოემგზავრენ თბილისში.

### დელეგაციის შემადგენლობა

საფრანგეთის რკ. გზ. და ადგ. ტრანსპორტის მუშათა დელეგაცია შესდგება 9 კაცისაგან: მათ შორის 5 რკინისგზელია და 4 ადგილობრივ ტრანსპორტის მუშაკი.

დელეგაციის პირადი შემადგენლობა ასეთია:

1) **დეგრანჟი** — დელეგაციის თავმჯდომარე, სოციალ-დემოკრატი, რკ. გზელთა რეფორმისტულ კავშირის წევრი, დურგალი.

2) **ვაკეტი** — დელეგაციის მდივანი, კომუნისტი, ტრანსპორტის მუშაკთა უნიტარულ კავშირის წევრი, შოფერი, პროფესიით — ელექტროტეხნიკი.

3) **ბელევრი** — რკინისგზელთა რეფორმისტულ კავშირის წევრი, მუშაობიდან დათხოვნილია 1920 წელში საფრანგეთში ჩატარებულ გაფიცვის გამო, უპარტიო, მონტიორი.

4) **ბრიში** — რკინისგზელთა უნიტარულ ფედერაციის წევრი, დურგალი.

5) **მაიუ** — რკ. გზ. უნიტარულ ფედერაციის წევრი, სახელოსნოების მუშა, კომუნისტი.

6) **ლეუე** — რკ. გზ. უნიტ. ფედერაციის წევრი, მტვირთავი მუშა, კომუნისტი.

7) **გალანი** — შოფერების კავშირის წევრი — შოფერი.

8) **ნური** — ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის მდივანი, მექანიკი.

9) **პიკარი** — შოფერთა კავშირის წევრი, შოფერი, უპარტიო.

დელეგაციას თან ახლავს საბჭოთა კავშირის რკინისგზელთა პროფკავშირის ცენტ. კომ. წევრი ამხ. **გრომოვი** და საფრანგეთის რევოლიუციონურ ორგანიზაციათა წარმომადგენელი პროფინტერნში.

დელეგაციის ჩამოჰყვა საფრანგეთიდან ერთი თარჯიმანი და მხატვარი.

გარდა რკინისგზის ტრანსპორტის მდგომარეობის გაცნობისა, საფრანგეთის მუშათა დელეგაციას უმთავრესად აინტერესებს საბჭოთა კავშირის მეურნეობის ყველა დარგების მდგომარეობის გაცნობა, ის დიდის ინტერესით ათვალიერებდა რუსეთში სასწავლებლებს, ბავშვთა სახლებს, კერებს; გაეცნენ სწავლისა და მკურნალობის საქმეს.

დელეგაციის მიზანია გაეცნოს საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციულ სტრუქტურას და ნაციონალურ საკითხს საბჭოთა კავშირში. ამ მიზნით მათ დაათვალიერეს, როგორც საბჭოთა, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მოსკოვში დელეგაციამ დაჰყო 8 დღე. აქ მათ ინახულეს რკ. გზ. სახელოსნოები და დეპოები, საბავშვო სახლები, სანატორიუმები, საავათმყოფოები, გამასწორებელი სახლები და სხვა მრავალი ორგანიზაციები.

ამის შემდეგ დელეგაცია ჩამოვიდა ხარკოვში. აქ მათ ინახულეს ელექტრო-ქარხანა, მუშათა უბანი და რკ. გზ. სახელოსნოები. დელეგაცია გაეცნო ქალაქის საბჭოს ორგანიზაციულ სტრუქტურას, მის ფუნქციებს და საბჭოთა არჩევნების წესებს.

როსტოვში დელეგაციამ ინახულა რკ. გზელთა ქალაქი—ბაღი; იგი გამოვიდა აგრეთვე რკინისგზელთა და პროფაქტივის მრავალრიცხოვან მიტინგებზე, სადაც მათთან ერთად გამოდიოდა ინგლისის მემაღაროეთა ცოლების დელეგაცია.

დელეგატებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა საბავშვო სახლების მდგომარეობამ და სამკურნალო დაწესებულებების მუშაობამ.

კერძო საუბარში ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან დელეგატებმა აღნიშნეს, რომ მათ სულ სხვა წარმოდგენა ჰქონდათ საბჭოთა კავშირზე საფრანგეთის ბურჟუაზიულ და მენშევიკურ პრესის წყალობით.



საფრანგეთის რკინისგზელთა დელეგაცია

მაღლა—დელეგაციის თავმჯდომარე, სოც.-დემოკრატი **დეგრანჟი**

—„საბჭოთა კავშირში — განაცხადეს დელეგატებმა — ჩვენ დავრწმუნდით, რომ ევროპის ბურჟუაზიული პრესის ცნობები საზიზღარ ჭორს შეიცავს“.

მათვე განაცხადეს, რომ საფრანგეთიდან გადაწყვეტილი იყო 15 დელეგატის გამოგზავნა, მაგრამ რკინისგზის კომპანიამ დელეგაციის წინააღმდეგ სასტიკ საშუალებებს მიმართა. იგი დაემუქრა დელეგატებს სამუშაოდან დათხოვნით. ამის გამო დელეგატების ნაწილი საბჭოთა კავშირში ვერ გამოემგზავრა.

ორმა დელეგატმა უკვე მოსკოვში მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ ისინი დათხოვნილი არიან სამუშაოდან.

თბილისში დელეგაცია დაჰყოფს 2—3 დღეს. ამის შემდეგ, იგი გაემგზავრება ბაქოში, მინერალური წყლებში, ეკატერინოსლავში, კიევში, სვერდლოვსკში, ლენინგრადში და უკანვე მოსკოვში, რის შემდეგ ის დაბრუნდება საფრანგეთში.

### ბანკეტი

სასტუმრო „ორი“-ში გამართულ ბანკეტზე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **პარმენ საბაშვილმა**. ის მისალმა სტუმრებს ა.-კ. რკინისგზის მუშათა სახელით. თავის მოკლე სიტყვაში ამხ. საბაშვილმა მიმართა დელეგატებს კარგათ გაეცნონ საბჭოთა კავშირის სინამდვილეს მის მიღწევებს მეურნეობის ყველა ფრონტზე და მიუთითოს მათ ნაკლულოვანებებზე.

— აქამდე, სთქვა მან, ჩვენ ვიბრძოდით მარტოდ მარტო კაპიტალის წინააღმდეგ, მოწყვეტილი ვიყავით თქვენგან. არ გვქონდა ჩვენ არავითარი კავშირი ურთიერთთან. დღეს ჩვენ ვისმენთ თქვენს გამამხნევებელ სიტყვებს, ეს ფაქტი თავდებია იმის, რომ ახლოა ჟამი მთელი ქვეყნის დაქსაქსული მუშათა კლასის გაერთიანებისა, რაც საბოლოოდ ჩასცემს ლახვარს მსოფლიო კაპიტალს.

შემდეგ ამხ. საბაშვილი შეეხო საქართველოს საკითხს. მან სთქვა:—„აქედან გაქცეული ჩვენი „თანამემამულენი“ — ბურჟუაზიის ლაქიები—მენშევიკები, რომლებმაც გაიტაცეს ქართველი ხალხის ქონება, გარწმუნებენ თქვენ მასში, თითქოს ქართველი ხალხი ცუდ მდგომარეობაში იყოს. თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ ჩვენი ქვეყნის სინამდვილეს და გაიგებთ თუ რა მიღწევებს აქვს ადგილი ჩვენი ხალხის ეკონომიურ და კულტურულ განვითარების საქმეში.

### ამხ. დეგრანჟის სიტყვა

საპასუხო სიტყვაში დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. დეგრანჟმა აღნიშნა, რომ დელეგაცია დიდის ინტერესით ეცნობა საბჭოთა კავშირის მეურნეობის და ხელისუფლების მიღწევებს.

—„ჩვენ მუდამ გვესმოდა ბურჟუაზიული პრესის ჭორები საბჭოთა კავშირზე, მაგრამ აქ ყოფნით დავრწმუნდით, რომ ეს მუშათა კლასის თვალების ასახვევათაა შეთითხნილი. ჩვენ დავათვალიერეთ ბევრი ქალაქები. ყველგან კმაყოფილი არიან ხელისუფლებით როგორც მუშები, ისე ყველა მოქალაქენი, აღდგენილია ომისაგან დანგრეული ინდუსტრია და ყველგან მშენებლობაა გაჩაღებული. თქვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია ამის საუკეთესო თავდებია.

ჩვენ ძლიერ მოგვეწონა თბილისი. ეს ჩვენთვის მეორე პარიზია“.

სიტყვის დასასრულს ამხ. დეგრანჟმა სთქვა:—„ჩვენ მოვახსენებთ სიმართლეს საბჭოთა კავშირის შესახებ ჩვენი ქვეყნის მუშებს, რომლებმაც ჩვენ გამოგვგზავნა თქვენთან. დარწმუნებული ვართ, რომ დავარწმუნებთ მათ ამ სიმართლეში. ეს კი თავდებია მსოფლიო მუშათა გაერთიანებისა კაპიტალიზმის წინააღმდეგ“.

ბანკეტზე ყველა დელეგატებმა ხაზი გაუსვეს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინების საქმეს.

დელეგაციას თბილისში განზრახული აქვს ინახულოს რკ. გზ. მთ. სახელოსნოები და სხვადასხვა საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციები. მათვე განზრახვა აქვთ ესაუბრონ გამოსახლში მოთავსებულ მენშევიკებს.

# ბრძოლა მომჭირნეობისათვის

## ფარული ხელფასის წინააღმდეგ

არაერთხელ გვსმენია პარტიისა და ხელისუფლების პასუხისმგებელ წარმომადგენლებისაგან, რომ მომჭირნეობის რეჟიმი არ უნდა იქნას მიმართული მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუარესებისაკენ.

ამხ. სტალინის, რიკოვის და კუიბიშევის სპეციალურ მიმართვაში მომჭირნეობის შესახებ ეს მომენტი ხაზგასმით იყო აღნიშნული. ისინი, ვინც მომჭირნეობის კამპანიის აზრს ასე დაამახინჯებენ, სასტიკ პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემული.

ამნაირად, გადაჭრით აღკვეთილია მომჭირნეობის კამპანიის საფარ ქვეშ მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური მდგომარეობის გაუარესება და ამნაირი საშუალებით დაზოგვის წარმოება, მაგრამ ამავე დროს ჩვენს წინაშე ისმება მთელი რიგი პრაქტიკული საკითხები, რომელნიც უშუალოდ შეეხებიან ხელფასს და რომელნიც უთუოდ უნდა იქნან მოწესრიგებული სწორეთ მომჭირნეობის კამპანიასთან დაკავშირებით.

მე ვლაპარაკობ ზედმეტ საათებზე ნარდათ მუშაობაზე, სხვადასხვა ფარულ შეღავათებზე, რომელსაც ადგილი აქვს ბევრგან. (სამსახურში სასიარულო ხარჯების დაფარვა, მოსამსახურეთათვის ბინების შესაძენ, ან ბინების შესაკეთებელ თანხის მიცემა, საქონლის დაკლებულ ფასებში დარიგება და სხვა).

როგორ მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში? უნდა ვებრძოლოთ თუ არა ამგვარ ხელფასს? იქნება თუ არა ეს მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ მდგომარეობის შევიწროვება? რასაკვირველია,—არა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამგვარი შეღავათებით ან ფარული ხელფასით სარგებლობს მუშა-მოსამსახურეთა დიდი უმცირესობა და განსაკუთრებით ადმინისტრატიულ თანამდებობის პირები. ასე, რომ ბრძოლა ხელფასის მალულად გადიდებასთან სრულიადაც არ შეეხება მუშა-მოსამსახურეთა მთავარ მასას.

ამავე დროს ასეთ მდგომარეობას დიდი არევ-დარევა შეაქვს ჩვენს სატარიფო მუშაობაში. არსებულ განაკვეთებს ამ პირობებში თავისი აზრი და მნიშვნელობა ეკარგება. გარდა ამისა ეს ხელს უწყობს უმუშევრობის ზრდას.

ზედმეტ საათებში და სხვადასხვა სახის შეღავათებში დახარჯულ თანხით შეიძლებოდა უმუშევარის მოწვევა, თუ ამას საქმე ითხოვს, რასაკვირველია. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ზოგჯერ ზედმეტი მუშაობა ხელოვნურადაც იქმნება და შეღავათებიც სრულიად უსაფუძვლოდ ეძლევა თანამშრომელს, რომ ამით გაუდიდონ მას ხელფასი.

ჩვენ სასტიკი წინააღმდეგი ვართ მუშა-მოსამსახურეთა ნივთიერ მდგომარეობის ოდნავ მაინც შევიწროვებისა, მაგრამ ამავე დროს ასეთივე სასტიკი მოწინააღმდეგენი უნდა ვიყოთ ყოველგვარ ფარულ, კანონით გაუთვალისწინებელი ხელფასის. ამ მხრივ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი. პირველი სიტყვა აქ პროფესულ კავშირებს ეკუთვნით.

**ნ. გლანელი.**

## პასუხად „მეაბრეშუმე“-ს

გაზეთ „კომუნისტის“ 24 სექტემბრის №-ში მოთავსებულია წერილი, „მეაბრეშუმეობის სპეკიალისტების“—სათაურით, თავიდან ბოლომდე მიმართულ პირადათ ჩემს,—იოსებ ქუთათელაძის წინააღმდეგ. ჩემი მოქმედება სწარმოებს ყოველთვის სრულიათ ღიათ და აშკარათ. ვისაც ამ მოქმედების შეფასება სწადიან, შეუძლიან დაემყაროს უდავო ფაქტებს, რომელნიც ყოველთვის დოკუმენტალურათ აღინიშნებიან სათანადო ოფიციალურ საბუთებში. დასახელებულ წერილის ავტორი-კი ემყარება ყალბ ცნობებს, შეკოწიწებულს ერთმანეთთან ისე, თითქოს მე მეაბრეშუმეობის საქმეში მეწარმოებინოს სისტემატიური ბოროტმოქმედება. ავტორთან პოლემიკას არ ვაპირებ, მაგრამ აღვნიშნავ ყალბ ცნობებს, რომლებსაც ის იხვევს ხელზე ჩემ პიროვნების შესალახავად. აი ეს ცნობები.

1) „ოგანოვის და გედევან ქუთათელაძის კამპანიას,—ამბობს წერილის ავტორი,—საქმის დაწყებისას არაფერი არ გააჩნდა, მაგრამ სათავეში ვყავდი მე, იოსებ ქუთათელაძე, და „თბილ კომპანიას“ მიეცა სახელმწიფოსაგან სათესლე პარკი, ავანსები სამუშაოთ და სახელმწიფო ინვენტარი“... ნამდვილად ოგანოვი ერთ-ერთი უძველესი გრენიორია, მან ამ 32 წლის წინეთ, 1895 წელს, ჩვენ მიერ გამართულ საბრეშუმო კურსებზედ გედევან ქუთათელაძე და სხვებთან ერთად პრაქტიკულათ შეისწავლა მეთესლეობა და ამ დროიდან აწარმოებს ადგილობრივ მეთესლეობას. 1921—1922 წელს, როგორც მახსოვს, ის შეუამხანაგდა გედევან ქუთათელაძეს. მართალია, ეს უკანასკნელი ჩემი ძმა არის, მაგრამ მისსა და ოგანოვის ამხანაგობის წარმოებასთან მე არასოდეს საერთო არა მქონია რა.

ვინაიდან საქართველოში პარკის თავისუფლათ შესყიდვა აკრძალული იყო და მეთესლეებს არ შეეძლო სათესლე პარკის შეძენა, თანახმად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებისა, 21 წლიდან დღემდე ყველა მეთესლეს, როგორც კერძოებს, ისე სახელმწიფო ორგანიზაციებს, ეძლევათ განსაზღვრულ პირობებში პარკის მონოპოლიის ჩამტარებელ ორგანიზაციებიდან (ყოფილ სასურკომიტეტისაგან, ცეკავშირისაგან და ამჟამათ აბრეშუმისაგან) სათესლე ნედლი პარკი, მთავრობისაგან დაწესებულ ფასში. და ისე როგორც სხვა გრენიორებისათვის არავითარი ავანსი ამ „თბილ კომპანიისა“-თვის არ მიუციათ და სახელმწიფო ინვენტარის გადაცემა მისთვის არავის ფიქრადაც არ მოსვლია.

2) ამხანაგობა „გრენიორი“ წარმოადგენს სანდო (საარტელო) ამხანაგობას, რომლის რწმუნებულადაც მიწვეულია გედევან ქუთათელაძე, როგორც მეაბრეშუმეობის ტეხნიკოსი და მცოდნე პირი. ეს ამხანაგობა და არა გედევან ქუთათელაძე აბრეშუმის მონოპოლიის ჩამტარებელ ორგანიზაციისაგან იღებდა სათესლე პარკს იმავე პირობებში და ფასში, როგორც ყველა სხვა გრენის დამამზადებელი საწარმო. არავითარი დახმარება არც ავანსის და არც ინვენტარის სახით არ მიუღია არც „გრენიორ“-ს და არც გედევან ქუთათელაძეს.

3) „გრენიორი“-ს დამზადებული თესლი ისეთივე ღირსებისა გამოდგა, როგორც სხვა მწარმოებლების მიერ (ფირმა ჩიჩეს, ხუბულავას და სხვ.) მიერ დამზადებული. ცნობა, ვითომც გრენიორის თესლი თითქმის მთლად გაფუჭებულიყოს, სრულიათ ყალბია.

4) არავითარი ცალკე საგრენაჟო დაწესებულება ჩემი შვილისათვის არ გამიხსნია. ასეთი ცალკე საგრენაჟო მას სრულებით არცა აქვს. თავის თავად ცხადია, არც თანხები მიმიცია ამ არარსებულ საგრენაჟო დაწესებულებისათვის და არც დახმარება გამიწევია. ჩემი შვილი მსახურობს, როგორც სპეცი, გრენიორ ოგანოვის ქუთაისის განყოფილებაში. ამ ოთხი წლის განმავლობაში ის მსახურობდა და არაა ახლად მოვლენილი გრენიორი მრეწველი.

5) თესლის ფასის დაწესებაში არავითარი ინტერესი მე არა მაქვს გარდა საზოგადოებრივ სახელმწიფოებრივი ინტერესისა, ხოლო ნამდვილათ ამ ფასს აწესებს ვაჭრობის სახალხო კომისარიატი სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად და არა მე. სრულიად ყალბია, ვითომც საქართველოში სამი კერძო მეთესლე იყოს, ხოლო ამათგან ორი ჩემი შვილი და ძმა. ნამდვილათ საქართველოს მეთესლეები არიან: ანისტე პეტრიდის, მათე ხუბულავა, ფირმა ჩიჩე, ოგანოვი და ამხანაგობა, ნადი (არტელი) „გრენიორი“, მამაცევი და გულისაშვილი.

6) მეთესლეობის განვითარება და გაძლიერება შეადგენს ჩვენი მთავრობის ერთ-ერთს უახლოვეს ეკონომიურ მიზანს. ამიტომ მეთესლეობის დახმარების გაწევა დავალებული აქვს საგანგებო დეკრეტით მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს. თანახმად ამ დეკრეტისა, ყველა მეთესლეს თანაბარი დახმარება ეძლევათ ხსენებულ კომისარიატის საბრეშუმო აპარატისაგან. განსაკუთრებით შეღავათი და დახმარება მიეცა მხოლოდ უცხოელ ფირმას „ჩიჩეს“, ხოლო არც „გრენიორ“-ს და არც ჩემი ვაჟის არ არსებულ საწარმოს არც ერთი განსაკუთრებითი დახმარება არ მისცემია.

ყოველგვარ რევიზიას და კონტროლს მე სიამოვნებით შევხვდები, მაგრამ ყალბ ცნობებზე აშენებულ ლვარძლიანობას არაფერი აქვს საერთო არც მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან და არც სიმართლესთან.

მეაბრეშუმეობის ინსპექტორი **ი. ქუთათელაძე**.

# თბილისის ალმასკომის ბიუჯეტი

თბილისის ალმასკომის ბიუჯეტის პროექტი შედგენილია 17.272.665 მანეთის რაოდენობით. ამასთანავე ბიუჯეტის შედგენის პრინციპი ასეთია: ყველა ხარჯები და შემოსავალი გატარებულია სამაზრო, საქალაქო და სათემო ბიუჯეტებში.

საშემოსავლო ნაწილი შედგენილია 11 მილიონზე მეტის რაოდენობით; ამასთანავე დეფიციტის დაფარვა განზრახულია სახაზო კრედიტებით და სახელმწიფო წყაროებიდან მიღებულ დოტაციით.

მომავალი წლის ბიუჯეტში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საგანგებო ხარჯებს ზაჰესის აგების დასამთავრებლად, ქსელის მოსაწყობად, კომუნალური აღმშენებლობის საწარმოებლად და სახლების შესაკეთებლად.

ამას გარდა საგანგებო ხარჯებში შედის ლუდის ქარხნის, სააფთიაქო სამმართველოს, თვალსაჩინო სახელმძღვანელოთა ინსტიტუტის და ორთაჭალის საბჭოთა მეურნეობის ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის გადიდება.

ბიუჯეტის დამახასიათებელ თავისებურებათ უნდა ჩაითვალოს ხარჯების გადიდება სახალხო განათლების საქმეზე; წელს შარშანდელთან შედარებით სახალხო განათლების საქმეზე დახარჯული იქნება 200.000 მანეთით მეტი. ხარჯები მარტო სახალხო განათლების საქმეზე უდრის ბიუჯეტის (საგანგებო ხარჯების გამოკლებით) 29,2 პროც.

გადიდებულია აგრეთვე ხარჯები სახალხო ჯანმრთელობის საქმეზე.

მიმდინარე წელში ბიუჯეტით განზრახულია თანხების გაღება ადგილობრივი მრეწველობის საჭიროებისათვის, რასაც ადგილი არ ჰქონია შარშან.

ამასთანავე გადიდებულია ხარჯები იუსტიციის ორგანოების შესანახავად, სოფლის მეურნეობის და კომერციულ ანგარიშზე არგადაყვანილ წარმოებების საჭიროებისათვის და სხვა.

ბიუჯეტით განზრახულია აგრეთვე ჯამაგირის გადიდება მასწავლებელთათვის 10—12 პროც-ით.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შედგენილია არასაგადასახადო წყაროებისა, საბიუჯეტო ნარჩენებისა, სახელმწიფო გადასახადების ანარიცხებისაგან და სხვა.

# წყალთა მეურნეობა

ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველო ამჟამად აწარმოებს პატარა სარდარაბალის და შირაქის არხების გაყვანას. ახლო ხანში დაიწყება ეჩმიაძინის მდაბლობის მორწყვისმოსაწესრიგებლად წინასწარი მუშაობის ჩატარება. აღნიშნული ველის მორწყვა იწარმოებს მექანიკურად აიღრ-გოლის ტბიდან წყლის ამოქაჩვის საშუალებით. ამას გარდა ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველო ამჟამად აწარმოებს ყამარლინის ჭაობის ამოშრობას. ეს მუშაობა განზრახულია სამმართველო აწარმოებს მუღანის არხის მოწყობას. აქვე მიდის წინასწარი მუშაობა ძველი არხის, გიურ-არხის აღსადგენად.

რკ. გზ. სადგურებს შორის (ლიკი-უჯარა) სამმართველო შეუდგა ჭაობების ამოშრობას. ეს მუშაობა განზრახულია დამთავრდეს მომავალ საოპერაციო წელში.

# პარტიული ცხოვრება

## პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

### ბრძოლა ფრაქციონერების წინააღმდეგ

ამასწინად შესდგა თბილისის გარნიზონის ქართულ ნაწილების კომუნისტების საერთო კრება, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმის შესახებ გამოვიდა ამხ. ფილიპე მახარაძე.

მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი

### რეზოლიუცია

მოვისმინეთ რა მოხსენება, ამხ. ფილიპე მახარაძისა, საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებზე, თბილისის გარნიზონის ქართულ ნაწილების კომუნისტების საერთო კრება მთლიანად იწონებს ცეკას დადგენილებებს და სავსებით უერთდება მათ; კრება აღნიშნავს, რომ ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა ადგია სწორ ბოლშევიკურ - ლენინურ ხაზს.

როგორც დღემდის ისე დღეს პარტიის პოლიტიკური ხაზი მიმართულია ჩვენი ქვეყნის სოციალისტური განვითარებისაკენ. პარტია ცეკას ხელმძღვანელობით ატარებს ურყევ ბოლშევიკურ ხაზს როგორც შინაურ, ისე საგარეო პოლიტიკაში. მუშურ - გლეხური ბლოკის გამაგრება - ძირითადი ამოცანა ჩვენი პარტიისა, მტკიცეთ და შეუდრეკლათ ტარდება ცენტრალურ კომიტეტის მიერ. პარტიის სწორი პოლიტიკის წინააღმდეგ ილაშქრებს ახალი ოპოზიცია. ახალი ოპოზიცია, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა ჯგუფების ბლოკს, ურჩევს პარტიას ლენინურ გზიდან აცდენას, რაც პროლეტარიატის დიქტატურის დამარცხებამდე მიიყვანს.

ახალი ოპოზიციის იერიშები საბჭოების გამოცოცხლების წინააღმდეგ მაჩვენებელია ამ ოპოზიციის არა ბოლშევიკური ბუნებისა. ის მოუხმობს პარტიას უკან, სამხედრო კომუნიზმისაკენ, რაც ნიშნავს ახალი ეკონომიური პოლიტიკის ლიკვიდაციას. ჩვენი რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაცია, ოპოზიციის აზრით უნდა გატარდეს გლეხობის ძირითადი მასების ხარჯზე, ქვეყნის სოციალისტური განვითარება გლეხურ მეურნეობის ექსპლოატაციის საშუალებით, ეს მთავარი დებულება საუკეთესო დამამტკიცებელია იმისა, რომ ოპოზიციას არ ესმის მუშურ - გლეხური ბლოკის მნიშვნელობა.

ახალი ოპოზიცია ილაშქრებს საბჭოების გამოცოცხლების წინააღმდეგ, ურჩევს პარტიას ინდუსტრიალიზაცია და საზოგადოთ სოციალისტური აღმშენებლობა აწარმოოს გლეხური მეურნეობის ხარჯზე, მას ეჭვები ეპარება ჩვენი სახელმწიფოს პროლეტარულ ბუნებაში. ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ ოპოზიციონურ ბლოკს ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების იმედები დაეკარგა. იმედ დაკარგულობა ბადებს ახალი ოპოზიციის ლტოლვას ოქტომბრის მონაპოვართა ლიკვიდაციისაკენ.

ახალი ოპოზიციონური ბლოკი მოითხოვს ჩვენს პარტიაში სხვადასხვა ჯგუფების არსებობის თავისუფლებას. ის მიისწრაფის ჩამოაყალიბოს ფრაქცია, რაც ნიშნავს პარტიის მთლიანობის რღვევას. კრება გმობს ახალ ოპოზიციას, რომელიც პარტიის მთლიანობას საფრთხეს უმზადებს თავის ფრაქციული მოღვაწეობით.

კრება ყოველი კომუნისტის მოვალეობათ სთვლის სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს ამ მოვლენას და ძირშივე მოსპოს პარტიის დანგრევისაკენ მიმართული ყოველივე ცდა.

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას!
გაუმარჯოს ცენტრალურ კომიტეტს!
ძირს ფრაქციონერები!

რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთხმად.

### მტკიცეთ ლენინურ ცეკას გარშემო

სად. თბილისის მოძრაობის დარგის კონდუქტორთა აუდიტორიაში, 24 სექტემბერს საღამოს 6 საათზე, შესდგა სად. თბილისის საქონლის სადგურის და მოძრაობის დარგის კომუჯრედების გაერთიანებული მორიგი კრება. კრებას დაესწრო სულ 225 სული. მათ შორის 175 წევრი, 84 კანდიდატი, 34 კომკავშირის წევრი.

დღის წესრიგში იდგა მხოლოდ ერთი საკითხი. საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებულ პლენუმის დადგენილებათა შესახებ.

ამ საკითხის გარშემო მოხსენება გააკეთა ამხ. იმედაძემ, რომელმაც გასაგებ ენით გააცნო კრებას პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების დადგენილება საბჭოთა გადარჩევების შესახებ.

მოხსენების გარშემო იყო მრავალი შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა სათანადო პასუხი გასცა, შეკითხვების შემდეგ გაიმართა კამათი რომელშიც კომუჯრედის წევრებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს. დასასრულ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„თბილისის საქონლის და მოძრაობის დარგის კომუჯრედების გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა მოხსენება საკავშირო კომპარტიის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილებების შესახებ. კრება აღნიშნავს, რომ მე-14 პარტყრილობის დადგენილებების დარღვევა ყოვლად დაუშვებელი და გაუგონარი მოვლენაა ლენინურ პარტიაში. მტკიცე დისციპლინა და პარტიის მთლიანობა თავდებია ჩვენი საბოლოო გამარჯვების და სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებით დაგვირგვინებისათვის. მოძრაობის დარგის და საქონლის სადგურის კომუჯრედების გაერთიანებული კრება, მოუწოდებს ყველა პარტიის წევრებს, რათა მჭიდროთ შეკავშირდენ პარტიის ლენინურ ცეკას ირგვლივ და სასტიკი ბრძოლა აწარმოვონ პარტიის მთლიანობის დამრღვევთა წინააღმდეგ. კრება სავსებით იწონებს და უერთდება ივლისის პლენუმის ყველა დადგენილებებს და რეზოლიუციას საბჭოთა გადარჩევის შესახებ და აღუთქვამს მის ცხოვრებაში გატარებას.

გაუმარჯოს ჩვენს ფოლადისებურ მტკიცეს და მთლიან ლენინურ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენი პარტიის პოლიტიკურ ხელმძღვანელს, ლენინურ ცეკას.

### ვემხრობით ცეკას დადგენილებებს

18 სექტემბერს, შესდგა სუფსის თემის კომპარტიის და კომკავშირის უჯრედების შეერთებული კრება, რომელმაც მოისმინა მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ. მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

სუფსის თემის პარტიის და კომკავშირის წევრთა კრება სავსებით იწონებს, საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის რეზოლიუციას ოპოზიციის ხელმძღვანელთა შესახებ. სუფსის თემის პარტორგანიზაცია და კომკავშირი სავსებით იზიარებს ბოლშევიკური ცეკას ლენინურ ხაზს, რომელსაც მიჰყავს ჩვენი ქვეყანა აღორძინებისა და განვითარების გზით. მრავალ ბრძოლებში გამობრძმედილი სახელოვანი კომუნისტური პარტია მუდამ მთლიანი იყო, მისი რიგები ასევე მთლიანი უნდა დარჩეს მომავალშიაც. პარტია არავის მისცემს ნებას ჯგუფების და ფრაქციების შექმნით დაარღვიოს ფოლადისებური სიმტკიცე და ლენინური პარტიის მთლიანობა.

გაუმარჯოს საკავშირო ცეკას!
გაუმარჯოს ლენინიზმს!

### ყველა რაიკომებს და თემკომებს

ქალთა მასის დაპყრობის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს მუშა და გლეხ-ქალთა სადელეგატო კრებების მოწყობა, რომელიც კომპარტიას აახლოვებს მუშა და გლეხ-ქალთა მასებთან და ამ უკანასკნელებზე აძლიერებს პარტიის გავლენას.

სადელეგატო კრებები წარმოადგენენ კომუნიზმის სკოლას, სადაც მუშა, გლეხი და მშრომელი ქალები სწავლობენ პროლეტარული სახელმწიფოს შენებას და მის მართვას.

ეს კი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს სადელეგატო კრებების ორგანიზაციას, და პარტიის წინაშე სვამს ამოცანას მათ მუშაობაზე უდიდესი ყურადღების მიქცევის შესახებ.

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტმა გადასწყვიტა დელეგატ-ქალთა ხელახალი გადარჩევა ჩაატარონ მაზრებში სექტემბერში, ხოლო თბილისში—ოქტომბერში.

აუცილებლივ უნდა გატარდეს ხელახლა გადარჩევა, საქ. კომ. პარტ. (ბ) ც. კ. დებულების მიხედვით, დელეგატ-ქალთა ხელახლა გადარჩევის შესახებ. ხელახლა გადარჩევის წინ საჭიროა უკანასკნელი გაწვევის სადელეგატო კრებების მუშაობაში შემჩნეულ წარმატებების აღნიშვნა და ნაკლოვანებათა გამომჟღავნება. რაიკომების მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებებმა, სამაზრო ქალორგანიზატორებმა, საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებებთან ერთად, უნდა აღნიშნონ მთელი რიგი ადგილებისა, რომლებიც პარტორგანიზაციების მიერ ხელმძღვანელობით უზრუნველყოფილი უნდა იქნენ.

სადელეგატო კრებების სახელმძღვანელოთ პარტკორებმა უნდა მიამაგრონ მომზადებულ ხელმძღვანელთა კადრი.

დღევანდელი შემადგენლობის აქტიური დელეგატ-ქალები მხედველობაში უნდა იქნენ მიღებული შემდეგში მათი დაწინაურებისათვის სხვადასხვა საბჭოთა და საზოგადო ორგანიზაციებში.

ის დელეგატი-ქალები, რომლებმაც უაღრესი აქტივობა გამოიჩინეს, უნდა გადაეცნ პარტიასა და ახკომკავშირს, ამასთან ერთად სასტიკ-ინდივიდუალურ მიდგომის დაცვით; ამ გადაყვანას არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეცეს მასსიური ხასიათი.

თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა რაიკომებსა და თემკომებს, მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებებსა და ქალ-ორგანიზატორებთან ერთად, დელეგატ-ქალთა ხელახლა გადარჩევის კამპანიის ჩატარების დროს, ყველა ზომები მიიღონ ახალი გაწვევის სადელეგატო კრებების შემადგენლობაში მუშა და გლეხ-ქალთა ფართო მასების ჩასაბმელად. საჭიროა გულდასმით მომზადება ამ ხელახა გადარჩევისათვის და უკანასკნელისათვის ფართო მასიური კამპანიის ხასიათის მიცემა, ამასთანავე ერთად პრესაში გაშუქებული უნდა იქნას ხელახალი გადარჩევის კამპანიის მსვლელობა. საერთო ანგარიშების ჩაბარების დროს სპეციალურად უნდა გაშუქდეს დელეგატ-ქალთა ხელახლა გადარჩევის კამპანიის ჩატარება.

საქ. კომ. პარტიის (ბ) თბილ. კომიტ. მდივანი
ე. ასრიბეკოვი.
თბილის. კომ. მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილების გამგე კიდაიში.

### არჩევნები დაიწყო

**სოხუმი,** 28 სექტემბერი. დღეს მთელ აფხაზეთში იწყება დელეგატ ქალთა ინსტიტუტის ხელ-ახლა გადარჩევის კამპანია. ხელ-ახლა გადარჩევის ჩამტარებელ კომისიების მიერ დასრულებულია წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა ყველა მაზრებში. ხელ-ახლა გადარჩევის კამპანიის სახელმძღვანელოდ სოხუმიდან მაზრებში გაემგზავრენ პარტიული მუშაკები.

# საბჭოთა საქართველო

## დეპეშები

### საექიმო დახმარება

**ოზურგეთი,** 28 სექტემბერი. აგვისტოს განმავლობაში გურიის 29 საექიმო და საფერშლო პუნქტში გაიარა 5.646 ავადმყოფმა. საანგარიშო თვეში დაავადმყოფებულთა უდიდესი ციფრი აღნიშნულია ლანჩხუთის საექიმო პუნქტში (823 პირველი შემთხვევა). ავადმყოფთა დიდი უმრავლესობა მალარიით არის დაავადებული.

### ბუხჰალტერების ყრილობა

**ოზურგეთი,** 28 სექტემბერი. დამთავრდა ორი კვირის ყრილობა გურიის და აჭარისტანის ერთიან მომხმარებელ საზოგადოებათა ბუხჰალტერებისა, რომელსაც 17 კაცი დაესწრო. განხილული იყო საკითხები კოოპერატიულ წარმოებებში ერთგვაროვანი ანგარიშის შემოღების შესახებ.

### აფხაზეთი

### თამბაქოს მოშენება

**სოხუმი,** 28 სექტემბერი. აფხაზეთის სახკომსაბჭოს დადგენილებით, გალის მაზრაში გაემგზავრა კომისია იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მიზანშეწონილია იქ თამბაქოს მოშენება. კომისიის დასკვნით, გალის მაზრა მოგვცემს საშუალო ხარისხის თამბაქოს იმ შემთხვევაში, თუ გლეხები გააუმჯობესებენ კულტურის ტეხნიკურ მხარეს. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა აფხაზ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს გადასდოს 15.000 მანეთი გალის მაზრის მეთამბაქოებისათვის კრედიტების მისაცემად.

### სესხი გლეხობას

**სოხუმი,** 28 სექტემბერი. აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკი თბილისიდან იღებს 170 გუთანსა და 200 ფარცხს აფხაზეთის ღარიბეს გლეხებისათვის გრძელვადიანი სესხის სახით დასარიგებლათ.

### მუშაობა ტყვარჩელში

**სოხუმი,** 28 სექტემბერი. ტყვარჩელის გეოლოგიურ-საგამოკვლევო მუშაობის გეგმის შემმუშავებელმა თათბირმა, საკავშირო გეოლოგიური კომიტეტის უფროსი გეოლოგის მეფერტის მონაწილეობით, სცნო, რომ ტყვარჩელში შესრულებული საგამოკვლევო მუშაობა სრულიად საკმაო საექსპლოატაციო გეგმის შესამუშავებლათ.

თათბირმა აუცილებელ საჭიროებათ სცნო 1926-27 სამეურნეო წელში გეოლოგიური საგამოკვლევო მუშაობის დაწყება მდინარე ბაშიშისა, ჯაგუთისა, ცქესტუსა, აბჩიქვას ზემო უბნებსა და სხვა ადგილებში და აგრეთვე გამომკვლევი ექსპედიციის უზრუნველყოფა ალმასის საბურღავ იარაღებით, რომელთა რიცხვი განზრახულია აყვანილ იქნას 5-დე.

## წერილები

### რას ერჩიან გიორგაძეს?

(უხუთის თ., ქუთ. მ.)

არის უხუთის თემში სოფლის კორესპონდენტი, მასწავლებელი ილარიონ გიორგაძე. არისო ვსწერთ ჩვენ, მაგრამ დარწმუნებული არა ვართ სიმართლეს ვეუბნებით თუ არა მკითხველს, ვინაიდან კორესპონდენტ გიორგაძის მდგომარეობა ისეთია, რომ მან თვითონ არ იცის: დღეს თუ უხუთის თემშია, ხვალ საით გადაისვრიან მას, რომელ კუთხეში გადასახლებენ თავისი წვრილი, 7 სულისაგან შემდგარი ცოლშვილით.

რა დააშავა ამის ფასი გიორგაძემ? რისთვის სდევნიან სოფლის კორესპონდენტს? პასუხი ჩვეულებრივია. ყური უკვე იცნობს მას:—სიმართლის მხილებისათვის.

მოუსვენარი და დაუფიქრებელი კაცი რომ გამოვა, თორემ რა აწუხებდა გიორგაძეს? მჯდარიყო თავისთვის მშვიდათ. თუ, მაგალითად, თემალმასკომის თავმჯდომარის მოადგილე სერაპიონ ლომინაძეს და მდივან გიორგი ხურციძეს უხუთის აფთიაქიდან უფასოთ გამოაქვთ მედიკამენტები და მდიდარ ნათესავ-მეგობრებს ურიგებენ, ადექი და დასწერე კორესპონდენცია სათაურით: „მადლობის ღირსია“. აქ ქებათა ქება შეასხი ალმასკომის პრეზიდიუმს და მერე მოიხსენი მათი მოღვაწეობა სახალხო ჯანმრთელობის ფრონტზე. აღნიშნე, რომ სოფლის გულ შემატკივარი მუშაკები ლომინაძე და ხურციძე თავის ხელით ავრცელებენ წამალს მოსახლეობაში და თავგამოდებით ებრძვიან ექიმბაშობა-ცრუმორწმუნეობას.

აბა, ნახე ამის შემდეგ, რა კაი გიორგაძე, რა სახელოვანი გლეხკორი და რა პატივის კაცი იქნები მთელ თემში. შენზე უტკბილესი და უახლოესი მეგობარი არ იყოლება ლომინაძე-ხურციძეს. გიორგაძე კი იმდენად მოუფიქრებელი კაცი აღმოჩნდა, რომ არა თუ ხელი არ დააფარა ხელისუფალთა ბნელ კომბინაციებს, არამედ თემში სხვა გლეხკორებიც მოამზადა, შეაკავშირა, გლეხებს ჟურნალ-გაზეთები გამოუწერა. ერთი სიტყვით გახდა ნამდვილი მაგარ კანიანი გლეხკორი, რომელსაც ვერ ინელებდა ლომინაძე-ხურციძის კომპანია.

ქაღალდი-ქაღალდს მისდევს ქუთაისში: მოგვაშორეთ გიორგაძე, ხელს გვიშლის საბჭოთა აღმშენებლობაში,—არა საიმედო პიროვნებაა, გლეხებს ამხედრებს ხელისუფლების წინააღმდეგ და ვინ იცის კიდევ რამდენი დამხრჩვალი ძაღლები არ ჩამოჰკიდეს კორესპონდენტ გიორგაძეს კისერზე.

თუ ეხლა უკვე გადაყვანილი არაა მასწავლებელი გიორგაძე უხუთის თემიდან, ეს მხოლოდ სასწაულს უნდა მიეწეროს. რა უნდა ასეთ ქვეყნის დამაქცევარ კაცს „აბრამის ბატკნების“ ლომინაძე-ხურციძის სამფლობელოში?

ურჩ კორესპონდენტს ჭკუას ადვილად ასწავლიან. გადაასახლებენ მისი წვრილი ცოლ-შვილით სადმე მივარდნილ კუთხეში და იცხოვროს, თუ კაი ბიჭია, 35 მანეთზე შვიდმა სულმა უცხო სოფელში. მაშინ მიხვდება ის, თუ რა ძალა ჰქონებია ისეთ „დიდ“ კაცებს, როგორიც ლომინაძე-ხურციძეა.

მაგრამ დიდზე დიდი არ გამოილევა. ვფიქრობთ, რომ სამაზრო ხელისუფლება ლომინაძე-ხურციძეს დაუმოკლებს კორესპონდენტისაკენ გაშვერილ წვრიან ხელებს და აგრძნობინებს მათ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ასეთ „ხუმრობისათვის“ თავზე ხელს არავის მოუსვამს.

ე. ბ—ლი.

### მევალი მოგვადგა

(ხ. ცხემლისხიდი, გურია)

ცხემლისხიდის 7 წლედის შენობის აგება დაიწყო აქაურმა მოსახლეობამ მეტად რთულ პირობებში, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ის დიდი ხალისით და ენერგიით მოეკიდა საქმეს. სამწუხაროდ ვერ დარჩა სწორად გათვალისწინებული შენობის ხარჯთ-აღრიცხვა, რამაც გლეხობა უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო. ინჟენერის გამოანგარიშებით შენობა უნდა დამჯდარიყო 5.000 მან. მეტი. ნამდვილად კი, შავ მუშაობასაც თუ ვიანგარიშებთ, 50 ათას მანეთამდე უკვე დახარჯულია და შენობა მხოლოდ დაიხურა, მის დასამთავრებლად საჭიროა კიდევ 10 ათასზე მეტი. ამ საქმის მიტოვება ეხლა გვიანღაა, შეცდომის გამოსწორება მის დამთავრებაში უნდა ვეძიოთ, მეტი გამოსავალი არ არის, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, ეს შენობა უნდა დამთავრდეს. გასულ წელს გლეხობა იძულებული გახდა თბილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკიდან სესხი აეღო სამი ათასი მანეთის რაოდენობით იმ იმედით, რომ წრევანდელი თხილის მოსავლით გლეხობას არ გაუჭირდებოდა მისი გადახდა, მაგრამ... ნაცვლად ჩვეულებრივ 100—150 ფუთი თხილის მოსავლისა თითო ოჯახზე, წელს მხოლოდ 2—3 ფუთი თუ მოუვიდა. არ არის არც ყურძნის მოსავალი, გამუდმებულ წვიმებისაგან ყანებიც უმეტეს ნაწილად წამხდარია, ასე რომ ამ ვალების გადახდის უნარი გლეხს სრულიად დაეკარგა.

ამასთანავე სესხსაც ვადა გაუვიდა და რადგანაც თავის დროზე ფული არ იქნა ბანკში შეტანილი, თამასუქი პროტესტში წავიდა, რამაც ზედმეტი ხარჯები გამოიწვია და 3 ათასის ნაცვლად გლეხობამ უნდა გადაიხადოს 5 ათასზე მეტი. ბანკის რწმუნებული უკვე ჩამოვიდა და შეუდგა გლეხების ქონების აწერას, უწერენ ზოგს ხარს და ურემს, ზოგსაც ავეჯეულობას, ძროხას და სხვა, რომელნიც ერთი თვის ვადაში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება და ბანკი თავის დაიკმაყოფილებს, რისგანაც, ვფიქრობ, მეტად არასასურველ შედეგებს მივიღებთ.

მდგომარეობა მეტად სერიოზულია. საჭიროა დროზე მიექცეს მას ყურადღება, რომ რამდენადმე მაინც შეუმსუბუქდეს ტვირთი ცხემლისხიდის მოსახლეობას, რათა მან მიუხედავათ ცუდი პირობებისა დაწყებული საქმე სასურველ ბოლომდის მიიყვანოს.

გ. ქილიფთარი.

### ერთი მტკივნეული საკითხი

(წერილი კახეთიდან)

სოფლის მეურნეობას დიდ ზარალს აყენებს ერთი ცუდი ჩვეულება, რომელსაც ვეძახით წანახედებს.

კახეთში ამ წანახედების ნიადაგზე აუარებელ უბედურებას აქვს ადგილი. მთიულებში საქმე მიდის „სისხლის“ ჩამოვარდნამდისაც კი.

უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში, აღნუსხულია 7 მკვლელობა პირნახულის გაფუჭებისათვის; მიდით სასამართლოში და გადაათვალიერეთ საქმეები: თითქმის მესამედი წანახედების ირგვლივ არის აღმოცენებული, სოფლის ალმასკომებში კი ნახევარზე მეტი შემოსულ საჩივრებისა ამ შინაარსისა არიან.

დავანებოთ ყველაფერს თავი და ვივარაუდოთ რამდენი ქონება (პირნახული) იღუპება ხსენებულ დაუდევრობის გამო. სამწუხაროდ ასეთი ზარალის აღნუსხვას ჯერ საერთოდ ვერავის უწარმოებია, მაგრამ საკმარისია, მხოლოდ ზერელეთ დათვალიერება მინდორ-ველებისა და ბაღ-ბოსტნების, რომ შეატყოთ, რა თვალსაჩინო ნაწილია მოსპობილი და გაფუჭებული. ერთი დაკვირვებული კერძო მეურნის გამოანგარიშებით ყოველ წელს მათ სოფელში (გულგულაში) გლეხებს ეკარგებათ მოსავლის 25—30%).

ჩვენის აზრით, ეს სინამდვილესთან ძალიან ახლოს უნდა იყოს,—და თუ ეს ასეა, მაშინ რა ეძართება მთელს კახეთს, სადაც ყოველწლიურად ითესება 70—80.000 დესეტინა მიწა, ადვილი წარმოსადგენია.

საგულისხმო ის არის, რომ აქ იჩაგრება უფრო ღარიბი, უსაქონლო გლეხკაცობა.

თემალმასკომები და სასამართლოც ძალიან გულცივად ეკიდებიან წანახედების შესახებ საჩივრებს, ამიტომ ამ ბოლო დროში გახშირდა პირნახულში შესულ და მოტანებულ საქონლის დახოცვა, ერთმანეთში ჩხუბი და დავიდარაბის ჩამოვარდნა, შურისძიება, საბადლოთ განზრახ პირნახულის გაფუჭება და სხვა

საჭიროა საგანგებო კანონი, რომელიც მოაწესრიგებს წანახედების საქმეს, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ადგილობრივ ხელისუფლების მიერ ამ საკითხს, საჭიროა კულტურულ გავლენით ბრძოლა ამ ხალხის დამღუპავ, ჩვეულად გადაქცეულ სენთან.

ესტატე კაკულია.

# მუშათა ცხოვრება

### მუშკორთა მასიური ექსკურსია

25 სექტემბერს მოეწყო „კომუნისტი“-ს მუშკორთა მასიური ექსკურსია გაზეთ „კომუნისტი“-ს მუშათა ცხოვრების გამგის ხელმძღვანელობით.

ნაშუადღევის 3 საათიდან მუშკორებმა მოიყარეს თავი პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბის ეზოში. ალმასკომიდან ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღეს კეთილმოწყობ განყოფილების გამგემ ამხ.ვ. **სიხარულიძემ** და ინჟინერმა **ნახიძემ**.

ნაშუადღევის 3½ საათზე მუშკორთა ექსკურსია შეუდგა ლენინის უბნის დათვალიერებას.

დათვალიერება დავიწყეთ საბჭოს ქუჩიდან. გზა-და-გზა ალმასკომის კეთილმოწყობ განყოფილების გამგე ამხ. **სიხარულიძე** დეტალურად და გასაგები ენით უხსნიდა მუშკორებს, თუ რას აკეთებს და უკვე გააკეთა აღმასრულებელმა კომიტეტმა ამჟამად. გამოირკვა, რომ ჯერ კიდევ 1905 წელს საბჭოს ქუჩა ყოფილა მოკირწყლული, მაგრამ ნიაღვრების მიერ ჩამოტანილ შლამით და ლორღით ეს ქვაფენილები იყო დაფარული. ალმასკომმა კი ეს ბოლომდის გაასუფთავა.

შემდეგ მუშკორები გაემგზავრენ მაგისტრალის ქუჩით და ავიდენ ლოტკის გორაზე.

გზაზე თითქმის ყველა ქუჩები მოკირწყლული და გამშვენიერებულია. ამით ადგილობრივი მუშა-მოსამსახურენიც კმაყოფილებას გამოსთქვამდენ.

თითქმის ყველა ქუჩებზე გაყვანილია მთავარი მაგისტრალი, რის საშუალებითაც მუშა. სახლის პატრონებმა თავიანთ ეზოებში უნდა გამოიყვანონ წყალი.

ყველა ქუჩებში გაყვანილია კანალიზაციები. ლოტკის გორაზე გაშენებულია მშვენიერი ბაღი... აქვე მოწყობილია მოედანი ბავშვების სათამაშოთ. აქაც ვაკეთებულია გზები; მოკირწყლულია ქუჩები, რომელიც ყოველთვის დაზიანებული იყო. აქვე კეთდება კიბე. ვინაიდან ზოგიერთ მუშა-მცხოვრებლებს სიარული შორიდან უხდებოდათ ეს კი მისცემს მათ საშუალებას მანძილის მოჭრისას.

აღნიშნულ ადგილიდან მეოცდა-თორმეტე შრომის სკოლამდე დაღარული იყო დიდი ხევი. ალმასკომმა ეს ქუჩების გასწორების დროს მოთხრილი მიწით ამოავსო.

ამ ადგილას უნდა გაშენდეს ტყე. მე-32 შრომის სკოლის იქით დარჩენილი იყო დიდი ხევი დაახლოვებით 8 საჟენის სიღრმით. ესეც ამოავსო ალმასკომმა და იგი შეუერთა პროლეტარის ქუჩას. 1922 წლის შემდეგ პროლეტარის და იურევის ქუჩებს შორის გაკეთდა უბრალო ხის ხიდი, რომელიც ამჟამად დაზიანებული და გაფუჭებულია. ალმასკომმა კი იმის შესაკეთებლად აუარებელი ქვა, მასალა მოიტანა და ეს ხიდი ერთ თვეში გაკეთდება საფუძვლიანად.

შემდეგ მუშკორებმა ინახულეს ლოტკის ქუჩის მოედანზე გაშენებულია ყვავილნარი ბაღი. კარგი იყო ესეც.

აღნიშნული ბაღი ყოველ საღამოობით იღება და იქ ისვენებს ლენინის უბნის მუშათა-მასსა.

მის მახლობლათ ადგილები სულ გამშვენიერებულია. ყველგან ქუჩები და გზები კეთდება.

ამის შემდეგ მუშკორებმა დაათვალიერეს კიდევ პატარა საბაღე ადგილი (ლოტკის ქუჩაზე მდებარე ტრამვაის მოსახვევთან). აქვეა ხიდი. რომელიც იყო დაზიანებული. ესეც საფუძვლიანათ შეკეთდა.

წყლის და ნიაღვრების დაზიანებისაგან უბნის დასაცავად დიდი მუშაობა სწარმოებს. აღნიშნულ ხიდის გასწვრივ არის კარგა ღრმა ხევი. ალმასკომი ფიქრობს ეს ხევი ქუჩად გამოიყენოს.

იურევის ქუჩაზე იდგა მხოლოდ ხეები. ალმასკომმა აქ გააკეთა მშვენიერი ბაღი. ეს ბაღი ზაფხულობით აჭრელებულია მრავალ ფეროვან ყვავილებით და სხვ...

მუშკორებმა ინახულეს აგრეთვე უზარ-მაზარი მუშათა სახლი, რომელიც 2 თვიში დამთავრდება. აქ ჩქარი ტემპით მიმდინარეობს მუშაობა. ესეც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა აღმშენებლობაში.

ბოლოს მუშკორები ეწვიენ ხუდადოვის ტყეში წყალსადენს; ინახულეს ყველა აუზები. აქ ახსნა-განმარტებას გვაძლევდა უფროსი „რეზერვუარის“ ამხ. **ალექსანდრე ბარნაბაშვილი.** აქ გამშვენიერებულია მთელი მიდამო. არის ყვავილებიც; მოთავსებულია 3 „რეზერვუარი“, რომელიც თბილისის მცხოვრებლებს აწვდის წყალს. გამოირკვა. რომ თბილისის მცხოვრებლები დაახლოვებით ერთმილიონ ვედრო წყალს ხარჯავენ დღიურად. განზრახულია მომავალში წყლის ნატახტარიდან გამოყვანა.

აღნიშნული წყალსადენი მუშკორებმა გულდასმით დაათვალიერეს.

აქ ბუნების სიმშვენიერეც წარმტაცი იყო. სჩანდა თბილისი მთლიანად. მუშკორებმა აქ მოიგონეს ის სახლები, სადაც ძველად მუშაობდენ ფარულად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ხუდადოვის ტყეში მშვენიერებაა: ყვავილნარი, ფოთოლოვანი ხეები, სალი ჰაერი და სხვა... მუშკორები გაიტაცა ამ სანახაობამ.

მზე ლამაზად ჩაიდა.. მოაშორა თავის სხივები კავკასიონის მთებს, რომელნიც ბუმბერაზად დაჰყურებენ საბჭოთა საქართველოს.

მადლობის ღირსი არიან ამხანაგები, რომელმაც არ დაიშურეს არავითარი ენერგია და ჯაფა მუშკორთა ასეთ მნიშვნელოვან ექსკურსიის მოსაწყობად.

მუშური მადლობა ამხ. **სიხარულიძეს, ბარნაბაშვილს და ნახიძეს.**

— დაუვიწყარია ის შთაბეჭდილება, რომელიც მივიღეთ ჩვენ ამ დღეს ლენინის უბნის დათვალიერების გამო.

საჭიროა მოეწყოს ექსკურსიები სხვა მუშათა უბნებშიც.

მუშკორი ი. ჯავახიშვილი.

### ტრამვაელებში

25 სექტემბერს ტრამვაის მუშათა კლუბში მოხდა ამავე კლუბის წევრთა საერთო კრება. საღამოს 7 საათზე დარბაზი უკვე სავსე იყო კლუბის წევრებით.

საერთო კრება გახსნა ამხ. **თავდგირიძემ.** რომელიც კრებამ პრეზიდიუმშიც აირჩია.

დღის წესრიგში იდგა- 1) გამგეობის და სარევიზიო კომიის 11 თვის მუშაობის ანგარიში, 2) გამგეობის და სარევიზიო კომისიის გადარჩევა.

გამგეობის 11 თვის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა კლუბის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. **მგალობლიშვილმა.** რომელმაც ფართოდ გააცნო საზოგადოებას 11 თვის მუშაობის უარყოფითი და დადებითი მხარეები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენი საკლუბო მუშაობა დღევანდლამდე სათანადო დონეზე ვერ იყო დაყენებული, რადგან მუშაობას ხელს უშლიდა სხვადასხვა ტეხნიკური დაბრკოლებები, მაგ., შენობის სივიწროვე. მაგრამ დღეს უკვე კლუბი მოწყობილი გვაქვს და სხვადასხვა შემჩნეული ნაკლი თითქმის გამოსწორებულია.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ 11 თვის განმავლობაში წარმოდგენები დადგმულ იქნა 111. აქედან 41 ფასიანი, უფასო 70. ხოლო საკუთარ ძალებით 56, მოწვეული ძალებით 55. ნაჩვენები იქნა კინო-სურათი 71. აქედან უფასო 17, ფასიანი 54. მოეწყო ლიტერატურული საღამო—2; კრებები და მოხსენებები 24; მოწყობილ იქნა 10-ჯერ კლუბის წევრთა მასიური ექსკურსია.

სარევიზიო კომისიის სახელით ილაპარაკა ამხ. **პეტროსიანცმა,** რომელმაც დაწვრილებით დაახასიათა კლუბის 11 თვის მუშაობა. მომხსენებლებს მისცეს მრავალი შეკითხვები, რომელმაც ყველას დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ამხანაგებმა; **ტედეშვილმა, აროთინოვმა, დინ-ჩილიიმ. ფარნიევმა, სვანიძემ, თათარაშვილმა, ხითაროვმა,** და სხვა.

საერთო კრებამ გამგეობის და სარევიზიო კომისიის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

შემდეგ არჩეულ იქნა ახალი გამგეობა 15 წევრისა და 5 კანდიდატისაგან. გამგეობაში შევიდენ: თავდგირიძე, გაბაშვილი, დორხმანი, ახკაროვი, მგალობლიშვილი, თათარაშვილი, ხუჭია, ორმოცაძე, მურღულია, ფარნიევი, ეგოროვი, არველაძე, ვიგირმანი, ფირიაშვილი, უულკოვსკი და პეტროსიანი. ხოლო კანდიდატებათ: ბეჟანიშვილი, ტერ-აბრამოვი, კალანდაძე და ირაევი.

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ ლომაური, კიმულარია, მელიქოვი სეთა, ჟურავლიოვი, ბარზაკი, მიკირტუმოვი. კანდიდატებად: ტუმაევი, სარქისოვი და არუთინოვი.

დასასრულ ადგილობრივ ძალებით გაიმართა მხატვრული საღამო, ინსცენიროვკები და ცოცხალი გაზეთი, რომელიც ლამაზად იყო შესრულებული.

საღამომ გასტანა ღამის 3 საათამდე.

მუშკორი ს. ხოჯაევი.

### მუშათა წერილებიდან

— **მუშფაკის სასადილოში.** ქართულ მუშფაკში სადილობს სამასამდე მუშფაკის მსმენელი. მოსადილეთ საათობით უხდებათ ცდა, რადგანაც სათანადო რაოდენობით არ გვაქვს მაგიდები. სადილებიც ხშირად ძალზე ცუდი ხარისხისაა. ხორცით სადილი აქ იშვიათია.

მუშფაკის ადმინისტრაციამ უნდა იზრუნოს სასადილოს რიგიან მოწყობისათვის.

მუშფაკელი ყარუნდა.

— **უბედური შემთხვევა აგვაცილა.** როგორც ვიცით, უბედური შემთხვევები ხშირად ხდება რკინისგზებზე. ამაში დანაშაული მიუძღვით უმეტეს შემთხვევაში მემანქანეთ და მეისრეთ, მაგრამ თუ კი ისინი ფხიზელი და კეთილსინდისიერი მუშაკნი არიან, ბევრ უბედურ შემთხვევებს ააცილებენ რკინისგზას. აი მაგალითიც. საგზაო მატარებელი № 195 თბილისიდან გავიდა აკსტაფაში. შუაღამის 2 საათზე იგი შედიოდა სად. აკსტაფაში. სემაფორი ღია იყო. მეისრემ (პირველმა) მატარებელი შეუშვა დაკავებულ ლიანდაგზე. საშინლად ბნელოდა. არც ბინდერი იყო ანთებული. შეგნებულმა და ფხიზელმა მემანქანემ დროზე შეამჩნია მოსალოდნელი უბედურება, სწრაფად ჩააქრობინა „ფორსუნკა“, მისცა ნიშანი მუხრუჭებისათვის და გააჩერა მატარებელი 30 ნაბიჯის მანძილზე.

ასე შეგნებულმა და პატიოსანმა მუშამ გადაარჩინა განადგურებისაგან სახალხო ქონება.

ეს გახლავთ ძველი მუშა (დეპოს) ამხ. გაგნიძე.

მუშკორი შავსოფლელი.

### მუშათა ქრონიკა

— **ხელსაწყო იარაღების შეკეთება.** ტყავტრესტის ქარკომმა დაადგინა საჩქაროთ შეკეთებულ იქნეს ქარხანაში ხელსაწყო იარაღები.

— **დამხმარე სალაროს გადახალისება.** ამავე ქარკომმა აირჩია ურთი-ერთ დამხმარე სალაროს გამგეობის ახალი წევრები, რომელსაც დაავალა გამოაცოცხლოს სალაროს მუშაობა.

— **მოწაფეების ცხოვრება გაუმჯობესდა.** ტყავ-ტრესტის ქარხანაში შედარებით წარსულთან გაუმჯობესდა მოწაფეების ყოფა-ცხოვრება და შრომის პირობები.

— **ჟურნალ-გაზეთების გამოწერა.** ტყავტრესტის მუშა-მოსამსახურეები ყოველთვიურად იწერენ როგორც ცენტრიდან, ისე ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებს 200 ცალამდ

— **ექსკურსიის მოწყობა.** ამავე ქარხნის კულტ-კომისიამ ამ ზაფხულის პერიოდში მოაწყო ადგილობრივი და შორეული ხუთი ექსკურსია.

— **შევიძინეთ წყლის საქაჩავი მანქანა.** კოლოფების ქარხნის ადმინისტრაციამ ქარხანაში ხანძრის გაჩენის გამო ეზოში დადგა წყლის შესანახი—დიდი ბაკი.

ამავე მიზნისათვის, ქარხნის ადმინისტრაციამ შეიძინა წყლის „საქაჩავი“ მანქანა.

# ბორჯომის ხეობაში

### მინდიას ენა

თითქოს სულ ჩვეულებრივი მოვლენაა ბორჯომში ყოფნა. მაინც თავდაუჭერელ მოქეიფესავით, თუ უძღები შვილივით მეხსნება გუნება. იქით მიწოდებს ლიკანი და პეტრეს ციხე. აქეთ — შავი წყალი და მაღლა შეფენილი ნაძვნარები. ვდგევარ მრავალი სურვილების გზა-ჯვარედინზე. ჩემ თავში ვგრძნობ გაორებას, გაოცებას. არჩევანის უნარი გეკარგება. ჩემში აღარ არის პირველი და მეორე. უკეთესი და უგლახესი. ყველგან გინდა იყვე ერთ და იმავე დროს. ერთ და იმავე გრძნობით. ბოლოს უნდა წავიდე საითღაც.

მივდივარ „ვორონცოვის პარკისკენ“. (აწ—26 კომუნარის სახელობის ბაღნარი) რათ ავირჩიე ეს? ეგებ იმიტომ, რომ პატარა ფინიამ შეიკუნტრუშა იქით? ან ბავშვი რომ ფეხებს მოათრევს? ან იქნებ სულ უმნიშვნელო მიზეზით, რომელიც ვერ შეიმოჭება მოქნილ სიტყვათა ქამანდით? მესიამოვნება—ჩემს მეტი რომ არავინ მიდის ამ პარკის გზაზე.

როგორ არა! მიდიან გლეხები ურმით ან ცხენით, მაგრამ ისინი მისდევენ თავიანთ ჭირსა და ლხინს. იმათ არც ჩემი დარდი აქვთ, არც იმ ღვთაებრივი კუთხის, სადაც მე მივალ.

მაშ მარტო ვარ! რა სჯობია ტყეში მარტოობას! განა მარტო სულით, არამედ ხორციელადაც!

ჩაველი დახავსებულ - დანგრეულ კიბეებზე. (ესღა დარჩენილა ნიშნად ძველ შენობებიდან). იქ, დაბლა, ნაძვებსა და ნაძვებს შუა ზაფხულის მზეს ჩამოურღვევია ჩრდილთა სავანე. მწვანე მინდორი ელვარებს ოქროს სიცხით, ოქროს სინათლით.

ამ მზით მოქარგულ კალთაზე შეგროვილა შვიდი-რვა ბავშვი, შვიდი-რვა წლისანი. ტანისამოსი განზე გადაუყრიათ. გაუშლიათ პატარა სუფრა და ასე დედიშობილათ შემომწკრივებიან გარშემო. ჩემს დანახვაზე ცოტა შერცხვათ. თავები ჩაღუნეს. ერთი ერთმანეთს ეფარებიან და უფრო დიდ ლუკმებს დაუწყეს ყლაპვა. გამეცინა. გამოვეხმაურე. მათ გაეხარდათ. შეუმსუბუქდათ სირცხვილის გრძნობა და მორთეს ჟრიამული გაზაფხულზე შეფორიაქებულ ჩიტებივით.

— ჰეი, ბავშვებო! ცხოვრებაში თუ შემოგაღამდათ, თქვენი მოგონების ცაზე ეგებ ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავათ სწორედ ეს წამი დაგესახოთ! ეს წამი, რომლის ფასსაც შემდეგ გაიგებთ წელთა სავალზე!

მივდივარ უბილიკო, უვალ გზაზე. აქ არსადა სჩანს კაცის ფეხით ნატკეპნი ადგილი. ჩავუარე მაყვლისა და ჟოლოს პატარა ჩირგვებს. მაყვალი ჯერ კიდევ მკვახეა. მაგრამ მინდა მოვკრიფო უკვე გადამწიფებული მოგონებანი. ზევით და ზევით უფრო მყუდრო ადგილებია. რაზმებათ დაფანტულ ფიჭვისა და ნაძვის ვაჟკაცებს თითქოს პირი შეუკრავთ, რომ მზეთუნახავათ შეინახონ თავიანთ ქვეშ გაფენილი ხავსის რბილი ხალიჩები.

ამ რაზმებ შორის კი მაინც ნაჭერ-ნაჭერ ჩამოგლეჯილა მზის შუქი და ოქროს ზოდივით ელვარებს დაბინდებულ მწვანე მორევებში.

ნაძვის სუნით გაჟღენთილა მთელი ჰაერი. მეც ვუნოსავ ამ დიდებულ საკმეველს ბუნების ლამაზ საცეცხლურზე დანთებულს.

რა უკარა ადგილია აქაურობა! თითქოს ყველას დაუფიცია, რომ აქ ფეხი არ ვაადგან. ასე ახლო მაინც არ იყვეს ბორჯომთან!

როცა ამ კუთხეში მოვდივარ, ყოველთვის მარტო ვარ. წაურყვნელად მეჩვენება ეს არე-მარე. იმიტომ ვეტანები ასე დაჟინებით.

სად გინდა წამოწვე! ყოველი კუთხე მშობლის კალთასავით მიმღებია და საამური. მაინც იქ მტკვრის გადასახედზე მეგულება თავდაჭერილათ შეხვეული ულამაზესი უბე ამ არე-მარისა. რომელიც გერმა და თითქმის შეედრება ამ ფუნჩულა ხავსის საგებელს!

აღარა ვზომავ დროსა და მოვლენებს. ეს თვითონ არის დროც და უკვდავებაც. ცხოვრების გზაზე წელში მოღუნული კაცი აქ გავიშალე ღვთაებრივის სილაღით. დედამიწის შიშველ მკერდს ზურგით გავეკარი. (ეს არის ყველაზე ნებიერი ჩახუტება დედამიწასთან).

მთელ არეს დაუფლებია უცნაური მყუდროება. ამ მყუდროებაში ხანდახან აბრეშუმის მოშრიალე ძაფივით გაევლება ტყის ბუზის გაფრენა. ნაძვის გოლიათები თავმომწონე სიამაყით გარინდებულან. იქ, სადღაც, სივრცეთა შორის დაკარგული ნიავი გაუბედავათ ელაქუცება ამ ნაძვის წვერებს.(ეს ნაძვები როგორ მაგონებენ დედამიწისაგან (ვის გულში დამიზნებულ სწორე ისრებს!) ტოტებსა და ტოტებ შუა თვალი მაინც იჭრება სიშორისაკენ. რა მაღლა წასულა ეს ფერათუბადლო ცაც! ნატვრათა აწყვეტას ალბათ უნდა გაეშალოს უხვ სანავარდოთ! დაბლიდან კი—თითქოს მყუდროების გასაორკეცებლად ულეველ სიმფონიად მოისმის მტკვრის უცვლელი თქმანი. მაგრამ როგორ შეიგრძნობდა ყველაფერ ამას მწირი ადამიანის მწირი არსება, თუ ამ ქანწულებრივ ჰაერში ღვთაებრივ სათრობელათ არ იქნება მოსხურებული ეს ნაძვის დასაბნედი სურნელება!

ამ ნეტარებაში გაბრუებული ადამიანი თხოულობს უფრო დიდ შეფასებათ:

— არის პატარა დედამიწა და უსრულებელი სამყარო! ამ გარდაუვალ მწვერვალებში უნდა მოსჩანდეს თვით ადამიანიც—განთავისუფლებული ცხოვრების ყოველგვარ გორაკებიდან. (ისედაც მცირე და მძიმე ადამიანს, ვაჰ, როგორ ამძიმებენ და ამცირებენ ეს გორაკები)!

ბუნების დაუსრულებელი სიამე აბრეშუმის ყაჭივით გეხსოვება გარშემო. შენ თვითონაც ეხსოვები ამ ყაჭის სილამაზეს, გრძნეულებას. საგნები და მოვლენები ჰკარგავენ მოსაზრებელ სახეს. ხდება გარდაქმნა და გადანაცვლება ჩვეულებრივი გარემოსი.

და ჰხედავ — ბუნების შვილი თუ ბუნების ღმერთი პანი: წუნარი და გიჟი პანი, ნაზი და უდიერი პანი, უწვრთნელი და უძლეველი პანი მოდის შენსკენ ხელებ-გაშლილი. მოდის დედამიწის გულიდან, მოდის ცის სიმაღლიდან, მოდის დაბლა მტკვრის ჩურჩულიდან, მოდის ტყეებიდან და კლდეებიდან, მოდის დედამიწაში დაბნეულ ჭია-ღუადან და ცაში დაკარგულ ფრინველებიდან, მოდის ყოველი მხრიდან—სინათლით, ფერადებით, სურნელებით. სიშორით და სიახლოვით.

მოდის და შენც ეგებები ამ ვაჟკაცურ ღმერთს ყოველ მხარეზე, ყველა იმ სახით—როგორც გევლინება თვითონ. გრძნობ მშობლიურ ნაზ ჩახვევნას, ბავშურ გიჟ ჩახვევნას, ვაჟკაცურ ძლიერ ჩახვევნას.

— აჰაუ! გაჰყვირი აღტაცებით სამყაროს სასმენად.

— აჰაუ! მოგესმის განმეორებით სიმწვანიდან, სინათლიდან, სურნელებიდან.

ეს ხმა მიგორავს ძირს, მტკვრის კლდეებზე. ეს ხმა მიგუგუნებს ცის სიმაღლეში. ეს ხმა იკარგება გარემოს სიმდიდრეში და ჯადოქრობაში.

ეხლა ვგრძნობ, რომ მეც მესმის მინდიას ენა. მეც მესმის მრავალსახიერი ბუნების ულეველი თქმანი. მხოლოდ ეს თქმა მარტო ჩემთვის არის მოპოვებული. სხვისთვის არ გადაიცემა. სხვისთვის ვერ გადაიცემა.

ის ყველამ უნდა შეიგრძნოს თვითონ —საკუთარი გზით, საკუთარი არსებით.

### შავი წყლის აყოლებით

ბორჯომის ქუჩა. ვხედავ ჯოხებს. კიდევ ჯოხებს. რა მშვენიერი ნამუშევარია! ამის ოსტატები არსად არ ათავებენ ტეხნიკუმებს. ისინი იწვრთნებიან დაღესტნის მიყრუებულ სოფლებში. სწავლობენ და მუშაობენ ზამთრობით, ბუხრის პირად, დილიდან საღამომდის.

ეს სანიმუშოდ ჩაკიწკიწებული ჩუქურთმები რამდენ დროს და მოთმინების ნაყოფი არის! აქ ოსტატი თავის წარმოდგენაში ქმნის დაუსრულებელ მხატვრულ ქარაგმებს. შემდეგ გულმოდგინეთ სახავს სწორათ გამოთლილ შვინდის გულზე ვერცხლის დაფერილ ძაფებით. ამ შრომისა და სილამაზის მიხედვით—რა იაფად მეჩვენებიან ყველა ჯოხები.

იაფია, მაგრამ ვინ იცის, რა ძვირფასად იქცეს ზოგიერთი მათგანი სადღაც, ოდესღაც, ვიღაცის ხელში! ფულით მხოლოდ ერთ შემთხვევაში გაიზომება საგანი. შემდეგ მისი საფასური სულ სხვა არის, რაც ნივთიერათ ვერ გადმოხურდავდება. (ჯიბეში რომ კაჟი და კვესი მიგდია, იმას არ გავცვლი არცერთ დინამოზე)! თვალსა სჩიჩნის მხოლოდ ზოგიერთა ჯოხზე უბადრუკი წარწერა — "Боржом". (ეს იგივეა, რომ კალმა გულზე დაიკიდოს თავის სადარბაზო ბარათი).

მინერალური წყლების პარკს ვერ ვიტან. ყოველი კუტი იქ დაეხეტება, რომ ქვეყანას დაანახოს—მეც აქა ვარო. მაინც გვერდი არ აეხვია. უნდა იგი გადავსჭრა და ისე შევყვე შავი წყალის ხევს.

ჩანჩქერთან უეჭველად უნდა შეტრიალდეს კაცი. რა ვუყოთ, რომ ყველა პირაღია თავის მოვალეობათა სთვლის შეჩერდეს მის წინ და ყველას სახეზე გაცვეთილი შთაბეჭდილებებით წამოიძახოს:

— რა ლამაზია!

მართლადაც, ლამაზია და მშვენიერი! ათასჯერ ადის ფიქრი იქ, დასაწყისთან და თეთრად გადარეულ ჩანჩქერთან ერთად მოდის ძირს ხმაურით, თავპირის მტვრევით. შავ წყალში კი ისევ წამოდგება დაქანცული. ახლად იკრებს ძალას და ფრთებშესხმული ისევ მიექანება მაღლა, ჩანჩქერის აღმა.

ვუცქერი ამ თეთრად დაქოჩრილ მოლარიანცულე სიმშვენიერეს და სევდით შევსება გული, რომ ნიაგარის ღვართქაფის ნახვა ვერ მოვასწარი.

აქ არასდროს არ მინახავს მხატვარი. ფოტოგრაფი კი მუდამ ერთგულად არის მიდარაჯებული, რომ საწყალი ადამიანების პატარა კმაყოფილება სახელდახელოდ გამოჰხატოს.

ელექტრო - სადგურის იქით, გზასა და მდინარის შუა იყო ერთი სავანე. მკვდართა და გარდასულთა მრავალმეტყველი სავანე:

იქ იყო საფლავის დიდი ლოდები, რომელზედაც წარწერა ან არ ყოფილა, ან გადაუთლია დროს დაუნდობარ სალესავს.

იყო ადამიანის პირველად გაღვიძებული ჭკუით, მაგრამ ჯერ უწრთვნელი ხელით გამოჩორკნილი რაღაც ცხოველები: ყოჩი იყო, ვეფხვი თუ ლომი. ან ეგებ წარმოადგენდა ზღაპრულ არსებას, რომელშიც პირველ ყოფილი ადამიანის მიამიტი გრძნობა ჰხედავდა ძლევამოსილ სტიქიონთა შეუცნობელ სახეებს!

იქვე ეყარენ ბარაქიანი წისქვილის ქვები, ხელსაფქვავები და კიდევ რაღაც საგნები თუ ცხოველები. ბევრ მათგანს უკვე წაშლოდა სახე და მცირეოდენად განსხვავდებოდა თავის პირველი ყოფიდან, როცა უფორმოდ იწვენ პირველშობილ მთებში და კლდეებში.

ეს იყო—ისტორიის ბინდბუნდში გაქრალ მოვლენათა სასაფლაო. მიყვარდა ამ ძეგლებ შუა ტორტიალი და მათზე რაღაც დუწერელის კითხვა ან ფიქრი.

ეხლა ყველაფერი ეს ალგვილია—როგორც ხანა, მათი წარმომშობი. ძველ ნაშთთა ეს მცირედი სავანე სრულიად გავერანებულა. თავმოგიჟიანებულ შავ წყალს შარშან ისე წაულეკია იქაურობა—უბრალო ხსენებაც არ დაუტოვია. მხოლოდ წისქვილის ერთი ქვა ტოლდაკარგულათ გდია ელექტრო-სადგურის წინ.

არ მჯერა: ჩემ წინ რომ ცელქი აურზაურით მიშხუის ანკარა მდინარე—ნუ თუ ისეთი გიჟი და ძლიერი იყო, რომ ასე უკვალოდ ალგავა ის უზარმაზარი ლოდები!

მაგრამ მარტო ამ ძეგლებს ალგვით არ დაჯერებულა ხიდები ხიდებზე მიუნგრევია და ეხლა საშინაოთ გაწყობილ ხეებზე უხდება კაცს გავლა. ხიდების წამებულივით დაკლაკნილი რკინები კი ჰყრიან წალმა უკუღმა. ყოველ გამვლელს თითქოს ხმამაღლა შეჰყვირიან:

—დიდი ბრძოლა გადავიხადეთ, მაგრამ მაინც დავმარცხდით უსასტიკესად!

მდინარის სავალზე—მაღალ კლდეთა დამტვრეულ სხეულად ჰყრია უშველებელი ლოდები. მათ ცქერაზე ჩემში ვგრძნობ მდინარესავით შეუჩერებელ ჟინს: უშმაკოდ, უაზრიანოდ, ისე ხელდახელ მინდა ავსწიო ეს ლოდები და გოლიათური სილალით გადავსტყორცნო სადღაც შორს. მაგრამ ვიცი რომ საშინელი პატარა ვარ და სუსტი, ადამიანის აჩქარებული ჟინი და სურვილები რათ არის ასე ძლიერი და მიუწდომელი?

აქ ვხედავ ერთ გასაოცარ სურათსაც. თუ ვინმემ არ დაიჯეროს, რომ ქვაზე, შიშველი ქვაზე ხეები იზრდებიან—მაშინ მოიყვანეთ აქ და მიუთითეთ ამ სურათზე: მდინარეში გდია ჰიბადურის ქოხისოდენა ლოდი. არსაიდან არ ეკარება მიწა. წყალიც ქვეშ მიდის. ზედ შუაგულ ლოდზე ყელყელაობს შვიდი-რვა ადლის სიმაღლე ნაძვი. როგორ სდგას იქ? რა ასაზრდოებს? მხოლოდ ერთი ფესვი ვაჟკაცის კარგი მკლავივით გადმოუხვევია კლდის შუა გულზე. გაუპია სალი მკერდი და ჩაჰხვევია გულის სიღრმეში. რას სწუწნის? რა ძალა არის დაფარული ამ კლდის სიღრმეში? ვერ მივმხვდარვარ უციცი—ბუნების საიდუმლოებათა წინაშე და ისევ ამ კოხტა ნაძვის ცქერაში ვაქარვებ ჩემ ძალთა ქეჯნას.

მსგავსივე სურათები მინახავს მოწამეთაში. ყოველგვარ მიწის ნასახიდან ალგვილ კლდეებზე იზრდებიან და ხარობენ სხვადასხვა ჯურის ხეები. აქ ბუნება ჟინიანი უცნაურობით უხვევს თითქოს თავის კანონებს და თავგზას უბნევს მის საიდუმლოების მაძიებელ საწყალ ადამიანს.

მივყვები გზას ზევით და ზევით. თითო-ოროლა მოაგარაკეს თუ შემოვხვდები. საერთოდ ხალხი არ იწყენს თავს აქ სეირნობით. მათთვის მზრუნველობით, გაუშენებიათ „მინერალური წყლების პარკი“. დაე, იქ იფუსფუსონ და იჭორიკანაონ ერთმანეთის შეხვედრაზე. თუ კი ისინი არ დაარღვევენ ჩემს მყუდროებას ამ დაშორებაში, არც მე შევეცილები მათ სამფლობელოს.

აგერ შინაურულათ მოწყობილი გოგირდის აბანოები. ამათ ჯადოსნურ მკურნალობაზეც ბევრს ლაპარაკობენ, როგორც საერთოდ ყველა მინერალურ წყლებზე. მაგრამ რაც უნდა უებარი იყვეს მათი მკურნალობა, თვით აბანოების "მოწყობილობა" დიდი უნდობლობით. ავსებს ჩემ გულს.

ამ აბანოებს იქით კი თითქმის აღარავინ დადის. აქედან ისევ იწყობა ბუნების წარუხოცელი სილაღე და მზეთუნახაობა.

გულს აჩიჩქოლებს უცნაური გრძნობანი: ამ გარემოს მეფე ვარ, მონა, შვილი თუ მეგობარი? ვხედავ კი რომ მახლობელი ვარ მისი, მონაწილე ვარ მისი.

მთელი გარემო ღაღადებს რაღაც უძლეველ დიდებაზე, რაღაც სანეტარო ცდუნებაზე: ნაძვის ხეები გიწოდებენ მოსახვევნად. ბალახი თხოულობს მის მწვანეზე წამოწოლას. დიდი ლოდები გაზელებენ მათ ასაწევად. მდინარეც გიწვევს ფირუზ დავლებულ თავის მორევში.

მესმის ყველას ხმა. მივსდევ ყველას მოწოდებას. ავყვები ყველას ცდუნებას.

რა ღრმა და ცივია ეს ფირუზა მორევი! მაგრამ ამავე დროს მე ვცურაობ კიდევ სხვა მორევში. ერთი ფიქრის ულრმეს მორევში:

— რათა კვდება ადამიანი! რათა კვდება ადამიანი!

ლევ. მეტრეველი.

# „დარისხვა“

გაზეთ „კომუნისტი“-ს 211 №-ში მოთავსებულია წერილი (სოფ. მლეთიდან დუშეთის მაზრა) შემდეგი სათაურით: „ნუ დაუშვებთ „დარისხვას“. ამ წერილში კორესპონდენტი მოგვითხრობს, რომ: „ფასანაურიდან ხუთი ვერსის მანძილზე ალექსანდრე ბურდულმა ვერაგულად მოჰკლა ნიკო ბურდული,—გაცარცვა, და იქვე ხიდიდან ხევში გადააგდო. მოქ. ალ. ბურდული მეორე დღესვე დატუსაღებული იქნა. ამ მკვლელობამ ძლიერ აღელვა გლეხები. ერთ დღეს შეიკრიბა მთელი სოფელი, მივიდნენ ეკლესიაში და ჩაყარეს „დარისხვის ქვები“. ეხლაც ეკლესიის შესავალში არის ჩაყრილი ორი ქვა.

ხალხს აქვს მიცემული ფიცი, რომ არავინ არ გასცეს ხმა მკვლელის მოხუც მამას და მის ბიძას, რა შემთხვევაც არ უნდა იყვეს. ამ ფიცის გატეხის უფლება არავის არ აქვს, და თუ ვინმემ დაარღვია, ისიც იმ ყოფაში იქნება. რომელშიაც არის მკვლელის ოჯახი“-ო. დასძენს ავტორი.

ეს წერილი მრავალ მხრივ არის საყურადღებო. „დარისხვა“ ეს იგივე ბოიკოტია, რომელსაც ჩვენი შეგნებული მუშები და გლეხები კარგათ იცნობენ. ბოიკოტის მნიშვნელობა და ძლიერება ყველასათვის აშკარაა. რევოლიუციის პირველ ხანებში ქალაქად და სოფლად ფართოთ იყო გავრცელებული ბოიკოტის გამოცხადება. სოფლად ყველა სისხლის მჭამელებს, როგორიც იყვნენ მემამულეები, მღვდლები, ჯაშუშები და სხვა ასეთი პირები, მშრომელი გლეხკაცობა ბოიკოტს უცხადებდა. ქალაქშიაც ფართოთ იყო გავრცელებული ბოიკოტი. სალამის არ მიცემა, მეზობლური კავშირის შეწყვეტა, მემამულეების მიწების არ დამუშავება, ხელზე მოსამსახურეების მოხსნა და სხვა. მოკლეთ რომ ვსთქვათ, ბოიკოტის საშუალებით ბევრ ჯიუტ და კერპს კისერი მოუღუნეს და მუხლებზე დააჩოქეს.

ასე რომ, მშრომელი ხალხის შეგნებული ნაწილი „დარისხვას“, ანუ ბოიკოტს იყენებდა სულ სხვა მიზნით და მიმართულებით,—პირდაპირ მშრომელი ხალხის მტრების წინააღმდეგ, და ისიც მაშინ, როდესაც ძალა-უფლება მტრების ხელში იყო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სოფ. მლეთში მომხდარ ამბავს საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. მასზე მკითხველის ყურადღების შეჩერება ღირს, რომ იქიდან გავაკეთოთ საერთო ხასიათის დასკვნები.

ვინ გაამართლებს მკვლელს? რასაკვირველია ის უნდა დაისაჯოს სასტიკად და სამაგალითოდ, თუ მართლაც მტკიცდება მისი დანაშაული. მაგრამ საკითხავია: რამდენათ სწორი და სამართლიანია სოფ. მლეთის გლეხების დადგენილება „დარისხვის“ შესახებ და რა შუაშია მკვლელის მშობლები და ნათესავები? მკვლელმა ხომ კანონიერი სასჯელი მიიღო? „დარისხვის“ ანუ ბოიკოტის გამოცხადების გამართლება შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ მკვლელის ოჯახის წევრები ხელს უწყობდენ ბოროტმოქმედს—ბოროტმოქმედების ჩაიდენაში და თუ მათ იცოდენ სად იმალებოდა მკვლელი და მფარველობასაც უწევდენ მას. ასეთ შემთხვევაში კიდევ შეიძლებოდა დასმულიყო საკითხი ბოიკოტის გამოცხადების შესახებ, თუმცა არსებულ პირობებში ეს არ იქნებოდა მიზანშეწონილი და კანონიერი მოქმედება. რატომ? იმიტომ რომ დღეს ძალა უფლება მუშებისა და გლეხების ხელშია. მეფის დროს ქურდს, ოხერს, [illegible] და საზოგადოთ დამნაშავეს, გარდა პოლიტიკურისა, არ იჭერდენ, ან თუ დაიჭერდენ, მას მალე განთავისუფლებდნენ, რადგანაც მეფის ჩინოვნიკებში მექრთამეობა ძალიან იყო გავრცელებული. ხალხს არ ჰქონდა იმედი, რომ მავნე პირი დასჯილი იქნებოდა. ამიტომ მაშინ გასაგები იყო ხალხის მიერ თვითგასამართლების ჩადენა.

ახლანდელ მთავრობის მიმართ ასეთ უნდობლობას ვერავინ გამოიჩენს. საბჭოთა ხელისუფლება სასტიკი და შეუბრალებელია იმ პირებისადმი, რომელნიც სჩადიან რაიმე დანაშაულობას. სოფ. მლეთის გლეხკაცობამ გამოიჩინა თაოსნობა იმაში, რომ თავი მოიყარა და მკვლელობის შესახებ იქონია მსჯელობა—აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ასეთი თაოსნობის და თვითმოქმედების გამოჩენა მოსაწონია, მაგრამ სამწუხარო აქ ის არის, რომ ეს თვითმოქმედება და თაოსნობა ვერ იყო სწორ კალაპოტში მოქცეული და მიზანშეწონილად გამოყენებული. თქვენ წარმოიდგინეთ, სოფ. მლეთის გლეხკაცობა არ დაკმაყოფილდა მარტო „დარისხვით“, და აღძრა შუამდგომლობა საქ. ცაკის წინაშე, იმის შესახებ, რომ მკვლელის ნათესავები გადაესახლებინად მლეთიდან. პირდაპირ გასაოცარია ის ნებისყოფა, რომელსაც იჩენენ მლეთის გლეხები მკვლელის მშობლების და ნათესავების დასასჯელად. ლაპარაკი არ უნდა, რომ პატიოსან და გულწრფელ მლეთელ გლეხკაცობას ამოძრავებს და ამოქმედებს უაღრესი აღშფოთება ვერაგული მკვლელობის წინააღმდეგ. სოფ. მლეთის გლეხებს მადლობა უნდა გამოეცხადოს იმისათვის, რომ მათ ხელი არ დააფარეს მკვლელს. მართლაც და განა ცოტა მოიპოვებიან ისეთები, რომელთაც იციან ესა თუ ის დანაშაულობა, ბოროტმოქმედება, მაგრამ თავს არ იწუხებენ, მალავენ, ხელს აფარებენ და მით თავიანთ კეთილდღეობასაც ძირს უთხრიან? მლეთის გლეხკაცობის შეცდომა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მან თვითგასამართლების მეთოდებს მიმართა. მაშინ, როდესაც ძალა-უფლება მშრომელი ხალხის ხელშია, სრულებით არ არის საჭირო „დარისხვა“—ის იგივე თვითგასამართლებაა, რომელსაც ეხლა აღარ ვსაჭიროებთ. ყველამ, როგორც ქალაქად, ისე სოფლად უნდა გამოიჩინოს გაბედულება, თაოსნობა და თვითმოქმედება იმაში, რომ მავნე პირები, რომელთაც თავიანთი საქციელით თუ მოქმედებით ზიანი და ზარალი მოაქვთ მშრომელი ხალხისთვის, გამოამზეურონ, გამოაშკარავონ და გამოამჟღავნონ თავის დროზე. მუშურ-გლეხური მთავრობა მათ არათერს აპატიებს, ყველას მიუზღავს შესაფერ და სათანადო სასჯელს. რაკი ეს ასეა, რაღა საჭიროა თვითგასამართლება, რომელსაც აუცილებლად თან სდევს უკანონობა, შეცდომა და გაუგებრობა. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში საჭიროა არა „დარისხვა“ და თვითგასამართლება, არამედ დამნაშავეთა და ბოროტმოქმედ პირთა დროზე გამომჟღავნება. ამ მხრივ დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ სხვათა შორის მუშკორებსა და გლეხკორებს. რაც შეეხება დამნაშავეთა დასჯას, ის სავსებით მუშურ-გლეხური მთავრობისა და მისი ორგანოების საქმეა.

ქ. ხომერიკი.

# მეორე საგლეხო სესხი

### მეოთხე გათამაშების წინ

მეორე საგლეხო სესხის მეოთხე გათამაშება (ტირაჟი) მოხდება ქ. ნოვოსიმბირსკში.

იგი დაიწყება 1 ოქტომბერს და გასტანს 10 ოქტომბრამდე.

ამ გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს აღნიშნულ სესხის ათივე სერია. სულ იქნება გათამაშებული 32.810 მოგება საერთო ჯამით 1.250.000 მანეთისა.

ყოველგვარ საჭირო ცნობებს ამ გათამაშებისა და მოგებათა შესახებ, მსურველი მიიღებს უფასოდ ყველა ფინორგანოებში, ბანკებში, საკრედიტო კოოპერატივებში, შემნახველ სალაროებში და ფოსტა - ტელეგრაფის განყოფილებებში.

ყველა შემ. სალაროებში იყიდება მეორე საგლეხო სესხის ობლიგაციები მათი საფასურის ნაწილ-ნაწილად გადახდით.

ყველას შეუძლია შემ. სალაროში დაიბეოს 5 მანეთიანი ობლიგაცია მხოლოდ ერთი მანეთის შეტანით და მიიღოს მონაწილეობა მეოთხე გათამაშებაში. ამრიგათ ერთი მანეთის შეტანამ, ადვილად შეიძლება მოიგოს 5000 მანეთი.

### ობლიგაციების გაყიდვა

ყველა სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროებში შემოღებულია მეორე საგლეხო სესხის ობლიგაციების (ბილეთების) გაყიდვა მათი საფასის ნაწილ ნაწილად გადახდით. ასეთ შეღავათიან პირობით ხუთმანეთიან ობლიგაციის შემძენს შეაქვს შემ. სალაროში მხოლოდ ერთი მანეთი და იბეებს ობლიგაციას. მას ეძლევა ქვითარი ამ დაბევებულ ობლიგაციის ნომრის აღნიშვნით. დანარჩენი 4 მანეთი ობლიგაციის შემძენს შეაქვს სალაროში 4 თვის განმავლობაში—თვეში თითო მანეთი, ხოლო როცა შეიტანს უკანასკნელ მანეთს, მას მისცემენ ხელში ნაყიდ ობლიგაციას.

ასეთი პირობით ობლიგაციის შეძენა შეუძლიათ ერთად რამდენიმე პირს; ამ შემთხვევაში თითო მათგანს ერთი მანეთის ნაცვლად შეუძლია შეიტანოს თვიურად 20—25 კაპ., ამ სახით უადვილდებათ ღარიბეს მოსახლეობას ობლიგაციის შეძენა და მით სარგებლობა.

ობლიგაციის დაბევების დღიდან მთელი მისი სარგებელი და გათამაშების დროს შეხვედრილი მოგება სავსებით ეკუთვნის ობლიგაციის მყიდველს.

# წითელი ჯვრის სამდღიურის შედეგები

ჯერ არ დასრულებულა წითელი ჯვრის სამდღიურის ჩატარება. გრძელდება ლექცია-მოხსენებების კითხვა ზოგიერთ წარმოებებში. ფულის შეგროვება უკვე დასრულდა, მხოლოდ ჯერ-ჯერობით არ შეიძლება მისი რაოდენობის გამორკვევა, რადგან შეგროვილი თანხა დათვლილი არ არის. დაახლოვებითი ვარაუდით კი, შეიძლება ითქვას, რომ 5 ათას მანეთზე ნაკლები არ იქნება.

უნდა აღინიშნოს წითელი ჯვრის სამ დღიურის კამპანიაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ მუშები და მშრომელი მასა, საერთოდ.

მთელ საქართველოში მოსალოდნელია 10.000 მანეთზე მეტი თანხის შეგროვება. პროვინციებში შეგროვილი თანხის 50% რჩებათ წითელი ჯვრის მათ განყოფილებებს. საერთოდ, ხოლო დანარჩენი თანხა იგზავნება მთავრ სამმართველოში; ავტონომიურ რესპუბლიკებში შეგროვილი თანხა კი მთლიანად რჩებათ წითელი ჯვრის მათ განყოფილებებს საერთოდ, პროვინცია მხურვალედ ეკიდება სამდღიურის ჩატარებას.

სამდღიურის ჩატარების დროს, ლექცია-მოხსენებებისა და ფულის შეგროვების გარდა სწარმოებდა მოქალაქეების ჩაწერა წითელი ჯვრის საზოგადოებაში.. წევრებად სამეურნეო და საზოგადო ორგანიზაციებიც ეწერებოდენ. წევრებად ჩაწერილთ უხვად შემოქონდათ საწევრო გადასახადი, ჩვეულებრივ არა ნაკლებ 50 მანეთისა. ზოგს 300,-500 მანეთამდეც კი შემოჰქონდათ.

უნდა ითქვას, რომ წრევანდელი სამდღიური უფრო გაცხოველებით ჩატარდა, ვიდრე შარშანდელი.

# გზა სვანეთში

სვანეთის ალმასკომი შეუდგა ახალი გზის გაყვანას სოფ. ბეჩოდან სოფ. ხუბერამდე. ყოველდღიურათ გზის გასაყვანათ მუშაობს 50 მუშა-ხელი.

გზაზე მუშაობა დაიწყო 10 სექტემბერს და დამთავრდება 10 ოქტომბერს.

ამ გზას სვანეთისათვის ექნება განსაკუთრებული მნიშვნელობა, ვინაიდან იგი გაიარს სვანეთის შუაგულზე. და დააკავშირებს ზემო და ქვემო სვანეთს.

# მელიორაცია

რესპუბლიკაში არსებულ მოსარწყავი ადგილების სივრცე უკანასკნელი გამოანგარიშებით უდრის სულ—955.000 დესეტინას.

აქედან აღმოსავლეთ საქართველოზე მოდის 605.000 დესეტინა, ხოლო დასავლეთ საქართველოზე 350.000 დესეტინა.

ამ სივრციდან ერთი ნაწილის მორწყვა უკვე სწარმოებს, ხოლო მეორე ნაწილის მოსარწყავათ დაწყებულია მუშაობა.

უკვე მორწყული ტერიტორიის სივრცე უდრის 100.000 დესეტინას. ამჟამად სწარმოებს და თავდება მოსარწყავად წარმოებული სამუშაოები 10.000 დესეტინაზე.

გამოკვლევები დაწყებულია და დასრულდა 120 ათას დესეტინაზე.

მომავალი ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმით განზრახულია შემდეგი ადგილების მორწყვა: სოლანლუღის ველი 4.000 დეს., ნაგომარის ველი—5 ათასი დესეტინა, აშურიანის ხევი—3 ათასი დესეტინა, ტაპარავან-ჩაის მიდამოები—3.000 დესეტინა, ბანძა-აბაშის მიდამოები—15.000 დეს., ფოთის ჭაობები—40.000 დეს. და სხვა ველები, სივრცით—20.000 დესეტინა.

სულ მოსარწყავი ტერიტორიის სივრცე, (რომელიც მორწყული უნდა იქნეს 1930 წლისათვის) უდრის—419.500 დეს., ხოლო ამოსაშრობის—95.000 დესეტინას.

# სას.-სამ. იარაღები

საქართველოს გლეხობის საგრძნობ ნაწილს არა აქვს სახნავი იარაღები, ზოგიერთ გლეხებს კი მუშა-საქონელიც არა ჰყავთ.

რაც შეეხება რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს (ტრაქტორები, სათესი მანქანები, სალეწი და სამკალი მანქანები და სხვა), მათი რიცხვი ჩვენში მეტად მცირეა.

ამჟამად გლეხობაში გაძლიერებული მოთხოვნილებაა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე და იარაღებზე და მათი მიწოდება გლეხებისათვის შეღავათიან პირობებში სახელმწიფოს მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გრძელვადიან კრედიტს, რადგან გლეხობას, განსაკუთრებით მის ღარიბეს ნაწილს, რომელიც მნიშვნელოვან პროცენტს შეადგენს საქართველოში, საშუალება არა აქვს შეიძინოს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

საქართველოს საგეგმო კომისიის აზრით, 1926—27 წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შესაძენად და გლეხობისათვის გრძელვადიანი კრედიტის სახით მისაწოდებლად საჭირო იქნება 569.000 მანეთი.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეკეთებას.

უკანასკნელი წლების გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ საჭიროა მანქანა-იარაღების თავის დროზე და სათანადოთ შეკეთება. ამ მხრივ საქართველო მძიმე მდგომარეობაშია. ყველა მანქანების 50 პროც. ამჟამად უმოძრაოდ სდგას სათანადო რემონტის უქონლობის გამო. სოფლად მანქანა-იარაღების შესაკეთებლად მოწყობილია პრიმიტიული სახელოსნოები, რომლებსაც არ შეუძლია მანქანების სათანადოთ შეკეთება.

ამ ნაკლის გამოსწორების მიზნით, საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო ახალი სახელოსნოების მოწყობა სიღნაღის, გორის და თელავის მაზრებში; თითო სახელოსნოს მოწყობა დაჯდება 7.500 მანეთი. ამასთანავე გაუმჯობესებული უნდა იქნეს ცენტრალური სახელოსნო თბილისში.

# ამხ. ბაბე ფურცელაძის ხსოვნას

კვირას 26-სექტემბერს დღის 12 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. თბილისის ალმასკომის საფინანსო განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკი ამხ. ბაბე ფურცელაძე, რომელიც გასაბჭოების შემდეგ დაუღალავი ენერგიით და ნაყოფიერი მუშაობით იდგა შრომის სადარაჯოზე, გარდა ამისა ის გულწრფელი ენტუზიაზმით ეტანებოდა საზოგადოებრივ პროფესიონალურ მუშაობას და უკანასკნელ 3-წლის განმავლობაში ამხ. ბაბე შეუცვლელი წევრი იყო ალმასკომის საბჭოთა მუშაკების ადგილკომის, და თავის ინიციატივით აწარმოებდა მუშაობას, როგორც კულტურულ განათლების დარგში, აგრეთვე ადგილკომის მრავალფეროვან მუშაობაში.

როგორც ქალი, ის აქტიური იყო ყოველივე საქმიანობაში და დიდი ალტაცებით ეგებებოდა ყოველგვარ დავალებებს, რომელიც ქალთა მუშაობას შეეხებოდა.

მთელი თავისი ცოდნა - გამოცდილება მან შესწირა დაწესებულებას და საზოგადოებრივ მუშაობას.ამხ. ბაბე ფურცელაძის სახით ალმასკომის საბჭოთა მუშაკების ადგილკომმა და მასთან მთელმა თანამშრომლებმა ერთი ფრიად ნიჭიერი გამოცდილი მუშაობის მოყვარული და გულშემატკივარი ამხანაგთაგანი დაკარგა.

ალმასკომის საბჭოთა მუშ. ადგილკომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საინგილო

საინგილო შეადგენს ზაქათალის მაზრის მნიშვნელოვან ნაწილს. ინგილოები თავიანთ სიდინჯით და ნიჭით ბევრს ჩვენს სხვა კუთხეებზე წინ დგანან.

ინგილოები ორ ნაწილად იყოფიან: ქრისტიანად და მუსულმანად. ამათში ქართული ენა დღემდე ბევრ ალაგს დაცულია. საინგილოს ჰყავს მაღალი განათლებით ინტელიგენცია, როგორც მაგ. პატ. პროფ. მოსე ჯანაშვილი, მაგრამ ამათ იშვიათად უხდებათ საინგილოში ყოფნა.

ქრისტიან ინგილოებში არის რამოდენიმე ქართული პირველი დაწყებითი სკოლები. ამ სკოლების დასრულების შემდეგ ინგილოებს არ შეუძლიათ აზერბეიჯანში სწავლის გაგრძელება თავიანთ ენაზე.

ამ გარემოებამ მაიძულა, რომ წელს სკოლის კურს დამთავრებულნი ექვსი მოწაფე ჩამომეყვანა თბილისში და მეშუამდგომლებია სამოსწავლო მთავრობის წინაშე ამათ სახელმწიფო ხარჯზე მიღების შესახებ მაღალ საფეხურის სკოლაში.

მთავრობამ ჩემი თხოვნა დააკმაყოფილა და ხსენებული ინგილოთა ღარიბი ოჯახის შვილები მიღებულ იქნენ მთიელთა ასაკზედა საბავშო სახლში. ამ ფრიად მნიშვნელოვან დაწესებულებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია სხვა ჩამორჩენილ კუთხეთა შორის.

მეტად სასურველია, რომ ეს ბავშვები II საფეხურის კურსის დასრულების შემდეგ მიღებულ იქნან სამასწავლებლო სემინარიაში, რომ საინგილოც ღირსის ადგილობრივ მასწავლებელთა კადრს, რომლებიც არა ერთი და ორი წლით, არამედ მუდმივათ ჩაებმებიან სახალხო სხვადასხვა კულტურულ საქმეთა მუშაობაში.

საინგილოს ქართ. სკოლების ინ-რი ზ. მეზრელიძე.

◆

# სატყეო ტრესტი

## შტატის გადასინჯვა

საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტმა გამოჰყო კომისია, რომელსაც დაევალა სატყეო მრეწველობის ტრესტის თანამშრომელთა შტატის გადასინჯვა, მისი გაჯანსაღების მიზნით.

## თავის დროზე აბარებს

საქ. სატყეო ტრესტს შეკვეთილი აქვს ა.-კ. რკ. გზ. გამგეობიდან 180.000 შპალი და 1 მილიონი კუბ. ფუტი წიწვიან ჯიშის მორები. სატყეო ტრესტი შეკვეთილ მასალებს დაამზადა და უკვე შეუდგა და თავის დროზე აბარებს რკ. გზას ნორმაზე მეტ დამზადებულ მასალებს.

◆

# საყოველთაო აღწერა

## საორგანიზაციო მუშაობა

საერთო აღწერისთვის მთელი საორგანიზაციო მუშაობა დამთავრდება ოქტომბრის ბოლო რიცხვებში. პირველ ნოემბრიდან დაარსდება აღწერის ჩამტარებელი ბიურო, რომელიც მოამზადებს ასაწერ რაოდენობის გეგმას (პლანშეტებს) მოიწვევს ამწერებს და მოამზადებს მათ. 17 დეკემბრისათვის (ამ დღეს მოხდება აღწერა მთელ საბჭოთა კავშირში) თბილისი ყოველ მხრივ იქნება მომზადებული აღწერის ჩასატარებლად.

## გეგმის შემოწმება

მიმდინარე კვირის განმავლობაში ალმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება დაამთავრებს 1910 წელში შედგენილ თბილისის გეგმის შემოწმება-განხილვას. გეგმაში შეიტანება შესაფერი შესწორებები.

## სახლების დანომვრა

თბილისის სახლების და ბინების დანომვრა დღემდე არ ხდებოდა მტკიცე გეგმის მიხედვით; ამიტომ ამჟამად დანომრილი სახლები და ბინები აღწერისთვის არ გამოდგება. ამის გამო საორგანიზაციო ბიურო იწვევს საგანგებო პირებს, რომლებიც სახლების პატრონებს აუხსნიან სახლების და ბინების დანომვრის წესებს.

## დაუნომრავი სახლები

საორგანიზაციო კომისიამ განიხილა მასალები დაუნომრავ სახლების შესახებ და ქვე-კომისიას დაავალა დაუნომრავ სახლების ადგილობრივად შემოწმება. გადაწყვეტილია სახლების დანომვრის საქმე მიენდოს ალმასკომის კეთილმოწყობის განყოფილებას.

# [illegible] უბედურება

გუშინ, დღის 6 საათზე საბჭოს ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა ტრამვაის დენის გამტარებელ ბოძს. ცეცხლმა მოულოდნელად საშიში ხასიათი მიიღო: მოსალოდნელი იყო მავთულების გაწყვეტა, რაც უდიდეს საფრთხეს უმზადებდა გამვლელთ. საგუშაგოზე მდგომმა მილიციელმა დროზე მიაქცია ყურადღება ამ საფრთხეს და მოწვეულ მეეზოვების საშუალებით ხალხი არ გაატარა საშიშარ ადგილებზე.

ტრამვაის სამმართველოდან დაჩქარებით მოვიდენ მექანიკოსები და დამწვარი ბოძი შეაკეთეს.

# ქრონიკა

## პროფ. მიხეევის ჩამოსვლა

ბაქოს საბჭოს კომუნალური განყოფილების დავალებით გუშინ თბილისში ჩამოვიდა პროფ. მიხეევი, რომელიც გაეცნობა ადგილობრივ ფლორას საერთოდ და, კერძოთ, გამოიკვლევს ელდარის ცაცხვს.

## კანაფის მოსავალი

ამიერ-კავკასიაში დაიწყო კანაფის შეგროვება. წელს კანაფი დათესილი იყო 500 დეს. მიწაზე. დესიატინაზე მოელიან 50 ფ. მოსავალს.

## დასასვენებელი სახლი

გადაწყდა ბახმაროზე აშენდეს დასასვენებელი სახლი საქართველოს წყალთა მეურნეობის დარგში მომუშავე მუშებისათვის.

## მუშათა მსოფლიო ოლიმპიადა

ფიზკულტურის ამიერ-კავკასიის საბჭომ წითელ სპორტინტერნიდან მიიღო ცნობა, რომ მუშათა მსოფლიო ოლიმპიადა შესდგება მოსკოვში 1928 წ. ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებენ სპორტინტერნის ყველა სექციები.

## სატყეო ტრესტის მმართველი

საქართველოს სახალხო მეურ. უმაღლესმა საბჭომ საქართველოს სატყეო ტრესტის მმართველათ დანიშნა ამხ. ნიკოდიმ ბრეგაძე.

## თბილისის ალმასკომში

— გოგილოს აბანოს გაფართოებას შეუდგებიან მომავალ წლიდან.

— საბინაო გადასახადის სახით მიმდინარე საგადასახადო პერიოდში ალმასკომს შემოუვიდა 70.000 მან. მეტი.

— დავრდომილ ქალთა თავშესაფარის მოწყობა ავლაბარში დამთავრდა.

— ქალაქის გარე უბნებში ტყის მოსაშენებლად გა[illegible]ო 36.000 მ.

— გზა [illegible]ილის-თიანეთს შორის გზატკეცილის გას[illegible]ად გადაიდო 10.000 მ.

## მიწათმოქმ. სახ. კომისარიატში

— მიწათ-მოწყობა. მიწათ-მოწყობა პროვინციებში შეჩერებული იქნება დეკემბრის 1-დან. მიწის-მზომელები ზამთრის განმავლობაში იმუშავებენ მიწსახკომის სამზარეულოში.

— მიწათმოქმ. სახ. კომისარიატის კოლეგიასთან დაარსდა სამიწათმოქმედო საგეგმო კომისია.

## ჯანმრთელობის კომისარიატში

— სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტები გაიხსნება ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

— საზღვარგარეთ ჯანსახკომმა სამეცნიერო მიზნით მიავლინა ექიმი სარაჯიშვილი.

## განათლება

— საბავშვო ბაღები. ამჟამად მთელ საქართველოში არსებობს 62 საბავშვო ბაღი და 24 საბავშვო კერა.

— მასწავლებლები. მთელ რესპუბლიკაში მასწავლებელთა რიცხვი აღწევს 10.000 კაცს.

— ქართულ ცენტრალურ მუზეუმში სწავლა უკვე დაიწყო მესამე და მეოთხე კურსებზე. პირველსა და მეორეზე სწავლა დაიწყება 1 ოქტომბრიდან.

— შეკეთება. დამთავრდა ქართულ ცენტრ. მუზეუმის ფიზიკურ კაბინეტების და საერთო საცხოვრებლების შეკეთება.

## ახალი წიგნები

— „ბიოლოგია“. რედაქციამ მიიღო ა. ჩხენკელის მიერ შედგენილი ახალი სახელმძღვანელო „ბიოლოგია“.

— წიგნი მებამბეობაზე. რედაქციამ მიიღო საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს საინფორ. განყ. მიერ გამოცემული წიგნი „მებამბეობა საბჭოთა კავშირში“—რუსულ ენაზე.

## შემთხვევები

— დაჭრა. 28 სექტ. სასამართლოს ქ., № 30, არშაკ ბელიკიანცი და მიხეილ ჯაფაროვი დანით დასჭრა გრიგოლ დოლიძემ.

— თავისმოწამვლა. 28 სექტ. მეტეხის ქ., № 18, იოდით თავი მოიწამლა ვარვარა ნათიძემ.

— თვითმკვლელობის მიზნით რევოლვერით თავი დაიჭრა ნადეჟდა ჩიჩიბაიამ.

— სახაზინო ფული. ქერის დანგრევის საშუალებით პარკოვის ქ., № 1, გერმანე ჩიქვაიძის ბინიდან მოიპარეს 630 მ. სახაზინო ფული.

— ტრამვაის რონოდაში მუხრანის ქუჩაზე სერგო გრიგორიანცს ამოაცალეს 100 მ.

— რკ.-გზის მთავარ სახელოსნოში მიხეილ კეშელაშვილს მოპარეს საათი.

— მუშათა კლუბის სადარაჯო ოთახიდან მოიპარეს სხვადასხვა ნივთები.

— შეპყრობა. 28 სექტ. ქურდობისათვის შეიპყრეს ალექსანდრე მირზა - ოღლი.

— ქურდობა. 28 სექტ. ანდრეევის ქ., № 14, გაქურდეს კუზნეცოვის ქარხანა.

— ამავე დღეს იაროსლავის ქ., № 2, გაქურდეს მურადხან ბეგლიაროვის ბინა.

— ამავე დღეს გაქურდეს მიხეილ ნასონოვის ბინა.

◆

# აგური

თბილისის ალმასკომის საგეგმო კომისიამ დაადგინა, აგურის თვისების გაუმჯობესების მიზნით მოახდინოს თიხის გეოლოგიურ - ტეხნიკური გამოკვლევა. თიხის სათანადოთ გამოკვლევის შემდეგ, განზრახულია შეუდგენ რკინააგურის დამზადებას. ასეთი აგური დიდათ განსხვავდება ჩვეულებრივ აგურისაგან, როგორც თავის გამძლეობით, ისე სიმჩატით.

გამოკვლევის მოხდენა დაევალა კომუნალურ განყოფილებას. თიხის გეოლოგიურ - ტეხნიკურ გამოკვლევასთან ერთად პარალელურად იწარმოებს აგურის ქარხნების მექანიზაციის საკითხის შესწავლა. აგურის ქარხნების მექანიზაცია გამოწვეულია თბილისში სააღმშენებლო მუშაობის არაჩვეულებრივად გაზრდით.

◆

# ტრაქტორისტების კურსები

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ განზრახულ ტრაქტორისტების კურსებზე მეცადინეობა ოქტომბრის 8-ს დაიწყება. მეცადინეობა 5 თვეს გასტანს. მსმენელთ მიეცემათ სრული ცოდნა ტრაქტორის მექანიზმის და მისი მოხმარების შესახებ, აგრეთვე ცოდნა, რაც საჭიროა სასოფლო - სამეურნეო მანქანა - იარაღების მონტიორისათვის. კურს-დამთავრებულთ, საბოლოო გამოცდაზე გამოჩენილი ცოდნის მიხედვით, მიეცემათ ერთ-ერთი შემდეგი სახელწოდება: სასოფლო - სამეურნეო იარაღმანქანების მონტიორისა, ტრაქტორისტისა ან მესაჭისა. კურსების გამგედ დანიშნულია პროფ. კ. მ. ამირეჯიბი, უფროს მასწავლებლად — სწავლული აგრონომები ვ. დ. ხოფერია და ა. პ. კიზირია.

◆

# ელექტროფიკაცია

განზრახულია ყარაიაზის თემის ელექტროფიკაცია. ყარაიაზის თემი თბილისის მაზრაში ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო სამეურნეო კუთხეთ. იქ უმთავრესად სწარმოებს ბამბის და ბრინჯის მეურნეობა. ამ თემის ელექტროფიკაცია დიდათ შეუწყობს ხელს აღნიშნულ მეურნეობათა გაუმჯობესებას. ამ მიზნით თბილისის ალმასკომის საგეგმო კომისიამ გადაწყვიტა შეუდგენ ყარაიაზის თემის ელექტროფიკაციის საქმეს. წინასწარი მუშაობის ადგილობრივ შესასწავლად, შესდგა კომისია ინჟ. ყიფშიძის თავმჯდომარეობით.

# შეშა

საქ. სატყეო ტრესტის ცნობით, ვაგონების ნაკლულევანების გამო, ამჟამად მნიშვნელოვნად ფერხდება თბილისში შეშის ჩამოზიდვის საქმე. სატყეო ტრესტმა მიმართა ა.-კ. რკინის გზის გამგეობას გასცეს ყოველთვიურად სატყეო ტრესტის შეშის ჩამოსაზიდათ 550 ვაგონი.

ვაგონების უქონლობა აფერხებს აგრეთვე ტყიდან შეშის გამოზიდვის საქმეს, ვინაიდან ჩამოზიდული შეშა თავის დროზე არ იგზავნება დანიშნულებისამებრ, ხოლო ლიანდაგთან კი არ არის ადგილი შეშის დასაწყობათ.

◆

# ძველი ბიბლიოთეკა

ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის სარდაფის დათვალიერებისა და შემოწმების დროს, შემთხვევით აღმოჩენილ იქნა უძველესი ბიბლიოთეკა, რომელიც ეკუთვნის მე-XVIII საუკუნეს.

ბიბლიოთეკა შესდგება უცხო ენებზე დაწერილი მედიცინური ხასიათის (უმთავრესად ძველ გერმანულ ენაზე) წიგნებისაგან. არის აგრეთვე, რამოდენიმე რუსული წიგნიც, სადაც განმარტებულია მედიცინის საკითხები.

ბიბლიოთეკა შესდგება 432 წიგნისაგან, რაც გადაეცემა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას.

◆

# სასამართლო

## რკინისგზელთა საქმე

### 28 სექტემბრის დილის სხდომა

#### ქურდოვანიძის დაკითხვა

დილის სხდომაზე დასრულდა მოწმე ქურდოვანიძის (რკინისგზის რევიზორი) დაკითხვა.

ჩვენების დასასრულს ქურდოვანიძემ განაცხადა, რომ ბრალდებული ევგენი თოფურია სამსახურისადმი გულგრილობას იჩენდა და ხშირი იყო შემთხვევები, როცა ამ ნიადაგზე შენიშვნები მიუღია.

თავმჯდომარის შეკითხვაზე—მართალია, თუ არა ქურდოვანიძის ჩვენება, თოფურიამ განაცხადა, რომ ხშირი იყო შემთხვევები, როცა ღამის 12 საათზე ქურდოვანიძე ახდენდა სალაროს რევიზიას. გარდა ამისა, ქურდოვანიძე რევიზიას ახდენდა იმ დროს, როცა თოფურიას დიდძალი მიმდინარე სამუშაო ჰქონდა შესასრულებელი.

ბრალდებული ამბობს, რომ მოწმის არც ერთი ჩვენება სინამდვილეს არ შეესაბამება და დასძენს, რომ მათ შორის წინეთ ცუდი განწყობილება არსებობდა.

ამის შემდეგ დაკითხულ იქნა მოწმე ნეფედიევა (მენიხრე).

#### ნეფედიევას ჩვენება

მოწმე აჩვენებს, რომ მან ბრალდებულ თოფურიას ანგარიშებში აღმოაჩინა გასამართლებელი საბუთების დანაკლისი, რის შესახებ მოახსენა ამრეფ სამსახურის უფროსს დეკაპრილევიჩს. უკანასკნელმა ნება დართო თოფურიას ის ანგარიშები სახლში წაეღო და შეეტანა ანგარიშებში სათანადო შესწორება.

შემდეგ მოწმე აცნობს სასამართლოს მუშაობის იმ წესებს, რომელნიც სამგზავრო წაწილში არსებობდა.

# ხელოვნება

## სათეატრო საქმე ჩვენში

მთავარხელოვნებაში (ხელოვნების მთავარი განყოფილება), რომელიც განათლების სახ. კომისარიატთან არსებობს, ჩვენს თანამშრომელს განუცხადეს შემდეგი:

— წელს მთავარხელოვნება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პროვინციის თეატრებს. სათეატრო საქმე ჩვენში განსაკუთრებით მოიკოჭლებს პროვინციაში: არა აქვთ შესაფერი რეპერტუარი, მოისუსტებს მსახიობთა შემადგენლობა, სუსტია რეჟისურა და სხვა.

ზოგიერთ ადგილებში არსებობს რაღაც მუდმივი დასივით, მართავენ წარმოდგენებს, რეჟისორობენ გამოუცდელი სცენის მოყვარეები და შედეგებს ვღებულობთ ხშირათ არასასურველს.

წელს განზრახულია ასეთ მდგომარეობას დაედოს საზღვარი და მივიღოთ ზომები პროვინციაში სათეატრო საქმის გამოსაჯანსაღებლათ. ამ მიზნით ახლო ხანში ადგილებს ჩამოივლის მთავარ ხელოვნების თავმჯდომარის მოადგილე ამხ. შ. დადიანი, რომელმაც უნდა მოახდინოს პროვინციის თეატრებისთვის მსახიობთა შერჩევა, რეჟისორების გამონახვა, სარეპერტუარო საქმის მოგვარება და სხვ.

თვით თბილისში განზრახულია მოეწყოს ერთი საბავშვო თეატრი და ერთიც სატირის თეატრი.

ორივე თეატრების დასაარსებლათ საჭირო საორგანიზაციო მუშაობა უკვე დაწყებულია.

## ფოთის სახელმწიფო დრამა

შესდგა სახელმწიფო დრამა იუზა ზარდალიშვილის ხელმძღვანელობით. დასში მოწვეულნი არიან შემდეგი მსახიობნი: ვიქტორ გამყრელიძე, ან. მურუსიძე, შ. ხონელი, შ. ჯაფარიძე, ვ. ჩხიკვაძე, ბ. კოკელაძე, მ. ჟუღელი, გ. მომცემლიძე, ს. ოყროშიძე, ძ. მილორავა, ვ. ფალავა, დ. დარჩია, მ. ტუღუში, ქ. კახიანი, ქალნი: ნ. სირბილაძე, თ. ჩარკვიანი, ნ. კახელი, ელ. სბილა, ქ. ორაგველიძე, ნ. გამყრელიძისა, ც. მეძმარიაშვილი. სეზონი დაიწყება 7 ოქტომბერს ალ. შანშიაშვილის პიესით „ბერდო—ზმანია“. ალ. ახმეტელის მიზანსცენებით. ამ პიესისთვის იკეთება ახალი ტანთსამცმლები და ახალი დეკორაციები.

## სამხატვრო მუსიკალური განათლება

საშუალო სამხატვრო-მუსიკალური განათლება საქართველოში ვრცელდება მუსიკალურ ტეხნიკუმების, მუსიკალურ მუშათა ფაკულტეტების და მუსიკალურ სკოლების საშუალებით. სამხატვრო განათლება კი სამხატვრო სტუდიების, ხოლო თეატრალური განათლება — დრამატიულ საოპერო და კინო სტუდიების საშუალებით.

საშუალო სამხატვრო-მუსიკალურ განათლების დაწესებულებები თავის სპეციალობის მიხედვით დანაწილებულია ოთხ ტიპათ: 1) მუსიკალურ-ვოკალური, 2) დრამატიული, 3) საოპერო, 4) სამხატვრო და სახვითი ხელოვნება.

გასულ წელს მთელ საქართველოში არსებობდა 15 სამხატვრო-მუსიკალური განათლების გამავრცელებელი დაწესებულება. წელს კიდევ გაიხსნა ხუთი.

◆

# ფეხბურთი

## „რუსთაველი“—„დინამო“

„რუსთაველი“-ს და „დინამო“-ს შეჯიბრმა გუშინ აუარებელი ხალხი მიიზიდა.

„დინამო“ ამ შეჯიბრში გამოვიდა შემდეგი შემადგენლობით: მეკარე—დ. ცომაია, მცველები—ფოჩხუა და მლანქმანი. ნახევრად მცველები—ანიკინი, გოწილი და ფეოდოროვი. თავდამსხმელები: პივოვაროვი, გალდობინი, გალპერინი, მასლენიკოვი და ვლ. ცომაია.

შეჯიბრის დაწყებისთანავე დინამოელებმა მარჯვეთ გაიტაცეს ბურთი და ერთბაშათ მოპირდაპირის კარებთან გაჩნდნენ. სტუმრები დაჯარიმდნენ. მარჯვენა გარე-მარბი ვლ. ცომაია მძლავრად ურტყამს ბურთს „პენალტიდან“, რომელიც პირდაპირ მოსკოველების ბადეში მოექცევა.

სტუმრები თითქოს არ იმჩნევენ პირველ დამარცხებას. მათი მარბები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, მაგრამ გაარღვიონ დინამოელების ფრონტი, მაგრამ უშედეგოთ. „დინამო“ ძლიერ შეტევაზე გადადის და რამოდენიმე წუთის განმავლობაში მისი ფორვარდები არ შორდებიან მოსკოვის ჰოშკარს.

მე-15 წუთზე მოსკოველებმა მარჯვენა ინსაიტი სარგებლობს არევ-დარევით „დინამო“-ს ჰოშკართან და მარჯვე დარტყმით აქვითებს ანგარიშს.

ბრძოლა მწვავდება. ორივე გუნდი თითქმის თანაბრად უტევს ერთმანეთს, მე-25 წუთზე დინამოელები გაშლილი ფრონტით მიიწევენ მოპირდაპირეს და კრიტიკულ მომენტში შეამტვრევ ნეს მის ჰოშკართან.

მოსკოველ მცველი კვანტს იღებს დინამოელს. მსაჯი ამხ. იოსავა აჯარიმებს „რუსთაველს“, ვლ. ცომაია ისევ მძლავრათ ურტყამს ბურთს, რომელსაც ვერ იჭერს გოლქიპერი და, ამრიგათ, მოსკოვის კარებში უკვე ორი ბურთია მოქცეული.

ჩქარა ბრძოლის ინიციატივას ხელთ იგდებენ სტუმრები და რამოდენიმე წუთის შემდეგ ანგარიში ისევ გაქვითებულია.

ჰავტაიმის ბოლომდე ეს ანგარიში აღარ შეიცვლება.

მეორე განყოფილებაში საზოგადოება მოელოდა გაფართოებულ იერიშებს მოსკოველების მხრიდან. მაგრამ დინამოელების სასტიკმა წინააღმდეგობამ მათ საშუალება არ მისცა მიემართათ თავის ჩვეულებრივ ტაქტიკისათვის.

პირიქით, მეორე ტაიმის პირველი ნაწილი „დინამო“-ს შეტევის ნიშნის ქვეშ ჩატარდა. მეორე ნაწილში კი სტუმრებმა მოიკრიბეს უკანასკნელი ძალღონე და ტაიმის ბოლომდის შესძლეს კიდევ ერთი ბურთის გატარება თბილისის ბადეში.

ამრიგად, შეჯიბრი დამთავრდა 3:2 მოსკოვის სასარგებლოდ.

აღსანიშნავია, ერთი გარემოება: შეჯიბრი გვიან იწყება და მეორე ჰავტაიმი! დაწყებისას უკვე ბნელდება, რაც საშუალებას არ აძლევს მოთამაშეებს და საზოგადოებას თვალყური ადევნონ თამაშს.

ხუთშაბათს „რუსთაველი“ ეთამაშება თბილისის ნაკრებ გუნდს.

# წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

სექტემბრის 20-ს მე ექიმის თანაშემწეს ნიკოლოზ ალექსანდრესძე ახვლედიანს ქუთაისის ჯანინსპექტორმა დამავალა ქუთაისიდან თბილისში წამეყვანა მძიმე ავადმყოფი მსახიობი ვასო აბაშიძე, რომელსაც ორ საათში სჭირდებოდა ქაფურის ნემსები გულის გასამაგრებლად. დასახელებულ მიზნისათვის ჯანინსპექტორმა გადმომცა ორი ბილეთი რბილ რონოდასათვის, მაგრამ რიონის სადგურზე რონოდაში შესვლაზე კონდუქტორმა უარი გვითხრა, ადგილი არ არისო. მოქალაქე ვასო გურულიშვილთან ერთად რკ. გზის რევიზორს გავაცანით ავადმყოფის პიროვნება, მისი მძიმე მდგომარეობა და ვთხოვეთ რომელიმე მოეთავსებინა რბილ რონოდაში.

მოქალაქე ვ. ზუმბაძემ ჩვენი საზოგადოების საყვარელ დამსახურებულ მსახიობს, რომელიც იმ დროს ავადმყოფობისაგან ცახცახებდა და ყველასაგან შველას თხოულობდა, უარი უთხრა. „ვერ შეგიშვებ. ადგილი არ მაქვსო“. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩემი თხოვნის შემდეგ რბილ რონოდაში კარები გაუღეს და შეუშვეს ორი თანამდებობის პირი—სრულიად ჯანმრთელნი.

დრო გადიოდა. დიდი ვაი-ვაგლახით, როგორც იქნა, ავათმყოფი მოვათავსე მეხუთე მაგარ რონოდაში. ქურდ-ბაცაცებმა ისარგებლეს მდგომარეობით (ავათმყოფი ორივე ხელით მყავდა დაჭერილი) და ჯიბიდან ამომაცალეს: 1. საფულე 91 მანეთით, 2. ანგარიშები 16 მ. 10 კ., 3. საწევრო წიგნაკი საქ. სასან. კავშ. 4. მონადირეთა კავშირის ქუთ. განყ. წიგნ. № 10., ქუთ. ხაზინის ქვითრები დაახ. 300 მან.

შემთხვევის შესახებ განუცხადე ზესტაფონის ჩეკას. ვფიქრობ, ქურდ-ბაცაცების თარეშს ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ბილეთებს ჰყიდიან უანგარიშოთ და შემდეგ მგზავრებს უმასპინძლდებიან ისე, როგორც ჩვენ გაგვიმასპინძლდენ. საჭიროა მეტი ყურადღება საქმის მოსაგვარებლად, თორემ რკ. გზაზე უწესობას ბოლო არ მოეღება—განსაკუთრებით რიონის სადგურზე.

ექიმის თანაშემწე ნიკოლოზ ახვლედიანი.

# მთავრობის მოქმედება და განკარგულებანი

## დადგენილება № 25

### საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა

#### „მ. გ. წითელ ლაშქარში და მ. გ. წითელ ფლოტში მუშა-მოსამსახურეთა გაწვევის გამო ცნობების წარდგენის შესახებ“

მ. გ. წითელ ლაშქარში და მ. გ. წითელ ფლოტში 1904 წ. დაბადებულთა მორიგ გაწვევის გამო საქ. ს. ს. შრომის სახ. კომისარიატი ადგენს: წინადადება მიეცეს ყველა წარმოება-დაწესებულება, მეურნეობა და კერძო პირთ, რომელნიც სარგებლობენ დაქირავებულ შრომით ჯარში გაწვეულ თანამშრომელთან საბოლოო ანგარიშის გასწორების შემდეგ შვიდი დღის განმავლობაში, შეატყობინონ შრომის სახ. კომისარიატის ორგანოებს: ქ. თბილისში შრომის ბირჟას, მხოლოდ დანარჩენ ადგილებში შრომის სახ. კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებს—ცნობები იმ ადგილების შესახებ, რომლებიც განთავისუფლდება თანამშრომელთა მ. გ. წითელ ლაშქარში და მ. გ. წითელ ფლოტში გაწვევის გამო.

აღნიშნული ცნობები წარმოდგენილი უნდა იქნეს ხსენებულ შრომის ორგანოებში შემდეგი ფორმის და მიხედვით.

ა) დასახელება წარმოება-დაწესებულება, მეურნეობა და კერძო პირის, რომელიც სარგებლობს დაქირავებულ შრომით.

ბ) სამხედრო სამსახურში გაწვეულის სახელი, მამის სახელი და გვარი.

გ) განთავისუფლებულ ადგილის ან თანამდებობის დასახელება და ჯარში გაწვეულ მუშა-მოსამსახურის მუშაობის ხასიათი (შემოკლებით).

შენიშვნა: ჯარში გაწვეულ არა კვალიფიციურ მუშათა რაოდენობის შესახებ ცნობები წარმოდგენილი უნდა იყოს ცალკე.

ხსენებულ ცნობების თავის დროზე წარმოუდგენლობის გამო წარმოება-დაწესებულება, მეურნეობის ხელმძღვანელნი და სხვა დამქირავებელნი დაისჯებიან ადმინისტრატიულ წესით.

საქ. ს. ს. რ. შრ. სახ. კომისარი ა. მიქაძე.
საერთო-საორგ. განყ. გამგე ვ. კვარიკაშვილი.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომუნისტ. პარტ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2-რე რაიკომის სააღრიცხვო-განმანაწ. განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რათა ხუთშაბათს, 30 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე გამოცხადდენ რაიკომის სააღრიცხვო განყოფილებაში:

ბაბაჯანოვა ოჰანეს, ტერ-მიქაელიანი სარქის, ზანდარიშვილი გრიგოლ, მძევაშვილი გას., მეველიშვილი დიმიტრი, ტერ-გევონდოვი ნიკ., საკიაანი გარეგინ, პოლიშჩუკი გერმან, მოვსესიანი გაიკ, სიმონოვი ვარლამ, ტერ-სტეფანოვი არტაშეს, სეხუა ვლადიმერ, ოჰანეზოვი ხაჩიკ, საქროვი ჯასო, მაჭავარიანი ნიკოლოზ, პანიევი ვლადიმერ, გრიგორიევი ბორის, ოჰანესოვი პეტრე, ოჰანესოვი ხერი, ოჰანესოვი განევან, ოჰანეზოვი მიხეილ, მერაბოვი ზაქარია, არაქელოვი არტემ, ოჰანეზოვი ბაგრატ, წენგუაშვილი შაქრო, ოჰანეზოვი საქო, ჩოხელი ვასილი, მარგანია ვასილი, ღონიაშვილი ივანე, სულაძე ნიკოლოზ, სალარაძე ერმალო, ტურიაშვილი ანდრია, კვანტრიშვილი შალვა, ზერიაშვილი ა., ზერიაშვილი ვასილი, ზერთელაშვილი თალიკო, ნონიკოვი არშაკი, თეთრაშვილი ა., მზარეულიშვილი დავით, კუხიანიძე ნოე, შარკარანი არშალუის, მათიაშვილი გიორგი, დემიდოვი სერგო, ბაიახჩევა სირანუშ, მირზოევი გასან, პაპიაშვილი ნატალია, ოტიაროვი ვართან, დევდარიანი ნესტორ, ჩიხვარია სერგო, ჯახუა ივანე, ბოკუჩა ვასილი, ხომერიკი ივანე, ბურდული ა., ზერიანიძე ვასო, ნიკურაძე მიხეილ, სანიგო ივანე, თუმანოვი გრიგოლი.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2-რე რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს 30 სექტემბერს, საღამოს 5½ საათზე რაიკომის შენობაში შესდგება მიმღები კომისიის სხდომა.

პარასკევს, დილის 9 საათზე საქ. კომ. პარტ. ც. კ. მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილებაში შესდგება მეთოდიური ბიუროს მორიგი სხდომა. დასწრება შემდეგი ამხ. აუცილებელია: ს. შავერდოვა, ს. სოსიანი, კარაბანოვა, გრიშენკო, შიუკაშვილი, ს. ხუნდაძე, გ. დევდარიანი.

რემედასის მე-2-რე რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს 29 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში (პლეხანოვ., 96,) მოწვეულია რემედასის რაიკომის სხდომა. ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: პერცევი, მაკარჩუკი, გენიალიძე, სტრუჩალინი, შახვერდოვი და ტოროზოვი.

საქართველოს კომუნისტ. პარტ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ. განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ი. მ. წუქურაძეს, რათა 29 სექტემბერს, დილით 9 საათზე გამოცხადდეს თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწ. განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან.

დღეს, ოთხშაბათს 29 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის შენობაში შესდგება ორგ-კოლეგიის სხდომა, დასწრება ქვემოთ-აღნიშნულ ამხანაგებისა სავალდებულოა:

მაშკევიჩი, ინსტრუქტორები: ჯაფარიძე, შირიმანოვი, ჯავახია, ვოლხოვსკი, მისკინ, მარტიროსოვი, ლიცინოვი, ჯაფარიძე (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. ქალთა განყოფილება), ესაიანი, ჩერქეზიშვილი, საყვარელიძე, ხაცკევიჩი, ფანცხავა, მელიკოვი, ხუხუა, შოგირაძე, ცაბაძე, ჩალიანი, ჯავახიძე, სიხარულიძე, პეტროვი, აფციაური, მოწვეულია ამხ. ვირალაშვილი (მიწა-ტყის კავშ. ც. გ.)

საქართველოს კომუნისტ. პარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც დანიშნული იყო სამშაბათს 28 სექტემბერს, გადატანილია ღღისთვის 29 სექტემბრისათვის, დილით 9 საათზე.

პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

## ვინ არის წინააღმდეგი ?

ს. კ. პ. (ბ) ქუთაისის სამაზრო პარტიულ კომიტეტში შემოტანილი აქვთ პარტიაში შემოსასვლელი განცხადებები ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს; თხოვნაა, როგორც პარტამხანაგებს, აგრეთვე უპარტიოებს, თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს შემოიტანონ წერილობითი ან სიტყვიერი განცხადებები დღიდან ამის გამოქვეყნებისა ორი კვირის განმავლობაში ქუთსამპარტკომის სააღრიცხვო-განმანაწილებელ ქვე განყოფილების გამგესთან:

ქავთარაძე ლევან სტეფანეს ძე, მიქელაძე აკაკი ბარნაბას ძე, დავითაია გრიგორ ნიკოლოზის ძე, დუნდუა თომა ლაზარეს ძე, ხვარეშია მისტალიონ ალმასხანის ძე, ეორეულიანი ალექსანდრე ბესარიონის ძე, გოგოძე ნოე გიორგის ძე, პაპავა ივანე დიმიტრის ძე, თევდორაძე ვარლამ ქრისტეფორეს ძე, ხოზუა ისაკი ალექსის ძე, ლომაშვილი არჩილ ოქროპირის ძე, ტოვარსკი ოსკარ კალმახის ძე, დუნდუა შალვა გარსევანის ძე, გენძეხაძე ლეოარსბ მიხეილის ძე, კაცაძე ვარლამ ბესარიონის ძე, კიკვაძე გრიგორ არისენის ძე, სირაძე სილოვან ალექსის ძე, კუხიანიძე კონსტანტინე მინას ძე, გუჯეჯიანი სონია ივანეს ასული, კახაია არჩილ ბესარიონის ძე, მიქაბერიძე დავით რომანოზის ძე, ბარკალაია ნადეჟდა კოსტას ასული, ბაზუხადია სევერიანე ფილიპეს ძე, გრიგოლია იაკინთე ივანეს ძე, ცაბურია აპალონ მიხ. ძე, ხაჩავა გრიშა მელიტ. ძე, ჰელიძე პიმენ ლუკას ძე, ღალანიძე ვასილ პროკოფის ძე, ჯღარკავა იპოლიტე სტეფანეს ძე, თხილავა ივანე ეგნატეს ძე, ადამია შალვა გერასიმეს ძე, გაჩეჩილაძე ნოე ოქროპირის ძე, მერკვილაძე ფილიპე გრიგორის ძე, გაბუნია რაჟდენ სიმონის ძე, ჯავახაძე ისიდორე გიორგის ძე, თავხელიძე გრიგორი ლევარსის ძე, გაჩეჩილაძე (?) გაბო იოსების ძე, ცქიფურიშვილი სევერიანე, სულაბერიძე მიხეილ ირაკლის ძე, გიგაშვილი გრიგოლ ერმილეს ძე, გიორგაძე ბესარიონ ლუკას ძე, ბერძული ალექსანდრე ისმაილის ძე, ჩხაიძე აკაკი ილარიონის ძე, ვაშაყმაძე გალაქტიონ ერმილეს ძე ლომთაძე სარდიონ სერაპიონის ძე, ნეფარიშვილი ნინა ზაქარიას ასული, ბაქრაძე პარმენ დავითის ძე, იაშვილი გრიგოლ ირაკლის ძე, კვანტალიანი სევერიანე მიხეილის ძე, კიკალიშვილი აკაკი ირაკლის ძე, შენგელია სერგო არსენის ძე, ეორეულიანი ალექსანდრე გიორგის ძე, ეორეულიანი მიხეილ ბესარიონის ძე, ჯანჯღავა ბიქტორ გიორგის ძე, დახუნდარიძე კაპიტონ თედორის ძე, რუხაძე შალვა ვარლამის ძე, ჰანიშვილი ოსანა ნიკოს ასული, ჩხაიძე ვასილ სერაფიონის ძე, გუბელაძე ნინო თადეოზის ასული, სულაძე ნიკოლოზ თომას ძე, ახობაძე ნიკოლოზ ვლადიმერის ძე, ტოგონიძე თამარა ვლადიმერის ასული, წაქაძე პავლე ტარასის ძე, მესხი დიმიტრი იასონის ძე, წვერავა აკაკი დიმიტრის ძე, ღლონიძე სევერიანე ნიკოლოზის ძე, იაშვილი სიმონ ირაკლის ძე, შანიძე მარიამ სილოვანის ასული, ბარდაველიძე ანატოლ რაჟდენის ძე. სტურუა შალვა ფარნაოზის ძე, იობიძე ალექსანდრე პავლეს ძე, კილაძე ოლღა გიორგის ასული, ნუცუბიძე ნიკოლოზ სიმონის ძე, ჯაფარიძე ივანე გიორგის ძე.

# იურიდიული რჩევა-დახმარება

## როგორ უნდა გამოსწორდეს ასეთი შეცდომები

### კითხვა

სოფელ ზემო-ნიჩბისში არის დაშვებული უკანონობა მიწის რეფორმის დროს. შევიდა მიწის კომისიაში ისეთი ხალხი, რომელსაც ამის უფლება არ ჰქონდა. ამიტომ მიწკომმა ჩაიდინა უკანონობა. მისცა მიწა ისეთ ხალხს, რომელსაც აქვს ხელობა და დღეში იღებს 5 მანეთს მასთან აქვთ თავისთვის გამართული წისქვილები.

გთხოვთ გვიპასუხოთ ეკუთვნის თუ არა მათ მიწის ნორმა.

ხელს აწერენ—კოთუა ზ[illegible] გალუსტაშვილი, კოლა კანდელაკი და ილია კვარახიშვილი.

### პასუხი

მიღებულია ყოველგვარი ზომები, რათა აღმოფხვრილ იქნეს ყველა ის შეცდომები, რომლებიც დაშვებულ იქნა წარსულ წლებში მიწის მოწყობის დროს. პირად თქვენ კი გირჩევთ მიმართოთ ამის შესახებ სათანადო განცხადებით გორის მაზრის სადგილ-მამულო კოლეგიას, რომელსაც ევალება ასეთი საქმეების მოგვარება.

## კანონიერია თუ არა ჩემთვის მიწის ჩამორთმევა

### კითხვა

ვცხოვრობ რაჭის მაზრაში სოფ. ღვიარაში. მქონდა 1 ნახ. დესეტინა მიწა. მყავს სარჩენი 4 სული. ვინაიდან მე არ ვიყავი მიწის რეფორმის დროს, ხსენებული მიწა ჩამომართვეს, მე ვიყავი ქ. თბილისში მილიციაში. 1923 წლიდან მაქვს ჩამორთმეული ხსენებულ სოფელში ადგილები. მე ვარ უსწავლელი გლეხი, წვრილი ცოლ-შვილის პატრონი. ცოლ-შვილი მყავს თბილისში.

გთხოვთ მიპასუხოთ შემიძლია თუ არა ჩემი ადგილ-მამული ჩავიბარო ხსენებულ სოფელში. ამისათვის ვის მივმართო, ან როგორ მოვიქცე, ვარ კავშირის წევრი წიგნაკის № 1094.

აპოლონ დავითის ძე დარახველიძე.

### პასუხი

თქვენთვის, როგორც მუშურ-გლეხურ მილიციაში მოსამსახურისთვის ნორმის ფარგლებში, თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 66-ისა, უნდა დაეტოვებიათ მიწა. თუ კი ასეთი თქვენ ჩამოგართვეს წინააღმდეგ აღნიშნული მუხლისა, თქვენ გაქვთ უფლება იმავე კოდექსის მუხ. 24-ისა, სასამართლოს წესით მოითხოვოთ თქვენი დარღვეული. როგორც მიწის მოსარგებლის, უფლებების აღდგენა.

---

კვირას, 3 ოქტომბრის, დღის 1 საათზე ფოთის ნახუტურის სასაფლაოზე გადახდილი იქნება ორი წლის საქოქალაქო პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ ოჯახის ერთად ერთი მშვენების

**შალიკო კონსტანტინესძე რუხაძის**

მოსაგონარად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ—მეგობრებს უნუგეშო მწუხარებით აღსავსე თვალცრემლიანი, სიცოცხლეში წამებული დედა ეფროსინე, ბებია დარია დეიდა, ცოცო, ბიძები: მიხეილ და ვარლამი ლოლობერიძეები და ვანო კასრაძე. 3873

---

გულდათუთქული მშობლები: ლეტეცია ცხვედიანის ასული გოცირიძისა და ასკალონ ერასტისძე გოცირიძე, შვილი მათი, თინა, ბაბუა ერასტი მამუჩარისძე გოცირიძე, ბიძა ვალიკო ერასტისძე გოცირიძე და მამიდები: კატო, ანიჩკა და ზინა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებთ და ნაცნობთ ძვირფასი

**გოგია (გიორგი) ასკალონისძე გოცირიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 29 სექტემბერს, საღამოს 4 საათზე ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე, გამოსვენება—გოგებაშვილის შესახვევი სახლი № 2.

3869

---

ქენია გოცირიძის ასული კბილაძისა და ილიკო მიხეილისძე კბილაძე შვილებით: მანია, ბიძინა, მიშა და ლილი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ პირველისთვის ძმისწულის, მეორესთვის ცოლის ძმის შვილის და მესამეთათვის ბიძაშვილის, ძვირფასი

**გოგია (გიორგი) ასკალონისძე გოცირიძის**

უდროოდ გარდაცვალების გამო. 3870

---

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო აცხადებს, რომ 26 სექტემბერს გარდაიცვალა საფინანსოს დამსახურებული და საუკეთესო თანამშრომელი

**ბაბე (ელისაბედ) ნიკოლოზის ასული ფურცელაძე**

გამოსვენება მოხდება დღეს, ოთხშაბათს, 29 სექტემბერს, 4 საათზე, გუნიბის ქ. № 14 სახლიდან და დაიკრძალება ვერის ახალ სასაფლაოზე. 3865 2-2

---

ნიკოლოზ გრიგოლისძე ჯავახიშვილი, შვილები—ალექსანდრე, ვერა, ელენე და თამარი, რძალი ზინაიდა, სიძეები—პლატონ საყვარელიძე და ბესარიონ ყავრიშვილი, შვილისშვილები—ნინო, ეთერი, ქეთინო და რეზო აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი

**ევა მაქსიმეს ასული ჯავახიშვილი**

პანაშვიდი გადახდილი იქნება 29 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე ალექსანდრეს საავადმყოფოში. დაკრძალვა სოფ. ძეგვში. 3879

---

თბ. ალმასკომის საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების ადგილკომი მწუხარებით აუწყებს თავის წევრებს, ალმასკომის თანამშრომლებს და საზოგადოებას, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 26 ამა სექტემბერს, დღის 12 საათზე, გარდაიცვალა მათი აქტიური და პატიოსანი მუშაკი

**ბაბო (ელისაბედი) ნიკოლოზის ასული ფურცელაძე**

გამოსვენება და დაკრძალვა 29 სექტემბერს, დღით ოთხშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე—საკუთარი ბინიდან გუნიბის ქ. № 14. 3875

---

**აპოლო**

**არფანზო**

**სოლეი**

სეზონის საუკეთესო სურათი

**„მსჯავრული უცხოელი“**

გარრი პილის მონაწილეობით. ყოველდღე ანშლაგები

ანონსი: 1-ლ ოქტომბრიდან „ხანუმა“ (ქეთო და კოტე).

საუკეთესო სურათი

მერი პიკფორდის მონაწილეობით

**„ბრძოლფეხშიშველი გოგონა“**

ანონსი: 1-ლ ოქტომბრიდან „ხანუმა“ (ქეთო და კოტე).

მეორე კვირა—აუარებელ ხალხს იზიდავს!!!

**„აგრეპ ზაური“**

უმთავრეს როლებში: ვ. გუნია, ვ. ბესტაევი, ა. თაყაიშვილი, გ. ჩეჩელაშვილი და სხვ.

---

**მიიღება**

**ხელისმოწერა გაზ. „კომუნისტზე“ ოქტომბრისათვის**

**პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება შემდეგ პარტიანგულ განყოფილებებში:**

1. [illegible]—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. ხიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისი—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. ხონში—განყ. გამგე ჩემიასთან—ქ. ხონი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
5. სამტრედია—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
   სენაკი—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
   აბაშა—განყ. გამგე მი[illegible]აძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
   ფოთი—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისთვის
   თომი—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის.
10. ოზურგეთი—განყ. გამგე ეპიფ. ცეცხლაძესთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
11. თელავი—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
12. სიღნაღი—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
13. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში კილახონიასთან.
14. სოხუმში—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აფხაზეთისათვის.
15. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—განყ. გამგე შ მნიაშვილი ესტატე
16. ოჩემჩირი—ვ. სოხელიას განყოფ. გამგეს
17. ხაშ. ბორჯომი—ბორია ლავრინენკოსთან—გამომცემლობა „შრომა“ [illegible]
18. ბორჯომ-ბალი—იაშა ტერტეროვთან

„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

9—1

---

**მოწაფეთა საყურადღებოთ**

გამოვიდა და იყიდება

**ფ. ი. მიხალევსკის**

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34

0—1

---

ექიმი

**არსენ ვადაჭკორია**

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა ავადმყოფთ. და უწევს აგრეთვე სამეანო დახმარებას დღის 9—12 ს. საღამოს 4—6 საათამდე ლენინის ქ. № 35 3824 13—

---

**თბ. მე-5 უბნის სახალხო სასამართლოს ალმასრულებელი გეგელაშვილი**

აცხადებს, რომ 5 ოქტომბერს, დილის 11 საათზე მე-8 მილიციის უბ. დესიმონოვის მოედანზე, მეორე საჯარო ვაჭრობით გაყიდის დავით მოსესძე კობიაშვილის ეტლს თავის მოწყობილობით, შეფასებული 500 მან, დასაკმაყოფილებლად ვალისა პელაგია ჯაფარიძისა. ვაჭრობა დაიწყება პირველ შეფასებულ ფასიდან. 3874

---

**ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სახსამართლოს ალმასრულებელი გრ. ა. დანელია**

ამით აცხადებს, რომ ის 2 ოქტომბერს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 8 ბალაჯარის შესახვევი, საჯარო ვაჭრობით გაყიდის ხაჩატურ პეტროსიანცის მოძრავ ქონებას: ფეხით საკერავ მანქანას შეფასებულს 50 მანეთად. ქ. თბილისის ალმასკომის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3-მე უბნის სახალხო სასამართლოსაგან 16 ივლისს 1926 წ. თარიღით, № 5077. გაცემულ ალმსრულებელ ფურცლისა. 3872

---

**გორის უბნის სახ. სასამართლოს ალმასრულებელი გ. ტლაშაძე**

ამით აცხადებს, რომ 30 სექტემბერს დღეს 1926 წ. დღის 10 საათზე ადგილობრივ ს. ზემო-ხანდაკში დანიშნულია ზემოხანდაკის ეპოს „გლეხის“ ქონების საჯარო ვაჭრობა ქონება შეიცავს ქვიტკირის და ხის მასალას შეფასებული სულ 125 მან. ვალის სანაზღაუროთ თბილისის კომბანკის და გორის განყოფილების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად გორის უბნის სახ. სასამარ. ალმასრ. ფურცლისა 11 სექტემბერს 1925 წ. № 870. ნ. 1827

---

**გორის უბნის სახ. სასამართლოს ალმასრულებელი გ. ტლაშაძე**

ამით აცხადებს, რომ 26 სექტემბერს დღეს 1926 წ. დღის 10 საათზე ადგილობრივ ქ. გორში ცხაკაიას ქუჩაზე დანიშნულია მოქ. მიხეილ ბესარიონის-ძე მერაბიშვილის ქონების საჯარო ვაჭრობა ქონება შეიცავს ქვიტკირის შენობის ხილის საწყობს, სხვადასხვა ზომის ხილის ყუთებს, ყუთების დაჭრილ მასალას, ფიცრებს, სახლის ავეჯეულობას და სხვას სულ შეფასებული, 2907 მან. 50 კ. საექსპედიტორო სატრანსპორტო საზოგ. „ტრანსპორტისა“ და სხვ. ვალის სანაზღაუროდ თანახმად გორის უბნის და სხვა სახ. სასამ. ალმასრ. ფურც. და სასამ. ბრძანებებისა. 1926 წ. ყველას ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს შენობის საჯარო ვაჭრობაში უნდა წარუდგინოს სასამართლოს ალმასრულებელს აღმოსავლეთ საქ. ოლქის სანოტარო თანაგანყოფილების ცნობა, რომ არც თვითონ მას, არც მის მეუღლეს და არც მის არა სრულ წლოვან შვილს არა აქვთ იმ ადგილას რაიმე შენობა, და აგრეთვე უნდა მისცეს ხელწერილი, რომ არც თვითონ მას და არც ოჯახის ზემო-აღნიშნულ წევრს არა აქვთ შენობა რომელსამე სხვა ადგილას (სამოქ. კოდექსის 82 მუხ.) 3867

---

ექიმი

**ა. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.

სას ტუმრო „ნოე“-ს პირ[illegible] 348

---

ექიმი **შუხმანი**

სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.

მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89 25—

---

ექიმი **მ. ო. ზანდუკელი**

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და წვრილ ავადმყოფობის, ელექტრონით და სხივებით მკურნალობა ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათამდე ლენინის ქ. (ლოდის) № 49. 3574 ტელეფ. № 4—83.

---

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

მიიღებს ავადმყოფებს შინაგან (ბავშვებს და დიდებს) და ქალთა სნეულებით.

ყოველდღე: დილით 2 საათამდის საღამოზედ 5 საათიდამ—7 საათამდის

მისამარ.: აგარაკი მეიერისა.

---

ექიმი **ზ. ა. ტარუმოვი**

დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12

ტელ 22—59, ნ. ლ.

---

ექიმი

**ე. მ. მძინარიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპ. ტი № 18 (შესავალი წულუკიძის ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

---

ექიმი

**გ. ნ. ონანოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფებს მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.

ვაზიოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

---

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—9

---

პროფესორი

**მ. წინამძღვრიშვილი**

დაბრუნდა თბილისში

და განაგრძობს შინაგან ავადმყოფების მიღებას საღამოს 5 საათიდან 8 ს-მდე კვირა დღის გარდა. კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 7). 3755 13—1

---

**დაიკარგა** სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი ფორმა № 4 1 სამილიციო რაიონის მიერ მოცემული და ქალაქის რაიკომის კომ-კავშირიდან შევბულების ქალალდი კალისტრატე იაკობისძე ნარუშვილის სახელზე, ჩ. გ 3866

---

ელექტრონით და სინათლით

**სამკურნალო**

საწოლებით

**მიხეილ ბედევანიშვილის**

სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 548ъ5 —1

---

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (ხიმსივნეები, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

13—2

---

**დაიკარგა** პენსიონერის ბარათი № 554 დავით გაბრიელისძე ფურცელაძეს სახელზე, ჩ. გ. 3866

---

**დაიკარგა** რკინის გზის პენსიონერის პირადობის მოწმობა № 624 თამარა ორჯონიკიძის სახელზე, ჩ. გ. 3871

---

**დაიკარგა** თბილისის სახელ. უნივერ. სოც. ეკონ. ფაკ. იურიდიული დარგის 1-ლი კურსის მატრიკული ნ. ქინქარაძის ახელზე, ჩ. გ. 3868

---

**დაიკარგა** კომკავშირის დროებითი ბოწმობა № 917 ქეთო ქაჯაიას სახელზე, ჩ. გ. 3877

---

**დაიკარგა** კომკავშირის დროებითი მოწმობა № 918 ლენა ქაჯაიას სახელზე, ჩ. გ. 3878

---

**დაიკარგა** კომკავშირის წიგნაკი № 10682 და წითელი არმიის წიგნაკი მაკარ ჯოგლიძეს სახელზე, ჩ. გ. 3876

---

**დაიკარგა** მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი № 16594 დიმიტრი დურგლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3871